

გულახდილად A5



სექსუალური თავისუფლება ბრაზილიას A6



ესპანელებმა ფიროსმანის რუს მხატვრად დასახელებისათვის ბოდიში მოიხადეს A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
აპრილი, 1 მარტი, 2006 წელი. №70 (1222)

ფასი 50 თეთრი

# რუსული ბაზების გაყვანა ქაღალდზეც გაფორმდა

სოფო ბუკია

*ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე რუსეთსა და საქართველოს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმებაა მიღწეული. გუშინ სოჭში ხელი მოეწერა დოკუმენტს საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებისა და წესის შესახებ, რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულმა რუსულმა სამხედრო ბაზებმა საქართველო სამი წლის ვადაში უნდა დატოვონ.*

ისტორიულ შეთანხმებას საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ მამუკა კუდავამ, რუსეთის მხრიდან კი სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსეი მასლოვმა.

**"საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საქართველოს ტერიტორიის გავლით სამხედრო ტვირთებისა და პერსონალის ტრანზიტის ორგანიზების შესახებ"** და **"საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში არსებული რუსეთის ჯარების ჯგუფის რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და გაყვანის შესახებ"** – ეს იმ დოკუმენტების ოფიციალური სახელწოდებაა, რომელთა თანახმადაც, ახალქალაქში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზა საქართველოს ტერიტორიას 2007 წლის 1 ოქტომბრამდე დატოვებს. 2008 წლის განმავლობაში რუსეთის სამხედრო ბაზა ბათუმიდანაც გავა. ამავე წელს საქართველოს ტერიტორიას დატოვებს ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო ჯარების დაჯგუფების ხელმძღვანელობა.

ამ დოკუმენტის თანახმად, 2007 წლის ბოლოსთვის რუსეთი საქართველოდან სრულად გაიყვანს დარჩენილ მძიმე ტექნიკას და სამხედრო ობიექტებს ქართულ მხარეს გადასცემს. რუსული მხარე საქართველოს გონიოს პოლიგონს და კოჯრის კავშირგაბმულობის რეტრანსლატორს "გადაულოცავს". თავის მხრივ, ქართული მხარე რუსეთის თავდაცვის სამინისტროს საშუალებას მისცემს შეიარაღების და მძიმე ტექნიკის გასაყვანად საქართველოს საჰაერო სივრცითა და სარკინიგზო და ავტო მაგისტრალებით ისარგებლოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვალერი გელაშვილი – „შერჩევითი სამართლის" მსხვერპლი

გიორგი ასანიშვილი

*ვალერი გელაშვილი უკვე აღარ არის საქართველოს პარლამენტის წევრი. გუშინ მას 124 ხმით, "ერთსულოვნად", ვადამდე შეუწყდა სადეპუტატო უფლებამოსილება. უმრავლესობის მტკიცებით, ვალერი გელაშვილმა დაარღვია კანონი - იგი სამეწარმეო საქმიანობას ეწეოდა და საკუთარ ბიზნესს ლობირებდა, რისთვისაც სამართლიანად დაისაჯა. ოპოზიცია კი აცხადებს, რომ ადგილი აქვს პიროვნულ და პოლიტიკურ დევნას, ხელისუფლებისადმი ურჩობისთვის ანგარიშსწორებას.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*საპარლამენტო უმრავლესობას განაჩენი გამოტანილი აქვს.*

# „კავკასიური ბიბლიოთეკა" საექსპორტოდ

A8



*დათო მაღრაძე და ული როთფოუსი.*

# საიდუმლოებით მოცული ფონდის არასრული ანგარიში

*სამართალდამცველთა საიდუმლოებით მოცული ფონდების გაუმჭვირვალობა დღის წესრიგში რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთხელ დადგა, როცა ბიზნესმენთა ფედერაციის თავმჯდომარემ ბადრი პატარკაციშვილმა ბიზნესმენთა მიერ იძულებით ამ ფონდებში შეტანილ სოლიდურ თანხებზე და, საერთოდ, ფონდის უკანონო არსებობაზე ისაუბრა.*

ინგა ალავიძე
დიანა ჩაჩუა

ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ დაარსებული ფონდების მუშაობის გასაიდუმლოების გამო პრეტენზიები ოპოზიციონერმა დეპუტატებმა არაერთხელ გამოთქვეს, მაგრამ სრულყოფილი პასუხი ვერ მიიღეს. ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ეს ვერც მაშინ მოახერხეს, როცა გასული წლის ნოემბერში სამთავრობო საათზე მიწვეულ შს მინისტრს ამ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები დაუსვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" შეკითხვებს შორის "სამართალდამცველი ორგანოების განვითარების ფონდის" შემოსავალ-გასავლების თემას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეკავა, ვანო მერაბიშვილმა ეს შეკითხვა, ფაქტობრივად, უპასუხოდ დატოვა. თქვა მხოლოდ ის, რომ ფონდი თითქმის აღარ ფუნქციონირებს, ლიკვიდაციის პროცესშია და 2006 წლიდან საერთოდ აღარ იარსებებს. არადა, ოპოზიციას ამ ფონდის დამფუძნებელთა ვინაობის შეტყობა, მის მიერ გაწეული ფინანსური საქმიანობის შესახებ დოკუმენტების გაცნობა და იმის გაგება სურდა, ფინანსდება თუ არა ეს ფონდი საპროცესო გარიგების საფუძველზე ჩინოვნიკების მიერ გადახდილი თანხებით. მინისტრის მტკიცებით, ამ წესით გადახდილი არც ერთი თეთრი ფონდში არ გადარიცხულა.

ფონდების მუშაობის გასაიდუმლოების გამო პრეტენზიები ოპოზიციონერ დეპუტატთა გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდანაც არაერთხელ გამოთქმულა. არასამთავრობო ორგანიზაციები "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მთავრობას ძალოვანი სტრუქტურების განვითარების ფონდების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დამალვაში ბრალს დღესაც სდებს. მათ ამგვარ განცხადებას კონკრეტული მიზეზი გააჩნია - ორივე ორგანიზაციამ არაერთხელ მოითხოვა ამ ფონდის საქმიანობის შესახებ დოკუმენტაცია, მაგრამ უშედეგოდ.

ფონდების საქმიანობის ანგარიშს "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მუდმივად ითხოვდა, ამ საკითხს ორგანიზაცია დღეგამოშვებით მაინც აყენებდა, მეტიც, დოკუმენტაციის მოთხოვნით, სარჩელი სასამართლოშიც კი შეიტანა, თუმცა, უშედეგოდ. მათ დღემდე ვერ შეძლეს ამ ფონდების საქმიანობის, განსაკუთრებით კი, მათი დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" სიყალბეს უწოდებს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გიგა ბოკერიას მიერ 29 მარტს გაკეთებულ განცხადებას. ბოკერიას თქმით, "ფონდების საქმიანობა ღია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მოქალაქისთვის". "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარის ანა დოლიძის განცხადებით, ასოციაცია ყველა კანონიერი გზით ცდილობდა მიეღო ინფორმაცია, რომლის ხელმისაწვდომობაზეც გიგა ბოკერია საუბრობდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი რექტორი ეყოლება

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სავარძელს გიორგი ხუბუა დაიკავებს. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოსტზე, გიორგი ხუბუას კანდიდატურას განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უახლოეს დღეებში წარუდგენს.*

ნათია მსხილაძე

ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტიურად საუბრობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, რუსუდან ლორთქიფანიძის მიერ პოსტის დატოვების შესახებ, თუმცა ამ ინფორმაციას თავის დროზე ლორთქიფანიძე სასტიკად უარყოფდა და აცხადებდა, რომ იგი არსად წასვლას არ აპირებდა.

ფაქტია, რომ გავრცელებული ინფორმაცია არა სიცრუეს, არამედ სიმართლეს შეესაბამებოდა, რადგან რუსუდან ლორთქიფანიძემ პოსტი უკვე დატოვა და გადაწყვიტა, დიპლომატიურ საქმიანობას დაუბრუნდეს.

შეგახსენებთ, რომ რუსუდან ლორთქიფანიძის პოსტის დატოვებისა და მისი დიპლომატიურ საქმიანობაში გადასვლის შესახებ ინფორმაციას განათლების სამინისტრო ავრცელებს.

უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სამინისტროს საპირისპირო განცხადებები კეთდებოდა უნივერსიტეტის პრესსამსახურში. მათი თქმით, ლორთქიფანიძეს არანაირი განცხადება არ დაუწერია და იგი ორშაბათიდან მუშაობას ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს. **"ამჟამად ქალბატონი რუსუდანი ოფიციალური ვიზიტით გერმანიაში, ევროპის უნივერსიტეტების რექტორების შეხვედრაზე იმყოფება. მას გადადგომის შესახებ არანაირი განცხადება არ დაუწერია,"** - აცხადებენ უნივერსიტეტის პრესსამსახურში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხანმოკლე რექტორობის პერიოდში, რუსუდან ლორთქიფანიძეს ბრძოლა ლექტორებისა და სტუდენტების გარკვეულმა ნაწილმა გამოუცხადა. ლორთქიფანიძის მიერ გატარებული რეფორმები საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აცხადებენ, რუსუდან ლორთქიფანიძეს რექტორის თანამდებობაზე ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის ინსტიტუტის დირექტორი და, ამავდროულად, საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს წევრი გიორგი ხუბუა შეცვლის.

გიორგი ხუბუა სამართლის მეთოდების, სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის სოციოლოგიის პროფესორი და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორია. არის 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მონოგრაფიისა და ერთი სახელმძღვანელოს ავტორი. 1999 წლიდან სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორია.

სამეცნიერო სტაჟირებები აქვს გავლილი გერმანიის სახელმწიფო მმართველობის სამეცნიერო-კვლევით, მიუნხენის უნივერსიტეტის სამართლის ფილოსოფიისა და სამართლებრივი ინფორმატიკის, გერმანული ფედერალიზმის, საზღვარგარეთის სახელმწიფო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მაქს პლანკის, ბერნის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის ინსტიტუტებსა და ათენის უნივერსიტეტის ევროპის კონსტიტუციური სამართლის კვლევის ცენტრში.

## ამბები

### დაპირისპირება საკრებულოში

გუშინ, საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტი 20 მილიონი ლარით გაიზარდა. გაზრდილი ბიუჯეტი და დღეიდან 7 თეთრით მომატებული გაზის ტარიფი საპრეზიდენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის დაპირისპირების საბაბად იქცა.

A2

## ამბები

### მიწა, რომელზეც პოლიკლინიკა დგას, იყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ვაჟა-ფშაველას N27ა-ში მდებარე შპს "საკონსულტაციო სამკურნალო ცენტრის" გასხვისებაზე აუქციონი 20 მარტს გამოაცხადა. ცენტრის საწყისი ფასი ერთი მილიონი ამერიკული დოლარია. ექიმები აუქციონის ჩატარების წინააღმდეგი არიან და ცენტრის კონკურსის წესით გაყიდვას ითხოვენ, რათა შენარჩუნებული იქნეს პროფილი.

A2

## სპორტი

### "სუპერკლასიკოს" ისტორიიდან

დღეს ბარსელონას "ნოუ კამპის" სტადიონზე მორიგი სუპერკლასიკო" გაიმართება. "ბარსელონა" - "რეალის" წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი "სანტიაგო ბერნაბეუზე" კატალონიელთა გამარჯვებით - 3:0 დასრულდა. "სუპერკლასიკოს" დიდი ხნის ისტორია აქვს და ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი მოვაწყოთ.

A6

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 1/04 | 2 /04 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 20 |
| ტყიბული | 17 | 15 |
| სოხუმი | 18 | 13 |
| დმანისი | 14 | 15 |
| გორი | 15 | 17 |
| ონი | 11 | 10 |
| ზუგდიდი | 18 | 15 |
| ახმეტა | 19 | 20 |
| გაგრა | 18 | 13 |
| სამტრედია | 19 | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8270 |
| ევრო | 2.2046 |
| გირვანქა სტერლ. | 3.1757 |
| რუბლი | 0.0658 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
კვირა A 5
სპორტი A 6
რევიუ A 7
სხვადასხვა A 8

## ღვინის იმპორტის აკრძალვა - "პოლიტიკური საკითხი"

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთში ქართული ღვინის იმპორტის აკრძალვას "პოლიტიკური საკითხი" უწოდა. "ქართულ ღვინოს რუსეთში საუკუნეების განმავლობაში სვამდნენ. საქართველო - მეღვინეობის ქვეყანაა და ღვინის იმპორტის შეწყვეტა - ეს ცალკეული ტექნიკური საკითხი არ არის, ეს სერიოზული პოლიტიკური საკითხია არა მარტო ჩვენთვის, არამედ ჩვენი პარტნიორებისთვისაც", - განაცხადა სააკაშვილმა რომში ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, 2006 წელს პირველად ქართული ღვინის ფალსიფიკაცია არ ხდება, რადგან შარშან ნატურალური ღვინის წარმოება გაორმაგდა და გაყალბება შეწყდა.

"სწორედ ისაა ცინიკური, რომ როცა ფალსიფიკაცია აღარ არის, ქართულ ღვინოს ამ მიზეზით აჩერებენ" - აღნიშნა სააკაშვილმა.

რუსეთში ქართული და მოლდავური ღვინოების შეტანა 27 მარტს "როსპოტრებნოდზორის" ბრძანებით აიკრძალა.

*ინტერპრესნიუსი*

## შსკ-ს გადაწყვეტილებებზე ქართულ და რუსულ მხარეებს ერთიანი პოზიცია აქვთ

ქართულ და რუსულ მხარეებს ერთიანი პოზიცია გააჩნიათ შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულების აუცილებლობის თაობაზე.

როგორც სახელწიფო მინისტრთან კონფლიქტების მოგვარების საკითხში გიორგი ხაინდრავასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ რუსეთის ელჩმა საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა განაცხადა, ვლადიკავკაზში გამართული შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა შედეგიანი იყო.

მისივე თქმით, გადაიდგა რეალური ნაბიჯები მხარეებს შორის არსებული დაძაბულობის მოხსნისა და პრობლემური საკითხების მოგვარების მიზნით.

ჩხიკვიშვილის თქმით, ამ ეტაპზე მთავარია შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის მუშაობის დაწყება ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ზონის დემილიტარიზაციის მიზნით.

გიორგი ხაინდრავას განცხადებით, რუსეთის ელჩმა უნდა გადასცეს უმაღლეს ხელისუფლებას, რომ თუ რუსეთი მიღწეული შეთანხმებების შესრულების გარანტი არ იქნება და შეთანხმებები კვლავ ქაღალდზე დარჩება, საქართველო იძულებული იქნება სხვა გზები ეძიოს და რეალურად გადახედოს შექმნილ ვითარებას.

"ეს არის ბოლო შანსი და შედეგები უახლოეს კვირებში უნდა იყოს შესამჩნევი", - განაცხადა გიორგი ხაინდრავამ.

სახელწიფო მინისტრის თქმით, ქართული მხარე უახლოეს დღეებში ცალმხრივ რეჟიმში დაიწყებს სანგრების ამოვსებას და მიესალმება, თუ ოსური მხრიდანაც იგივე პროცესი დაიწყება.

შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომა, სავარაუდოდ, 20-25 აპრილს ცხინვალში გაიმართება.

*ინტერპრესნიუსი*

## გიორგი ხაინდრავამ აშშ-ს ელჩს შსკ-ს სხდომის შედეგები გააცნო

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის შედეგები სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ გუშინ, საქართველოში აშშ-ს ელჩს ჯონ ტეფტს გააცნო.

როგორც ელჩმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მხარეებმა ვლადიკავკაზში გარკვეულ პროგრესს მიაღწიეს. მან იმედი გამოთქვა, რომ მოლაპარაკების შედეგად, წინსვლა სამშვიდობო გეგმის შემუშავებისა და დემილიტარიზაციის კუთხითაც იქნება.

სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას განცხადებით, აშშ-ს შესაძლებლობა აქვს რეგიონში პოლიტიკური ძალები დააბალანსოს.

"დღეს რომ ეს ბალანსი არ არსებობს, კარგად ჩანს შსკ-ს სხდომებზე, სადაც რუსეთის ინტერესები სამი მხარის მიერაა წარმოდგენილი", - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

მისივე თქმით, ამერიკელი პარტნიორები კმაყოფილნი არიან იმით, რომ შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში შეიქმნება ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამშვიდობო პროგრამაზე მუშაობას დაიწყებს.

27-29 მარტს, ვლადიკავკაზში გამართულ შსკ-ს სხდომაზე მხარეები შეთანხმდნენ შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც საქართველოს სამშვიდობო გეგმისა და კოკოითის სამშვიდობო ინიციატივების გათვალისწინებით, კონფლიქტის დარეგულირების კონკრეტულ პროგრამას შეიმუშავებს.

მხარეები ასევე შეთანხმდნენ ჩამოაყალიბონ რეგიონში განსახორციელებელი პრიორიტეტული სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა.

სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის მონაწილეებს გადასცა კანონპროექტი რესტიტუციის შესახებ.

წინასწარი მონაცემებით, შერეული საკონტროლო კომისიის შემდგომი სხდომა აპრილის ბოლოს ცხინვალში გაიმართება, სადაც, სავარაუდოდ, გაირკვევა ნოღაიდელი-კოკოითის შეხვედრის თარიღი.

*ინტერპრესნიუსი*

# მშენებლობა კონკურსის დასრულებამდე დაიწყო

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

*ბათუმის მერიაში ტენდერებისა და კონკურსების ფორმალურად გამოცხადების სერია გრძელდება. ტერიტორიაზე, რომელზეც კონკურსი ერთი თვის წინ გამოცხადდა და განაცხადების მიღება მხოლოდ 28 მარტს დასრულდა, სამშენებლო სამუშაოები უკვე დასასრულს უახლოვდება.*



ბარათაშვილის ქ.N19-ში, დიდი ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახმედ მელაშვილის ქუჩის მხრიდან არსებული 100 კვ/მ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გაცემაზე, ელექტროქვესადგურის აშენების მიზნით, კონკურსი 28 თებერვალს გამოცხადდა. მსურველებს განცხადების შესატანად ერთი თვე მიეცათ. საბუთების მიღება 28 მარტს დასრულდა და ამ დღესვე გაიხსნა დალუქული პაკეტი. კონკურსის პირობა მხოლოდ ერთი მსურველისთვის გამოდგა მისაღები. აჭარის ენერგოკომპანიამ სურვილი გამოთქვა, აღნიშნულ ტერიტორიაზე ელექტროქვესადგური აეშენებინა.

მშენებლობა კი უფრო ადრე, მიმდინარე წლის 13 მარტს დაიწყო და მალე დასრულდება. **"აქ ელექტრო "ტეპეს" ვაშენებთ. სამუშაოები 13 მარტს დაიწყო. ტერიტორიის ფართი, დაახლოებით, 100 კვადრატული მეტრია. ეს ობიექტი მიმდებარე ტერიტორიას მოემსახურება. მშენებლობა დაახლოებით ათ დღეში დასრულდება,"** - ამბობს ვახტანგ დავითაძე, რომელიც ამ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოებს ხელმძღვანელობს.

ქალაქის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურში ამბობენ, რომ მშენებლობა კონკურსის დასრულებამდე ვერ დაიწყებოდა, და შესაძლოა, დიდი ბანკის გვერდით დაწყებული მშენებლობა კერძო ტიპის იყოს. განსხვავებულია ვიცე-მერის, რობერტ ჩხაიძის პასუხი: **"კონკურსი უკვე დასრულდა და იქ ელექტროქვესადგური შენდება. ეს ტერიტორია აჭარის ენერგოკომპანიამ საკუთრების უფლებით შეიძინა."**

**"პაკეტები დღეს (28 მარტს) გაიხსნა და საჯარო მოსმენა გაიმართა. გამარჯვებული ჯერ არ გამოვლენილა, კანონით გადაწყვეტილების გამოტანამდე ერთი თვის ვადა გვაქვს. მხოლოდ ერთი წინადადება შემოვიდა და ისიც აჭარის ენერგოკომპანიიდან"**, - ეს საკონკურსო კომისიის წევრმა, ავთო კიკვაძემ გვითხრა.

საბუთების მიღება გუშინ რომ დასრულდა, ამაზე აჭარის ენრგოკომპანიის დირექტორი, გურამ ჟღენტიც საუბრობს, ენერგოკომპანიის მშენებლობის პროცესში მონაწილეობას კი უარყოფს: **"გუშინ დავასრულე საბუთების შეტანა, თორემ განცხადება ორი თვის წინ შევიტანე და ჩემს განცხადებას მოჰყვა ამ ტენდერის გამოცხადება. მშენებლობის პროცესში ჩვენ არ ვართ ჩართული, მერია აშენებს მაგას. აქ შენდება "ტეპე" - სატრანსფორმატორო პუნქტი. საერთოდ, ენერგოკომპანიის გარეშე ეგ ვერ აშენდება, ჩვენგანაა გაცემული ტექნიკური პირობა და ყველაფერი, რაც საჭიროა, მაგრამ სატენდერო მასალებს ჯერ არ ვიცნობ"**.

იურისტი გენო გელაძე ამ ყველაფერს ასეთ შეფასებას აძლევს: **"თუ მშენებლობა იმ კონკურსამდე დაიწყო, რომელიც ძალაში ჯერ არ შესულა, ეს კანონის არსებითი დარღვევაა. შეიძლება კონკურსი მორგებული იყო იმაზე, ვისაც უნდა გაემარჯვა. უნდა დაისვას იმ სამსახურის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც ამ კონკურსის გამოცხადებას ხელმძღვანელობს და იმ სამსახურის, რომელიც მშენებლობას აწარმოებს. ლოგიკურად ხომ არის შესაძლებელი, სხვა მყიდველი გამოჩენილიყო? ჯერ შედეგები უნდა გამოცხადდეს ბათილად და შემდეგ ხელახალი კონკურსი გამოცხადდეს"**.

# დაპირისპირება საკრებულოში

*გუშინ, საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტი 20 მილიონი ლარით გაიზარდა. გაზრდილი ბიუჯეტი და დღეიდან 7 თეთრით მომატებული გაზის ტარიფი საპრეზიდენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის დაპირისპირების საბაბად იქცა.*

თამარ დვალი

**"ცვლილებები, რომელიც ახლა შედის ბიუჯეტში, არის პრეზიდენტის მითითებით დამატებული თანხა. ვიცით, რომ ეს თანხა კეთილმოწყობის სამსახურს უნდა დაემატოს, თუმცა რაში დაიხარჯება 20 მილიონი ლარი, ამის პროგრამა არ არსებობს. ბიუჯეტის განკარგვაში ბევრი კანონდარღვევაა. მერიის კეთილმოწყობის სამსახურს ოთხი მილიონი ლარი ჰქონდა რიყის განაშენიანებისთვის ჩადებული. მას უნდა გამოეცხადებინა ტენდერი რიყის განაშენიანებაზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს ადგილი ქალაქის საკუთრებაში დარჩებოდა. ამჟამად ქალაქის მთავრობას რიყის გასხვისებაზე ტენდერი აქვს გამოცხადებული,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ფრაქცია "ახლების" წევრმა თემურ ბილიხოძემ. მისივე თქმით, მაშინ, როდესაც ეს ტერიტორია გაიყიდება, გაურკვეველია, რას მოხმარდება რიყის განაშენიანებისთვის ბიუჯეტში ჩადებული ოთხი მილიონი ლარი. ბილიხოძის განმარტებით, ამავე სამსახურს უნდა გამოეცხადებინა ტენდერი მიწისქვეშა გადასასვლელების მომსახურებაზეც. თუმცა, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, ამჯერადაც მთავრობამ გამოაცხადა ტენდერი მათი იჯარით გაცემაზე, და არა მოწყობაზე. **"სად მიდის ბიუჯეტში ასეთი გზით გაწერილი მილიონები, ვერავინ გვპასუხობს. ამბობენ, რომ ამას მერე მოიფიქრებენ... მსგავსი გაურკვეველი პუნქტები მრავლადაა ბიუჯეტში,"** – განაცხადა ბილიხოძემ.

ოპოზიცია გუშინ 20 მილიონი ლარით გაზრდილი ბიუჯეტიდან პედაგოგების დაზღვევისთვის თანხის გამოყოფას ითხოვდა, რაზეც საპრეზიდენტო უმრავლესობისგან კატეგორიული უარი მიიღო.

**"აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო კომპანიას, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო სოციალურად დაუცველი ფენის დაზღვევა, ტენდერში 11 ათასი პედაგოგისთვის პოლისის გაცემაც ევალებოდა. რატომღაც ეს კატეგორია შემდეგ ამოიღეს ნუსხიდან. ახლა, როდესაც გაიზარდა ბიუჯეტი, ჩვენ თანხის ამ კუთხით განკარგვას ვითხოვთ, თუმცა უმრავლესობა გაურკვეველი მიზეზების გამო უარს აცხადებს,"** – აღნიშნეს გუშინ ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტისა" და "ახლების" წარმომადგენლებმა. მათივე თქმით, არსებობს 21 ათასი ბენეფიციარი, რომლებსაც, საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქის ბიუჯეტიდან გადახდილი თანხებით ყოველთვიურად 40 კბ.მ. ბუნებრივი აირი უფასოდ მიეწოდებოდათ. უკვე სამი თვეა, რაც ეს შეღავათები აღარ ვრცელდება. როგორც უმრავლესობა აცხადებს, ამ შეღავათებს ცენტრალური ბიუჯეტი დააფინანსებს.

**"გაზის ტარიფი რომ იზრდება, ეს ჩვენი ბრალი არ არის. ტარიფის შენარჩუნება ვერც შუა აზიასთან მოლაპარაკებისა და ვერც თბილგაზის გაყიდვით ვერ მოხერხდა. რუსეთი ამ საკითხს პოლიტიკურ ბერკეტად იყენებს და რადგანაც მან გაგვიზარდა გაზის საფასური, თავისთავად მოიმატა ტარიფმაც. იყო საუბარი, რომ ამ სხვაობას დაფარავდა სახელმწიფო, თუმცა ამჟამად ბიუჯეტში მსგავსი თანხა არ არის გათვალისწინებული,"** – განაცხადა საპრეზიდენტო უმრავლესობის ლიდერმა ნანული ქაჩიბაიამ. მისივე თქმით, გაზთან დაკავშირებული ყველანაირი მოვალეობები საკრებულომ ფედერალურ ბიუჯეტს გადააბარა. შეღავათებს, რომელსაც საკრებულო აფინანსებდა დედაქალაქის ბიუჯეტიდან, ახლა ფედერალური ბიუჯეტი გადაიხდის.

**"ამ ხალხს შეღავათები საკრებულოს გადაწყვეტილებით მიენიჭა და როგორ დააფინანსებს ფედერალური ბიუჯეტი, გაურკვეველია. ეს გადაწყვეტილება კანონთან შეუსაბამობაში მოდის. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი აპრილიდან გაზის საფასური 7 თეთრით იმატებს. იქნებ გაზრდილი ბიუჯეტიდან თანხები ამ საკითხის მოსაგვარებლადაც გამოგვეყენებინა,"** – განაცხადეს "მემარჯვენეებმა".

ოპოზიციის ორივე ინიციატივა ხმების არასაკმარისი რაოდენობის გამო ჩავარდა. უმრავლესობა გაზრდილი ბიუჯეტით კვლავ ფასადების შეღებვასა და გზების დაგებას გეგმავს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, "საქართველოს უსინათლოთა კავშირი" 122 კოდირებულ ბარათს უფასოდ მიიღებს, რომლითაც მეტროთი მგზავრობას შეძლებენ.

გარდა ამისა, საკრებულოს გადაწყვეტილებითვე, უსინათლოებისა და უნარშეზღუდული ოჯახებისთვის შეღავათები დაწესდა საცხოვრებელი კორპუსების გადახურვის დროს. კერძოდ, სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის პროექტის ფარგლებში, იმ კორპუსებისთვის, სადაც უსინათლოები ცხოვრობენ, სახლების გადახურვის პროექტით გათვალისწინებული წილობრივი მონაწილეობა 15 პროცენტის ნაცვლად 10 პროცენტი იქნება.

## მოკლედ

### მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში ვიზიტი გადაიდო

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში დაგეგმილი ვიზიტი არ შედგება.

ვიზიტი 3 აპრილისთვის იყო დაგეგმილი, თუმცა, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, იგი ტექნიკური მიზეზების გამო გადაიდო.

მიხეილ სააკაშვილი კიევს მოგვიანებით მაინც ეწვევა. ამ დროისთვის, ვიზიტის ახალი თარიღი ცნობილი არ არის.

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი ორდღიანი ვიზიტით კიევში უნდა გამგზავრებულიყო.

წყაროს ცნობით, ძალაში რჩება პრეზიდენტ სააკაშვილის 10 აპრილისთვის დაგეგმილი ვიზიტი ჩინეთში. **ინტერპრესნიუსი**

### კათალიკოს-პატრიარქმა პრეზიდენტ გამსახურდიას სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა

საქართველოს პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას დღეს 67 წელი შეუსრულდებოდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში, პრეზიდენტ გამსახურდიას სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა

პანაშვიდს გამსახურდიას მეუღლე მანან არჩვაძე-გამსახურდია და პრეზიდენტის მეგობრები ესწრებოდნენ.

პირველი პრეზიდენტის დაბადებისა დღისა და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე 1991 წლის 31 მარტის ჩატარებულ რეფერენდუმთან დაკავშირებით, თბილისში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. **ინტერპრესნიუსი**

### იგორ გიორგაძის პარტია საარჩევნო ბარიერის დაწევას ითხოვს

საქართველოს პარლამენტის წინ გუშინ იგორ გიორგაძის პარტია "სამართლიანობისა" და გაერთიანება "ანტისოროსის" აქცია გაიმართა. მასში დაახლოებით 2500 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. საპროტესტო აქციას ესწრებიან რეგიონებიდან ჩამოსული მოქალაქეებიც.

აქციაზე სიტყვით გამოვიდნენ ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია- პარტია "სამართლიანობის" სხვადასხვა რაიონის პოლიტიკური მდივნები. ისინი მოითხოვენ საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომას.

"დროა, სამართლიანობამ იზეიმოს" და "იგორ, იხსენი საქართველო სოროსისაგან", - აქციაზე ასეთი ტრანსპარანტები იყო გამოტანილი.

იგორ გიორგაძის პარტია ითხოვს, აგრეთვე, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას, რომლის მიხედვითაც, პარტიები, რომლებიც ორპროცენტიან ბარიერს გადალახავენ, მოხვდებიან პარლამენტში. **მედიანიუსი**

### ელიავას ბაზრობა ადგილმდებარეობას შეიცვლის

ელიავას №34-ში მდებარე საშენმასალების ბაზრობა, უახლოეს მომავალში ადგილმდებარეობას შეიცვლის. ეს საკითხი დღეს თბილისის საკრებულოს სხდომაზე, საკრებულოს უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა ვახტანგ გოძიაშვილმა დააყენა.

მისი განცხადებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებლებმა საკრებულოს თხოვნით მიმართეს, დაუყოვნებლივ იქნეს გადატანილი ბაზრობა ქალაქის გარეუბანში, რადგან იქ არსებული მტვერი მოსახლეობის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

როგორც ვახტანგ გოძიაშვილმა განაცხადა, მოსახლეობამ ამ მიზნით 500-მდე ხელმოწერა შეაგროვა, რათა დაუყოვნებლივ შესრულდეს ეს გადაწყვეტილება. ამ მიზნით, თბილისის საკრებულოში შეიქმნება ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც ბაზრობის გადატანის საკითხს შეისწავლის. უახლოეს მომავალში გაირკვევა, სად იქნება გადატანილი ელიავას ქუჩაზე მდებარე საშენმასალათა ბაზრობა. აღნიშნული ბაზრობის გადატანის მოთხოვნით ცოტა ხნის წინ იქ მცხოვრებლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. **ინტერპრესნიუსი**

### მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის სურვილი 32 ათასზე მეტმა აბიტურიენტმა გამოთქვა

2006 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის სურვილს ამ დროისთვის 32 630 აბიტურიენტი გამოთქვამს. როგორც "მედიანიუსს" გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრში განუცხადეს, რეგისტრაცია სწორედ ამდენმა აბიტურიენტმა გაიარა.

აბიტურიენტებმა, რომლებიც სკოლას წელს ამთავრებენ, რეგისტრაცია მათივე სკოლებში, გასული წლების კურსდამთავრებულებმა კი სარეგისტრაციო პუნქტებში გაიარეს. სარეგისტრაციო პროცესი 15 მარტს დასრულდა. ივნისის შუა რიცხვებიდან რეგისტრაცია უკვე იმ აბიტურიენტებისთვის დაიწყება, რომლებმაც რეგისტრაცია თავის დროზე საპატიო მიზეზით ვერ გაიარეს. ეს მიზეზია სარეგისტრაციო პერიოდში ოჯახის წევრის გარდაცვალება.

15 ივნისიდან რეგისტრაციას ის აბიტურიენტებიც გაივლიან, რომლებმაც რეგისტრაცია დროულად, საზღვარგარეთ ცხოვრების ან იქ სასწავლებლად ყოფნის გამო ვერ გაიარეს. თუმცა, საპატიო მიზეზები სარეგისტრაციო პუნქტში დოკუმენტურად უნდა იყოს დასაბუთებული.

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2006 წლის 10-დან 24 ივლისამდე ჩატარდება.

ცნობისათვის: ერთიან ეროვნულ გამოცდებში შარშან მონაწილეობა 31 178 აბიტურიენტმა მიიღო. **მედიანიუსი**

# მიწა, რომელზეც პოლიკლინიკა დგას, იყიდება

*საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინიტრომ ვაჟა-ფშაველას N27ა-ში მდებარე შპს "საკონსულტაციო სამკურნალო ცენტრის" გასხვისებაზე აუქციონი 20 მარტს გამოაცხადა. ცენტრის საწყისი ფასი ერთი მილიონი ამერიკული დოლარია. ექიმები აუქციონის ჩატარების წინააღმდეგი არიან და ცენტრის კონკურსის წესით გაყიდვას ითხოვენ, რათა შენარჩუნებული იქნეს პროფილი.*

თამარ დვალი

რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში მდებარე პოლიკლინიკა, რომელიც ადრე რესპუბლიკური საავადმყოფოს დაქვემდებარებაში იყო, 1970 წლიდან ფუნქციონირებს. რამდენიმე წლის წინ, მედიცინის სფეროში დაწყებული რეფორმების შედეგად, პოლიკლინიკა ჯერ სახაზინო საწარმოდ გადაკეთდა და თვითდაფინანსებაზე გადავიდა, შემდეგ კი, შპს "საკუნსულტაციო სამკურნალო ცენტრად" ჩამოყალიბდა. 1993 წლიდან ცენტრის ბაზაზე განლაგებულია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიკლინიკაც.

როგორც შპს "საკუნსულტაციო სამკურნალო ცენტრის" კოლექტივი აცხადებს, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, როდესაც სამედიცინო ობიექტების პრივატიზაცია მოხდა და პოლიკლინიკების უმეტესობა კერძო საკუთრებაში გადავიდა, მათაც გამოთქვეს სურვილი პირდაპირი შესყიდვის წესით მოეხდინათ პოლიკლინიკის პრივატიზაცია, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო უარი ეთქვათ.

**"მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა და საპრივატიზაციო კონკურსი გამოცხადდა, ჩვენ საერთო კრების სახელით მივმართეთ ჯანდაცვის მინისტრს ვლადიმერ ჭიპაშვილს, რათა ეშუამდგომლა ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ჩვენი დაწესებულების კონკურსის წესით პრივატიზებასთან დაკავშირებით. ეს კი, არსებული სამედიცინო პროფილისა და სამუშაო ადგილების შენარჩუნების შესაძლებლობას მოგვცემდა. ჩვენი თხოვნის მიუხედავად, ეკონომიკის სამინისტრო სასწრაფო წესით აცხადებს აუქციონს მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ჩვენი პოლიკლინიკა მდებარეობს. გამოდის, რომ უნდა გაუქმდეს პოლიკლინიკა და ასობით ადამიანი უმუშევარი დარჩეს,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას შპს "საკონსულტაციო სამკურნალო ცენტრის" საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარემ, დავით ღოლობერიძემ. მისივე თქმით, მათი ცენტრის გარდა ოთხსართულიან შენობაში განთავსებულია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა პოლიკლინიკა, სამედიცინო ცენტრი "კურაციო", სასწრაფო დახმარება "არდი" და კიდევ რამდენიმე კერძო სამედიცინო კაბინეტი.

**"ჩვენი ინფორმაციით, ამ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის შესყიდვით დაინტერესებული არიან გარკვეული პირები, რომლებიც სამედიცინო დაწესებულების ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების აშენებას გეგმავენ,"** – აღნიშნა ღოლობერიძემ.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, ვლადიმერ ჭიპაშვილმა მათ მართლაც მიმართა წერილობით თუმცა, ამის მიუხედავად, აღნიშნული ობიექტის გაყიდვა აუქციონის წესით მაინც მოხდება.

**"აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, მათ შორის შპს "საკუნსულტაციო სამკურნალო ცენტრის" წარმომადგენლებსაც. ხალხი მიეჩვია, იმას, რომ შენობები იაფად იყიდებოდა და ახლაც იაფად უნდათ ჩაიგდონ ხელში. პრეტენზიების მიზეზიც სწორედ ეს არის. ჩვენი გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიცვლება,"** - განაცხადა ეკონომიკის სამინისტროს საპრივატიზაციო დეპარტამენტის თავჯდომარემ ილია გოცირიძემ. მისივე თქმით, ინვესტორის გადასაწყვეტია, თუ რას ააშენებს ამ ტერიტორიაზე.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინტერნეტ გვერდზეა მითითებული, ვაჟა-ფშაველას 27ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობების ფართი 3 415 კვ.მეტრს შეადგენს, ხოლო საერთო მიწის ფართობი 4 669 ათას კვ.მეტრია. საწესდებო კაპიტალის ფასი 247 610 ლარია, თუმცა აუქციონზე ობიექტის საწყისი ფასი ერთ მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. განცხადებების მიღების ბოლო ვადა 20 აპრილია.

ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს საკითხი მთლიანად ეკონომიკის სამინიტროს გადასაწყვეტია. **"ვერ ვიტყვი, რომ რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში მდებარე პოლიკლინიკა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტია, თუმცა რომც გვინდოდეს მისი შენარჩუნება, საამისოდ ბერკეტები არ გაგვაჩნია. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სამინისტროს დაქვემდებარებაში არც ერთი სამედიცინო ობიექტი არ გახლავთ. ჩვენ მათგან მხოლოდ მომსახურებას ვყიდულობთ,"** – განაცხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ მეგრელიშვილმა.

შპს "საკონსულტაციო სამკურნალო ცენტრის" წარმომადგენლების თქმით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, რესპუბლიკური საავადმყოფოს სრული რეაბილიტაციის პერიოდში საუნივერსიტეტო ბაზად სწორედ მათი პოლიკლინიკა მოიაზრებოდა.

**"საერთაშორისო დონორები, რომლებიც დახმარებას უწევენ სამედიცინო უნივერსიტეტს, შემდეგი პირობების შესრულებას ითხოვენ. პირველ რიგში, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უნდა გარემონტდეს, გაკეთდეს სტუდენტური სასადილო და შეიქმნას პოლიკლინიკური ბაზა, რაც სამედიცინო უნივერსიტეტს დღეისთვის არ გააჩნია. დაგეგმილი იყო ჩვენი ცენტრისა და რესპუბლიკური საავამდყოფოს გაერთიანება, რომელიც შემდეგ სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო ბაზა გახდებოდა,"** – აღნიშნა დავით ღოლობერიძემ. მისივე განმარტებით, ამ საკითხთან დაკავშირებით მათ სამედიცინო უნივერსიტეტის ყოფილ რექტორთან, დავით თელიასთანაც ჰქონდათ საუბარი. არსებობს კონკრეტული პროექტიც, თუმცა, ამჟამად დავით თელია გათავისუფლებულია თანამდებობიდან და გაურკვეველია რამდენად გაიზიარებს ამ მოსაზრებას ახალი რექტორი.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# რუსული ბაზების გაყვანა ქალალდზეც გაფორმდა

პირველი გვერდიდან

მიღწეული შეთანხმების რეალიზაციისთვის ქართული მხარე, ასევე, საქართველოს წყლებში და პორტებში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდების შესვლის გამარტივებულ პროცედურას უზრუნველყოფს.

როგორც შეხვედრის ბოლოს გაკეთებული კომენტარებიდან ჩანს, მხარეები ხელმოწერილი დოკუმენტებითა და მიღწეული შეთანხმებებით კმაყოფილნი არიან. მამუკა კუდავამ ხელმოწერის ცერემონიალის დასრულების შემდეგ "გამარჯვებული" მუშტი ასწია. ბედნიერების მომასწავებლად შეირაცხა ცერემონიალზე შემთხვევით დამტვრეული შამპანიურის ჭიქებიც.

მამუკა კუდავაც და ალექსეი მასლოვიც პირობას დებენ, რომ მათი ქვეყნები დოკუმენტში გაწერილ შეთანხმებებს განუხრელად დაიცავენ. როგორც გენერალ-პოლკოვნიკი ალექსეი მასლოვი აცხადებს, საქართველოდან გაყვანილ ჯარებს რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიასა და სომხეთში – გიუმრის რუსულ სამხედრო ბაზაში გადაამისამართებს.

სოჭის შეხვედრამ "ნახევრადხუმრობის" ხასიათზე დააყენა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც სოჭში ხელმოწერილ დოკუმენტს თბილისიდან საგანგებო ბრიფინგით გამოეხმაურა. **"პროცესი, რომელსაც რუსეთი ერთი წლის განმავლობაში აჭიანურებდა, შეიძლება დასრულებულად მივიჩნიოთ. ეს არის პროცესი, როდესაც მთავრდება რუსეთის სამხედრო ძალების 200-წლიანი ყოფნა საქართველოში. ახლა დაგვრჩა გუდაუთის ბაზა, არ უნდა მივცეთ არავის საშუალება თვალში ნაცარი შეგვაყარონ და ეს ბაზა უმოკლეს ვადაში რეალურად უნდა იქნას გაყვანილი. ნახევრად ხუმრობით უნდა ვთქვა, რომ სამი წლის განმავლობაში, როდესაც რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის რეჟიმში იქნებიან, მათ მოუწევთ დაახლოებით იგივე რაოდენობის ღვინის მოხმარება, რაც ჩვენს კომპანიებს რუსეთის ბაზარზე უნდა გაეყიდათ,"** - განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

სოჭში ხელმოწერილ დოკუმენტს "ურთიერთხელსაყრელს" უწოდებს რუსეთის ელჩი საქართველოში ვლადიმირ ჩხიკვიშვილი. **"შეთანხმება მხარეებს შორის ურთიერთხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით მოხდა და ხელშეკრულებებში ყველა პირობა და საკითხი დეტალურად არის გაწერილი,"** - აღნიშნა ჩხიკვიშვილმა.

სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების ვალდებულება რუსეთმა ჯერ კიდევ 1999 წელს სტამბულის სამიტზე აიღო. გარდატეხა ამ საკითხში 2005 წლის პირველ ნახევარში მოხდა, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა რუს კოლეგასთან ბაზების საქართველოდან გაყვანის ვადები შეათანხმა. ამ საკითხზე ერთობლივ განცხადებას ზურაბიშვილმა და ლავროვმა 2005 წლის 30 მაისს მოაწერეს ხელი.

# ვალერი გელაშვილი - „შერჩევითი სამართლის" მსხვერპლი

პირველი გვერდიდან

როგორ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, თავის მტკიცებულებებში ორივე მხარე მართალია: ვალერი გელაშვილმა რომ კანონის ზღვარს გადააბიჯა, მართალია, უმრავლესობა დოკუმენტურად ვერ ადასტურებს, მაგრამ ამაში თითქმის არავის ეპარება ეჭვი. თუმცა, ისიც ნათელია, რომ ოპოზიციონერი პარლამენტარი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს და ის მმართველ გუნდთან დაპირისპირების მსხვერპლია.

პარლამენტიდან ვალერი გელაშვილის განკვეთით საპარლამენტო უმრავლესობამ ერთბაშად ორი სარგებელი ნახა. ჯერ ერთი, კობა ბექაურის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟისთვის ოპოზიციას სამაგიერო მიუზღო და მეორე - ხელისუფლების მხარდამჭერი, მაგრამ მერყევი დეპუტატები დააშანტაჟა: უცოდველი არც თქვენ ხართ, თუ ურჩობას გაბედავთ, თქვენი მაკომპრომეტირებელი, ბიზნესინტერესების არსებობის დამადასტურებელი მასალების მოძიებაც არ გაგვიჭირდება და იგივე მოგელით, რაც ვალერი გელაშვილს. ასეთია სახელისუფლებო გუნდის "შერჩევითი სამართლის" მთავარი გზავნილი, რომლის ადრესატებიც, ძირითადად, მაჟორიტარი დეპუტატები არიან.

საკმაოდ მიამიტურად გამოიყურება ოპოზიციის მუქარა იმის შესახებ, რომ უმრავლესობის წევრი დეპუტატების ბიზნესინტერესებს გამოამზეურებს. სახელისუფლებო ფრაქციის ხელმძღვანელობისთვის ეს ნამდვილად არ იქნება სენსაცია - მას დღესაც კარგად მოეხსენება, რომ თანაგუნდელთა დიდი ნაწილი "ორმაგ ჭაპანს" ეწევა და მათი მორჩილებაში ყოლისთვის ამას დამოკლეს მახვილად იყენებს.

ამასთან, სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ უმრავლესობას ოპოზიციონერი დეპუტატის კანონდარღვევაში მხილების შესაძლებლობა მიეცა და მან ამ შანსის გამოყენება სცადა. სხვა საქმეა, ტექნიკურად როგორ მოხერხდა ეს. ხელისუფლების საშემსრულებლო ტექნიკა კი საკმაოდ სუსტია და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

გუშინდელი განხილვის დროს ოპოზიციამ უმრავლესობის ბრალდებები ყველა მუხლში დაანგრია და გაირკვა, რომ ამ ბრალდებების კასკადი მთლიანად მხოლოდ ჰიპოტეზებზე და კერძო მოსაზრებებზეა დამყარებული. გამოაშკარავდა, რომ კახა ლომაიასთან სტუმრობის დროს, ვალერი გელაშვილი ვერ შეძლებდა თავისი ბიზნესის ლობირებას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ 84-ე სკოლა მუნიციპალურ საკუთრებას წარმოადგენს, მას მერია განკარგავს და მისი გაყიდვა-არგაყიდვის საკითხს განათლების მინისტრი არ წყვეტს.

ბრალდების მეორე ეპიზოდი ის არის, რომ შპს "ქართლი" ვალერი გელაშვილის მფლობელობაშია და იგი განკარგავს. მაგრამ აქ აუცილებელია "მცირე" განმარტება: ეს ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის აწ უკვე ყოფილი წევრი კი არა, არამედ მისი შვილია, რომელიც მამის სახელსა და გვარს ატარებს.

ბრალდების მესამე ეპიზოდი შეეხება შპს "ევრას", რომელშიც ვალერი გელაშვილმა თავისი წილის მართვის უფლება 2000 წლის 26 სექტემბრიდან 2004 წლის 26 სექტემბრამდე დედამისს გადასცა, ხოლო 2004 წლის 7 ივლისიდან - თავის მეუღლეს. ამდენად, რაიმე რეალურად ხელმოსაჭიდი არც აქ აღმოჩნდა.

გამაოგნებელია ის რეაქტიული აჩქარებაც, რომლითაც უმრავლესობამ ვალერი გელაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების საკითხი შეიტანა გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში. ამ მიზნით, ნინო ბურჯანაძემ სხდომა შეწყვიტა და სასწრაფოდ ჩაატარა ბიუროს რიგგარეშე სხდომა, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. რატომ არ შეიძლებოდა საკითხის რამდენიმე დღით გადადება და საკითხის მომდევნო პლენარულ სხდომაზე განხილვა, უმრავლესობა ვერაფრით ხსნის.

იმას, რასაც ვერ (არ) ამბობს უმრავლესობა, ლოგიკურად ასაბუთებს ოპოზიცია. კახა კუკავას მტკიცებით, ხელისუფლების აჩქარების მიზეზი ის არის, რომ პრეზიდენტი დაემუქრა პარლამენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელობას: თუ პარასკევისთვის გელაშვილს დეპუტატობას არ შეუწყვეტდნენ, ამაზე საკუთარი თავით აგებდნენ პასუხს. ამ მტკიცებულებამ გუშინდელ სხდომაზე რამდენჯერმე გაიჟღერა, მაგრამ უმრავლესობას ერთხელაც არ უარუყვია.

**"დანარჩენ ოპოზიციას, გელაშვილივით, ჯერ გვცემთ და მერე გაგვყრით პარლამენტიდან, თუ სულგრძელობას გამოიჩენთ და მხოლოდ სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტით დაკმაყოფილდებით?"** - ხელისუფლების პოზიციაში გარკვევას ცდილობს "მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძე.

**"ლუკაშენკოსაც კი არ გაუკეთებია ის, რომ ოპოზიციონერი დეპუტატი პარლამენტიდან გაეგდო,"** - ხელისუფლების ქმედებების "დიაპაზონით" გაკვირვებულია კახა კუკავა.

კენჭისყრის შემდეგ ოპოზიციამ, პროტესტის ნიშნად, დარბაზი დატოვა და პლენარულ სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადა. პროტესტის პასიურ ფორმასთან ერთად, ოპოზიცია აპირებს პარლამენტის გუშინდელი გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივროს, ხოლო თუ ეს ნაბიჯი შედეგს არ გამოიღებს, მაშინ ის სტრასბურგის სასამართლოს მიმართავს.

# კახეთში ინდივიდუალური გამრიცხველიანება დაიწყო

*გუშინ ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური კახეთის რეგიონს ესტუმრა. იგი რეგიონში ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესს ადევნებდა თვალყურს. როგორც გილაურმა განაცხადა, თელავი ერთ-ერთი პირველი ქალაქია, სადაც ინდივიდუალური მრიცხველების დადგმა დაიწყო.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

სანამ ენერგეტიკოსები ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას ბოლომდე განახორციელებენ, კახეთში მოსახლეობის ნაწილი მათი საქმიანობით უკმაყოფილებას გამოთქვამს და "ენერგოდისტრიბუციის" ხელმძღვანელებს თანხების უკანონოდ მითვისებაში ადანაშაულებს. როგორც აბონენტები ამბობენ, ოფიციალური გადასახადების გარდა, დისტრიბუციის თანამშრომლები მათგან სხვა თანხების გადახდასაც ითხოვენ. სწორედ ამის გამო, გასულ კვირას კახეთის რეგიონის რამდენიმე სოფელში საპროტესტო აქციები გაიმართა. თელაველების პრეტენზიებს გუშინ ნიკა გილაური ჟურნალისტების თანდასწრებით პასუხობდა. ენერგეტიკის მინისტრს მიაჩნია, რომ პრობლემის გადაწყვეტის ბერკეტი სწორედ ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟებაა. **"ამ ყველაფერს სჭირდება დრო. გაუგებრობის მიზეზი კი ძველი კომუნალური მრიცხველებია, თუმცა ჩვენ მოსახლეობასთან ერთად ვცდილობთ გამოვასწოროთ მდგომარეობა,"** - ამბობს გილაური.

ამ დროისთვის ინდივიდუალური გამრიცხველიანება კახეთში 5 ათას ოჯახში განხორციელდა. ბოლო მრიცხველის დამონტაჟებას კი ენერგეტიკის მინისტრი თავად დაესწრო და მან მეხუთიათასე აბონენტს საჩუქრად ფერადი ტელევიზორი გადასცა. გუშინვე მინისტრმა აბონენტებს ის საბანკო ბარათები გადასცა, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას დახარჯული კილოვატების საფასურის გადახდა შეეძლება.

ინდივიდუალური გამრიცხველიანება, თელავის გარდა, კახეთის კიდევ ორ რაიონში - გურჯაანში და საგარეჯოში იგეგმება. მრიცხველებზე შეკვეთაა მიცემული და მისი ღირებულება 38 ლარს შეადგენს. მრიცხველებს თავად სს "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" შეიძენს.

"კახეთის ენერგოდისტრიბუცია" ამ ეტაპზე საპრივატიზაციო ნუსხაშია შეტანილი და იგი 2 მილიონ დოლარადაა შეფასებული.




ქალაქური რომანი

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში

საწყისი რიგი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან; Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან; Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან

HYUNDAI Official Partner
www.hyundai.ge
HYUNDAI Drive your way™
იარე შენი გზით



Tepe Akfen Urban
TAV Georgia

**TAV Georgia** თურქული ინვესტიციით საქართველოში დაარსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა. მისი ძირითადი საქმიანობა საქართველოში, მოიცავს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამშენებლო, საექსპლუატაციო სამუშაოებსა და დიზაინს, ხოლო ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში - დიზაინისა და Mმშენებლობის განხორციელებას. პროექტის ინვესტიციას საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (**IFC**) განაგებს.

საერთაშორისო ფინანსურმა კორპორაციამ მოამზადა გარემოს დაცვითი მიმოხილვის მოკლე ანგარიში, რომელიც მის მიერ ჩატარებული გარემოს დაცვითი და სოციალური პირობების კვლევის ნაწილს წარმოადგენს. გარემოს დაცვითი მოკლე ანგარიში საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება 2006 წლის 04 აპრილიდან; ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება **IFC** ვებგვერზე და თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალის **TAV Georgia**-ს ოფისებში.

შეკითხვებით შეგიძლიათ მიმართოთ **TAV Georgia**-ს გენერალურ მდივანს, ბ-ნ. გუჩლუ ბატკინს (მის: თბილისი საერთაშორისო აეროპორტი, ტელ: (+995 32) 43 32 02; ფაქსი: (+995 32) 43 32 20)


## მოკლედ

### ირანმა რადარებისთვის უხილავი რაკეტა გამოსცადა

ირანმა ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ შექმნილი, რადარებისათვის უხილავი რაკეტა გამოსცადა. როგორც იუწყებიან, გამოცდა ორმუზის სრუტეში მიმდინარე სამხედრო წვრთნის ფარგლებში ჩატარდა. "ირანმა რაკეტა "ფარჯ-3" წარმატებით გამოსცადა", - განაცხადა ირანის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენელმა ჰოსეინ სალამიმ ტელევიზიით გამოსვლისას. მისი თქმით, რაკეტას ერთბაშად რამდენიმე სამიზნის განადგურება შეუძლია.

გუშინ, ირანის სამხრეთში, სპარსეთის და ომანის ყურეების მიდამოებში, ფართობასშტაბიანი სამხედრო-საზღვაო წვრთნა დაიწყო. მანევრებში 17 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, დაახლოებით 1 500 სხვადასხვა საბრძოლო ხომალდი, მხარდამჭერი ავიაცია, ბომბდამშენები, ვერტმფრენები და სარაკეტო დანადგარები მონაწილეობენ.

წვრთნა 6 აპრილამდე გაგრძელდება.**ინტერპრესნიუსი**

### ტერაქტის შედეგად ოთხი ებრაელი დაიღუპა

მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ტერაქტის შედეგად ოთხი ებრაელი დაიღუპა. პოლიციის წინასწარი მონაცემებით, 29 მარტს საღამოს, ებრაული დასახლების მახლობლად ორთოდოქსი ებრაელის ტანსაცმელში გამოწყობილმა ადამიანმა ავტომანქანა გააჩერა, რომელშიც ებრაელი მოსახლეები ისხდნენ და წაყვანა სთხოვა.

ავტომანქანაში ჩაჯდომის შემდეგ უცნობმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფებამ "ალ-აქსას ბრიგადამ" აიღო.

პასუხად ისრაელის ავიაციამ ღაზას სექტორში ექსტრემისტთა ობიექტებს დარტყმები მიაყენა. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. **ინტერპრესნიუსი**

### გემის ჩაძირვის შედეგად 57-მდე მგზავრი დაიღუპა

ბაჰრეინის სანაპიროსთან გემის ჩაძირვის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 57-მდე გაიზარდა. კატარის სატელიტური ტელევიზია "ალ-ჯაზირას" ინფორმაციით, გემზე იმყოფებოდა 16 ქვეყნის 130 მგზავრი. ამ დროისათვის მხოლოდ 67 მათგანის გადარჩენა შეძლეს. გადარჩენილთაგან 30 მგზავრი მხოლოდ მსუბუქადაა დაშავებული.

გემის მფლობელი ბაჰრეინული კომპანიაა, რომლის მესვეურნიც მზად არიან გამოიკვლიონ კატასტროფის მიზეზები. მათი ვარაუდით, კატასტროფა გემის ზედმეტად გადატვირთვამ გამოიწვია. გემი მხოლოდ 100 ადამიანზე იყო გათვალისწინებული, მასზე კი 130-150 ადამიანი იმყოფებოდა. ერთ-ერთი ვერსიით, მგზავრთა უმრავლესობა გემის ერთ მხარეს იყო თავმოყრილი და სწორედ ეს გახდა ჩაძირვის მიზეზი.

კატასტროფა სანაპიროდან ორი კილომეტრის მოშორებით, შეიხ ხალიფა ბენ სალმანის ხიდიდან ჩრდილოეთით მოხდა. **მედიანიუსი**

# უცნობი თავისუფლება

FM უცნობი 92.0

### გადაცემის სტუმარია ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" თავმჯდომარე თამარ ჟვანია

**ალექსანდრე ელისაშვილი:** უკრაინაში არჩევნების შედეგი, არც ერთ პარტიასა და არც დამკვირვებლებს არ გაუპროტესტებიათ. ეს იმას ნიშნავს, რომ უკრაინაში არჩევნები სამართლიანად ჩატარდა?

**თამარ ჟვანია:** ჩვენი ორგანიზაციის 33 წარმომადგენელი სამ ოლქში აკვირდებოდა უკრაინის არჩევნებს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ხარვეზები იყო, შედეგები ნამდვილად არავის არ გაუპროტესტებია. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნები არ გაყალბდა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. არჩევნებში დაფიქსირებული პრობლემები დაკავშირებული იყო ამომრჩეველთა სიებთან. უკრაინაში პოლიტიკური კულტურა საკმაოდ მაღალია, რაც ჩვენ ნამდვილად გვაკლია.

**ა.ე.:** თხუთმეტი წლის წინ საქართველოში რეფერენდუმი ჩატარდა და მოსახლეობის 99 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას. თხუთმეტი წლის მანძილზე ეს იყო ერთადერთი და სამართლიანი არჩევნები. მაშინ არჩევნების შედეგები არავის არ გაუპროტესტებია. სამწუხაროდ, ამის შემდეგ, ყოველი არჩევნები უზარმაზარი კითხვის ნიშნებით არის. როგორია თქვენი შეფასება?

**თ.ჟ.:** იმ პერიოდში არჩევნები მართლაც სამართლიანად ჩატარდა და არავის არ გაუპროტესტებია. ანალოგიური შეიძლება ითქვას "ვარდების რევოლუციის" შემდგომ ჩატარებულ არჩევნებზეც. 2004 წლის შედეგები, ნამდვილად არ ყოფილა შეცვლილი, თუმცა პროცედუალური დარღვევები იყო. ყველაზე მძიმედ ითვლება 2003 წლის 2 ნოემბერის არჩევნები, რომელსაც მოჰყვა კიდეც "ვარდების რევოლუცია"... უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებით, ამ ეტაპზე საქართველოს 47% არ ენდობა საარჩევნო ადმინისტრაციას.

**ა.ე.:** საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობა მოსახლეობის რამდენ პროცენტს აქვს?

**თ.ჟ.:** მოსახლეობის 45 პროცენტს, თუმცა ეს მაჩვენებელი, 2004 წლის მაჩვენებელთან შედარებით, გაცილებით დაბალია. მაშინ ნდობას მოსახლეობის 70 პროცენტი უცხადებდა. პოლიტიკური პარტიების არათანამონაწილეობამ დიდწილად განსაზღვრა ის, რომ დღეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ნდობა ეცემა. ეს ყველაფერი აღიქმება როგორც ერთპარტიული, ხელისუფლების მიერ დაკომპლექტებული, რადგან ნომინაციას ცენტრალური საარჩევნო კომისიაზე აკეთებს პრეზიდენტი, ამტკიცებს საპარლამენტო უმრავლესობა და ა.შ. ხშირ შემთხვევაში სახელისუფლებო პარტიის აქტივისტები ხდებიან ცსკო-ს მიერ დაკომპლექტებული ოლქების თავმჯდომარეები, მოადგილეები,მდივნები. მათ კი მოეთხოვებათ, რომ არ იყვნენ პარტიულები და ისინი ფორმალურად არ არიან პარტიულები, თუმცა ჩვენთვის ცნობილია მათი წარსული.

**ა.ე.:** ბევრია ასეთი ადამიანები?

**თ.ჟ.** ახლა ვკრებ ამ ინფორმაციას. ძნელია, მთელი საქართველოს მასშტაბით თითოეული საოლქო წევრის წარსულზე საუბარი, თუმცა, ჩემს ორგანიზაციაში ნელნელა იკრიბება ინფორმაციები და შესალოა ყველაფერმა ერთპარტიული სახე მიიღოს.

## მოკლედ

### თანაკლასელის მკვლელობა

სამი დღის წინ დაკარგული, კასპში მცხოვრები 13 წლის ილია ფსუტურის ნაწამები ცხედარი გუშინწინ კასპის კულტურის სახლის შენობაში იპოვეს.

ილია ფსუტურს სხეულზე დანით მიყენებული უამრავი ჭრილობა აღენიშნება. დაღუპულს სხეულზე მრავლობითი დაზიანება აქვს მიყენებული სხვა ბასრი საგნითაც.

ილია ფსუტურის ნათესავები და სამართალდამცველები ბავშვის ადგილსამყოფელის დადგენას სამი დღის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ.

ილია ფსუტურის მშობლები ბავშვის მკვლელობის შესაძლო მიზეზს ვერ ასახელებენ. იგი მათი ერთადერთი შვილი იყო.

მე-2 საშუალო სკოლაში, სადაც ილია ფსუტური სწავლობდა, აცხადებენ, რომ იგი წესიერი მოსწავლე იყო და მისი მოკვლის არანაირი საბაბი არ არსებობდა.

მკვლელობაში ეჭვმიტანილები გუშინწინვე დააკავეს. ორი მათგანი ილია ფსუტურის თანაკლასელია, ერთი კი ამავე სკოლის მე-10 კლასელი.

ჯერჯერობით სამართალდამცველები მკვლელობის შესაძლო ვერსიაზე არ საუბრობენ.

ამ ფაქტს "რესპუბლიკური პარტიის" ოფისში გამოეხმაურნენ. ამ დანაშაულში ისინი გარკვეულწილად სამართალდამცველებსაც ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ მკვლელობა პოლიციის შენობიდან 150 მეტრში მოხდა და პოლიციას არ უნდა გამორჩენოდა ეს ინციდენტი.

"რესპუბლიკელები" აცხადებენ, რომ კასპში სრული განუკითხაობაა და საღამოობით მოქალაქეები გარეთ გასვლას ერიდებიან. ისინი ხელისუფლებისგან და შსს-გან მეტ ყურადღებას მოითხოვენ. **ინტერპრესნიუსი**

### ელენე თევდორაძის მოწოდება

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე საპატიმრო დაწესებულებებში ახალი ბუნტის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ეს განცხადება მან გუშინ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააკეთა.

დეპუტატის თქმით, მორიგი ბუნტის მიზეზი საპატიმროებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობა შეიძლება გახდეს.

**"საპყრობილეში არ არის სკამები, რომ პატიმარი სამ დღეში ერთხელ დაჯდეს, არ არის საწოლები, რომ ოთხ დღეში ერთხელ მაინც დაიძინოს. არის გაუსაძლისი პირობები და ჩვენ შეგვიძლია ეს სიტუაცია ოდნავ მაინც უნდა განვმუხტოთ"**, - განაცხადა თევდორაძემ.

მისი თქმით, კანონმდებლობაში არასაპატიმრო სასჯელის მხოლოდ ორი ფორმა დარჩა -გირაო და თავდებით გათავისუფლება. გირაოს გამოყენებას კი სოციალურად დაუცველი ფენები საერთოდ ვერ ახერხებენ: **"მოსამართლეები გირაოს სახით მხოლოდ ფულის მიღებას თანხმდებიან, ბინის ან მიწის ნაკვეთების ჩადებაზე უარს ამბობენ"**, - ამბობს თევდორაძე.

გუშინვე მან პარლამენტარებს ერთი პატიმრის მაგალითიც მოუყვანა, რომელმაც 5 ლარი წაართვა მოქალაქეს, მოსამართლე კი გირაოს სანაცვლოდ 10 ათას ლარს სთხოვს. **"ამ ადამიანს ამ თანხის გადახდა არ შეუძლია და იგი საპატიმროში რჩება"**, - განაცხადა თევდორაძემ.

მისივე თქმით, საპატიმროებში უამრავი ადამიანია, რომელიც წლებია სასამართლოს განაჩენს ელოდება.

**"მოვუწოდებ მოსამართლეებს, დროულად მიიღონ გადაწყვეტილებები. საპატიმროებში არიან ადამიანები, რომლებიც ორი წელია განაჩენს ელოდებიან. არადა, განაჩენის დროულად დადგომისთანავე,საპყრობილეებიდან ამ ადამიანების გაყვანის საშუალება მოგვეცემა და იქ არსებული სიტუაციაც ნაწილობრივ მაინც განიმუხტება"**, - განაცხადა თევდორაძემ.

დეპუტატის თქმითვე, საპატიმროებში ბევრია ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან დანარჩენ პატიმრებს. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად კი ელენე თევდორაძე ჯანდაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის ყურადღებას მოითხოვს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ევროკავშირის ელჩის სტუმრობა რუსთავის N6 საპყრობილეში

გუშინ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გივი მიქანაძემ ევროკავშირის ელჩს საქართველოში ტორბენ ჰოლცესა და უცხოელ ექსპერტებს რუსთავის N6 საპყრობილე დაათვალიერებინა და სამოდელო ტიპის დაწესებულების სიახლეები დეტალურად გააცნო.

ევროკავშირის წარმომადგენლებმა შეამოწმეს საპყრობილის სამედიცინო ნაწილი, სამზარეულო, სამრეცხაო, საშხაპე, სასამართლო დარბაზი, პაემნებისა და საგამოძიებო ოთახები, სათვალთვალო პუნქტი და უსაფრთხოების სისტემები. ექსპერტები საცხოვრებელი საკნების სტანდარტებითაც დაინტერესდნენ და იქ გადაყვანილ პატიმრებსაც შეხვდნენ.

პენიტენციალურ სისტემაში ხელფასის გაზრდით იუსტიციის სამინისტროს საშუალება მიეცა, რუსთავის საპყრობილისათვის კვალიფიციური კადრები საკმაოდ რთული კონკურსის წესით, შეერჩია. სტუმრები ახალ თანამშრომელთა სამუშაო პირობებითაც დაინტერესდნენ და მათი კაბინეტებიც დაათვალიერეს. მდგომარეობის დეტალურად გაცნობის შემდეგ, ექსპერტებმა საპყრობილეში გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასეს.

როგორც ცნობილია, 800 პატიმარზე გათვლილი რუსთავის ახალი საპყრობილის რეკონსტრუქციისათვის ევროკომისიამ 1,7 მილიონი ევრო გაიღო. ამჟამად იქ თბილისის N5 საპყრობილედან 96 პატიმარია გადაყვანილი. ეტაპირების პროცესი გრძელდება და დაწესებულება უახლოეს მომავალში სრულად დაიტვირთება. **24 საათი**

### ოსების უპერსპექტივო სარჩელი

თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლების ჰააგაში სარჩელის შეტანას ცნობილი ადვოკატი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ალექსანდრე გრებელსკი გამოეხმაურა. ექსპერტის თქმით, ჰააგა ოსების სარჩელს, რომლითაც ისინი გენოციდის აღიარებას ითხოვენ, რამდენიმე მიზეზის გამო ვერ განიხილავს.

**"ჰააგაში სულ ოთხი სასამართლო მოქმედებს. იუგოსლავიის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ტრიბუნალი, რუანდის ტრიბუნალი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და გაერო-ს საერთაშორისო სასამართლო. ვერც ერთი მათგანი ოსების სარჩელს ვერ განიხილავს. პირველი მათგანი მხოლოდ იუგოსლავიაზე მუშაობს, მეორე რუანდაზე, მესამე მხოლოდ გაერო-ს რეზოლუციით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს იხილავს, მეოთხეს კომპეტენცია კი მხოლოდ ლეგიტიმურ სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილი უთანხმოებების მოგვარებაა"**, - განაცხადა გრებელსკიმ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წევრების დაკავება

სამართალდამცველებმა თბილისში მოქმედი ორი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს.

შს სამსინიტროს ცნობით, ვაკე-საბურთალოს პოლიციის თანამშრომლებმა დედაქალაქში მოქმედი ორგანიზებული ჯგუფის 3 წევრი დააკავეს. დაკავებული არიან ქურდული ტრადიციების მიმდევარი პირები - ადრე ნასამართლევი, ამჟამად პირობით მსჯავრდებული, 18 წლის გიორგი ხაბელაშვილი და ასევე ნასამართლევი, 18 წლის ლევან ძმარაშვილი, მეტსახელად "ძმარა".

გამოძიების ინფორმაციით, ხაბელაშვილმა და ძმარაშვილმა ვეძისის დასახლებაში, ტაქსის მძღოლს, 41 წლის რამაზ ფოჩხუას დანით თავის არეში მიაყენეს დაზიანება და მობილური ტელეფონი და ავტომანქანა "მერსედესი" გასტაცეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას ვაკე-საბურთალოს შს სამმართველო აწარმოებს.

მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის თანამშრომლებმა ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი, 16 წლის ედიკ ხასოევი დააკავეს და დაადგინეს მისი თანამზრახველი, არასრულწლოვანი ბერდია ტატანაშვილი, რომლებმაც ქვემო ფონიჭალაში ავტომანქანის წართმევის დროს დანით დაჭრეს რუსთავის გზატკეცილზე მცხოვრები, 45 წლის ზურა შატაკიშვილი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველო აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

### ბელგიაში მოპარული "მერსედესი" თბილისში

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ავტომანქანა "მერსედესი", რომელიც რეგისტრირებული იყო თბილისში მცხოვრებ, 24 წლის ნიკოლოზ თურმანიძეზე და მართავდა თბილისელი, 40 წლის რამაზ აბაშიძე.

დადგინდა, რომ აღნიშნული ავტომანქანა 2004 წლის 9 ოქტომბერს გატაცებული იყო ბელგიის ქ. ანტვერპენიდან, საქართველოს საზღვარი გადმოლახა 2004 წლის 27 ოქტომბერს და იძებნებოდა ინტერპოლის მიერ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### დიდი ოდენობით ნარკოტიკი გარდაბანში

შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალაში, საკუთარ სახლში დააკავეს, 36 წლის რამინ კარამანოვი.

დაკავებულის სახლიდან ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენიბით 13, 621 გრამი ჰეროინი და 0,5 გრამი ოპიუმი. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საიდუმლოებით მოცული ფონდის არასრული ანგარიში

პირველი გვერდიდან

ანა დოლიძის განცხადებით, შს სამინისტროსა და გენპროკურატურაში არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ მათთან არსებული ფონდები კერძო სამართლის იურიდიული პირებია, რის გამოც, მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. ანალოგიური განცხადება მიიღეს თავდაცვის სამინისტროს ქართული ჯარის განვითარების ფონდთან დაკავშირებით. "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" გიგა ბოკერიას რეკომენდაციით მიმართავს, გადაამოწმოს ამ ფონდების გამჭირვალობის საკითხი და თუ მისი განცხადება რეალობას შეესაბამება, საზოგადოებას მათი საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაცია მიაწოდოს.

"სამართალდამცველი ორგანოების განვითარების ფონდის" საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის მოპოვებას გაზეთი "24 საათიც" ცდილობდა. ჩვენს რამდენიმეთვიან მცდელობას თან ახლდა ფონდის დამფუძნებლებთან, თავმჯდომარესთან, გენერალურ პროკურორთან, იუსტიციის სამინისტროსა და შსს-ში წარმოებული ოფიციალური მიწერ-მოწერები.

"გაცნობებთ, რომ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, "სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდი" წარმოადგენს არაკომერციულ იურიდიულ პირს - ფონდს და მისი რეგისტრაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ წარმოადგენს მის დამფუძნებელს. გამომდინარე აქედან, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, მოგაწოდოთ ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სათანადო ინფორმაციის მისაღებად უნდა მიმართოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან უშუალოდ სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდს," - 2005 წლის 1 თებერვალს, გაზეთ "24 საათის" მიერ შსს-ში გაგზავნილი წერილის საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის ხატია დეკანოიძის მიერ გამოგზავნილი ასეთი შინაარსის წერილი მივიღეთ.

გაცილებით რთული აღმოჩნდა პასუხის მიღება გენერალური პროკურატურისგან, სადაც თავდაპირველად აცხადებდნენ, რომ ფონდთან დაკავშირებით ინფორმაცია არ ჰქონდათ და ეცდებოდნენ მოძიებას. თუმცა, "24 საათის" მცდელობა, ფონდის საქმიანობის შესახებ გენერალური პროკურატურისგან ინფორმაცია მიეღო, უშედეგოდ დასრულდა.

იუსტიციის სამინისტროსგან მიღებული პასუხით კი, ფონდის ნამდვილ სახელს წესდების თანახმად, "სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდი" წარმოადგენს და მისი დამფუძნებლები შსს, პროკურატურა და ყოფილი უშიშროების სამინისტრო წარმოადგენენ. კონკრეტულად კი, დამფუძნებლები არიან: იასონ ჩიხლაძე, კონსტანტინე კუბლაშვილი, სერგო მესხი, ზაზა სადაღაშვილი. ფონდი 2004 წლის 14 ივნისს არის დაარსებული.

ბოლო ადრესატი, რომელსაც ინფორმაციის მიღების მიზნით მივმართეთ, "სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდის" გამგეობის თავმჯდომარე გახლდათ.

"ფონდის დამფუძნებლები არიან სამართალდამცველი ორგანოები. დაახლოებით ერთ კვირაში სრული ინფორმაცია იქნება და ფონდთან დაკავშირებული ყველა დეტალი გამოქვეყნდება გაზეთში. იქ შეგეძლებათ ამოიკითხოთ ყველაფერი ფონდზე. თქვენ არ ხართ პირველები, ვინც დარეკა და დაინტერესდა ჩვენი ფონდით, მაგრამ ყველა კმაყოფილდება იმით, რაც თქვენ გითხარით. ეს არის კერძო ფონდი და მიდის მუშაობა იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს საჯარო და რა არა. ინფორმაცია ღიაა, მაგრამ მისი გამოქვეყნება ნაწილ-ნაწილ არ გვინდა, ყველაფერს ერთად გამოვაქვეყნებთ," - ასეთი პასუხი მივიღეთ ზაზა სადაღაშვილისგან.

ფონდის მესვეურებისგან ასეთი შინაარსის პასუხებს ერთი თვის მანძილზე ვიღებდით. გვპასუხობდნენ, - ინფორმაციას მოვაწესრიგებთ, რადგან გასარკვევი გვაქვს, ვის სურს ქველმოქმედთა სიაში გამოჩნდეს და ვის არაო.

საბოლოოდ, "24 საათის" დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, ზაზა სადაღაშვილმა განაცხადა, რომ ის რამდენიმე დღეში გამოაგზავნიდა ინფორმაციას ფოსტით და მას 6 აპრილს მივიღებდით.

ფოსტით გამოგზავნილი მასალა 2005 წლის 6 აპრილს მართლაც მივიღეთ. თუმცა, არასრული - მასალა მოიცავდა "სამართალდამცველი ორგანოების განვითარების ფონდის" მიერ მხოლოდ 2005 წლის 31 იანვრამდე დაფინანსებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციას. მასში არ იყო მითითებული იმ ქველმოქმედთა ვინაობა, ვინც თანხები გაიღო და ასევე, არ იყო დასახელებული შემოწირულობების ზუსტი ოდენობა. **"სამართალდამცველი ორგანოების განვითარების ფონდის მიერ იმ ფიზიკური და იურიდიული პირების ნუსხის გამოქვეყნება, რომლებმაც ფონდში შემოიტანეს შემოწირულობები და სურვილი აქვთ, რომ ამის შესახებ ინფორმაცია იყოს საჯარო, განხორციელდება შემომწირავებთან კონსულტაციის შემდეგ უახლოეს მომავალში, პრესის საშუალებით,"** - ასეთი პასუხი ახლდა თან ფონდის მიერ გამოგზავნილ მასალას. მოგვიანებით გადაწყდა, რომ ბიზნესმენთა ვინაობა, რომელთა ქველმოქმედების შედეგადაც, არაოფიციალური ინფორმაციით, ფონდში 160 მილიონი ლარი შევიდა, არ გახმაურდებოდა, რადგანაც, როგორც ფონდისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, ასეთი მოთხოვნა თავად ბიზნესმენებმა წამოაყენეს. ასე გასაიდუმლოვდა გადამხდელთა ვინაობა.

იმ მიზეზით, რომ იმედი გვქონდა, ფონდის საქმიანობის შესახებ სრულყოფილ მასალას მოვიპოვებდით, "სამართალდამცველი ორგანოების განვითარების ფონდის" მიერ მოწოდებული არასრულყოფილი ინფორმაციის დაბეჭდვისგან თავი შევიკავეთ, მაგრამ, რადგანაც სასურველ შედეგს, მიუხედავად ჩვენი არა ერთი მცდელობისა ვერ მივაღწიეთ, გთავაზობთ მასალას, რომელიც "სამართალდამცველი ორგანოების განვითარების ფონდის" გამგეობის თავმჯდომარემ გამოგვიგზავნა. მოწოდებული მასალის საფუძველზე ჩვენს მიერ გაკეთებული უხეში დაანგარიშებით, 2005 წლის 31 იანვრამდე დაფინანსებული შესყიდვების საერთო თანხა 40 მილიონ ლარს აღწევს. შესაბამისად, დასახელებული პერიოდისთვის ფონდში შესული თანხა 40 მილიონ ლარამდეა.

**სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდის მიერ 2005 წლის 31 იანვრის მდგომარეობით საქართველოს გენერალური პროკურატურის სასარგებლოდ შესყიდული საქონლისა და მომსახურების ღირებულება**

| ნაერთი ხარჯთაღრიცხვა | ღირებულება (ლარი) | ვალუტის ერთეული |
|---|---|---|
| ავტოსატრანსპორტო საშუალებები, მათი მომსახურება და სათადრიგო ნაწილები | 816,204.00 | ლარი |
| სამშენებლო-სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები | 1,373,099.86 | ლარი |
| | 74,000.00 | დოლარი |
| კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები და ტელევიდეო აპარატურა | 411,899.60 | ლარი |
| საოფისე ავეჯი და საოფისე აქსესუარები | 421,767.71 | ლარი |
| სხვა სახის ელექტრო მოწყობილობები | 79,215.80 | ლარი |
| | 23,586.00 | დოლარი |
| მომსახურება და სხვა ხარჯები | 53,257.90 | ლარი |
| ჯამში სულ | 3,155,444.87 | ლარი |
| | 97,686.00 | დოლარი |

**სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდის მიერ 2005 წლის 31 იანვრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სასარგებლოდ შესყიდული საქონლისა და მომსახურების ღირებულება**

| | ნაერთი ხარჯთაღრიცხვა | ღირებულება (ლარი) | ვალუტის ერთეული |
|---|---|---|---|
| 1 | ავტოსატრანსპორტო საშუალებები, მათი მომსახურება და სათადრიგო ნაწილები | 1,334,502.00 | ლარი |
| 2 | სამშენებლო-სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები | 2,493,478.00 | ლარი |
| 3 | რბილი ინვენტარი, უნიფორმა | 463,215.45 | ლარი |
| 4 | კომპიუტერული ტექნიკა | 96,865.00 | ლარი |
| 5 | საოფისე ავეჯი და საოფისე აქსესუარები | 204,244.00 | ლარი |
| 6 | სპეციალური დანიშნულების ტექნიკა და აღჭურვილობა | 47,732.00 | ლარი |
| | | 9,398.00 | დოლარი |
| | ჯამში სულ | 4,640,036.46 | ლარი |
| | | 9,398.00 | დოლარი |

**სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდის მიერ 2005 წლის 31 იანვრის მდგომარეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასარგებლოდ შესყიდული საქონლისა და მომსახურების ღირებულება**

| | ნაერთი ხარჯთაღრიცხვა | ღირებულება | ვალუტის ერთეული |
|---|---|---|---|
| 1 | ავტოსატრანსპორტო საშუალებები | 4,166,057.35 | ლარი |
| 2 | სამშენებლო-სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები | 6,648,039.90 | ლარი |
| | | 1,344,000.00 | ევრო |
| 3 | რბილი ინვენტარი, უნიფორმა | 964,755.27 | ლარი |
| | | 374,496.00 | დოლარი |
| 4 | კომპიუტერული ტექნიკა | 98,385.81 | ლარი |
| | | 6,222.00 | დოლარი |
| 5 | საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 349,460.10 | ლარი |
| 6 | ელექტრო ტექნიკა | 77,065.72 | ლარი |
| 7 | სპეციალური დანიშნულების ტექნიკა და აღჭურვილობა | 693,306.78 | ლარი |
| | | 275,450.00 | ევრო |
| | | 907,237.74 | დოლარი |
| 8 | სხვადასხვა სახის მომსახურება | 98,817.00 | ლარი |
| | ჯამში სულ | 13,096,886.93 | ლარი |
| | | 1,287,955.74 | დოლარი |
| | | 1,619,450.00 | ევრო |

**დეპარტამენტის სასარგებლოდ შესყიდული საქონლისა და მომსახურების ღირებულება**

| | ნაერთი ხარჯთაღრიცხვა | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ავტოსატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილები | 19,910.00 |
| 2 | სამშენებლო-სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები | 60,000.00 |
| 3 | რბილი ინვენტარი, უნიფორმა | 137,520.00 |
| 4 | კომპიუტერული ტექნიკა | 41,490.00 |
| 5 | საოფისე ავეჯი და საოფისე აქსესუარები | 16,000.00 |
| 6 | საწვავი და საპოხი მასალა (ლიტრი) | 174,480.00 |
| 7 | სხვადასხვა საკვები პროდუქტი | 14,999.50 |
| | ჯამში სულ | 464,399.50 |

**სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდის მიერ 2006 წლის 31 იანვრის მდგომარეობით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასარგებლოდ დაფინანსებული სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების საერთო ღირებულება**

| I | სამშენებლო-სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები | ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ქ. ქუთაისში ავტოქარხნის სამხრეთ დასახლების N4 ბაგა-ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე საპყრობილის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები | 4,037,009.00 |
| | ჯამში სულ | 4,037,009.00 |

**სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდის მიერ 2005 წლის 31 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის სასარგებლოდ შესყიდული საქონლისა და შესრულებული სამუშაოების ღირებულება**

| | ნაერთი ხარჯთაღრიცხვა | ღირებულება | ვალუტა |
|---|---|---|---|
| 1 | სამშენებლო-სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები და მასალები - (ფინანსური პოლიციის შენობის - მდებარე ქ.თბილისში ხვამლის ქუჩა N20-ში - სარეაბილიტაციო სამუშაოები) | 726,559.73 | ლარი |
| 2 | ავტო სატრანსპორტო საშუალებები | 100,000.00 | დოლარი |
| | ჯამში სულ | 726,559.73 | ლარი |
| | | 100,000.00 | დოლარი |

**სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდის მიერ 2005 წლის 31 იანვრის მდგომარეობით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ შესყიდული საქონლისა და მომსახურების ღირებულება**

| | ნაერთი ხარჯთაღრიცხვა | ღირებულება (ლარი) | ვალუტა |
|---|---|---|---|
| 1 | სამშენებლო-სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები - სამზარეულო დანადგარები და მათი განთავსება-მონტაჟი (სულ 7 სასადილო) | 600,000.00 | ევრო |
| 2 | რბილი ინვენტარი | 80,000.00 | ლარი |
| | | 296,900.00 | ევრო |
| 3 | ჯავშან-ჟილეტები (კომპლექტი) | 627,165.00 | ლარი |
| | ჯამში სულ | 707,165.00 | ლარი |
| | | 896,900.00 | ევრო |

**სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდის მიერ 2006 წლის 31 იანვრის მდგომარეობით საქართველოს რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით გაღებული თანხები**

| N | მიმღები რეგიონი | დანიშნულება | თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ფონდი შიდა ქართლის რეგიონში | რეგიონში კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კონფლიქტის ზონაში მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით | 700,000.00 |
| 2 | საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ფონდი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში | რეგიონში კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით | 100,000.00 |
| 3 | საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ფონდი იმერეთის რეგიონში | რეგიონში კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით | 300,000.00 |
| 4 | საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ფონდი კახეთის რეგიონში | რეგიონში კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით | 200,000.00 |
| | ჯამში სულ | საქართველოს რეგიონებში კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით | 1,300,000.00 |



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# წრე ვიწროვდება

არ გეგონოთ, რომ ნოდარ ლადარიას ვბაძავ, ამას როგორ გავბედავ, მაგრამ ცნობილი პუბლიცისტის მსგავსად მეც უნდა ვაღიარო, რომ უბრალოდ აღარ ვიცი, რა, უფრო სწორად კი, რომელი ერთის შესახებ დავწერო, ჩემი შთაბეჭდილება გაგიზიაროთ. გასული კვირის ციხის მასობრივმა და ოლიგარქის ერთპიროვნულმა ბუნტმა, საქართველოს სხვადასხვა ზონიდან ვინმე "ტარასასთან" საუბრების (თუ ამას შეიძლება საუბარი ვუწოდოთ!) მოსმენამ, ოპოზიციის დიდი ნაწილის, რბილად რომ ვთქვა, უსუსურობამ, წინასწარ დაგეგმილი მიტინგის უბადრუკობამ, დაკავებულმა ჯაშუშმა პირადად ჩემში ისეთი უარყოფითი რეაქცია, მეტიც, ელემენტარული ზიზღიც კი გამოიწვია, რომლის გადმოსაცემად ჩემი ეპისტოლარული მონაცემები საკმარისი ნამდვილად არ არის. ამისთვის, როგორც მინიმუმ, დოსტოევსკი უნდა იყო... მერე ჩემი ემოციების ნახატით გადმოცემა ვიფიქრე, მაგრამ აქაც მივხვდი, რომ ამ კვირაში დანახულს, მოსმენილს მხოლოდ ბოსხი ან ბრეიგელი თუ გაუმკლავდებოდა.

რომ იტყვიან, "წრე ვიწროვდება". რაც უფრო წინ მიდის საქართველო, რაც უფრო მეტი რამ კეთდება, რაც უფრო მეტი, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი რეფორმა ტარდება, ნატო-ს კანდიდატობის სტატუსი რაც უფრო ახლოვდება, რაც უფრო მეტად იძენს საქართველო ცივილიზებული სახელმწიფოს ფორმებს, კონტურებს, მით უფრო გახშირდა საპასუხო კონტრმოქმედებები, მით უფრო გაფართოვდა მათი არეალი და ფაქტობრივად ყველა სფერო, ყველა მიმართულება, ყველა სოციალური ფენა მოიცვა; მით უფრო აშკარა გახდა შანტაჟი, მუქარა, პროვოკაცია, დესტაბილიზაცია და საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მებრძოლთა ვინაობები, ჩინები, დაფინანსების წყაროები, ბრძოლის მეთოდები და მოსალოდნელი საფრთხეც უფრო თვალნათლივ გამოჩნდა. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სალარო აპარატებით უკმაყოფილო ელიავას ბაზრების მოვაჭრეებმა, კანონიერმა ქურდებმა, ოლიგარქებმა, "ანტისოროსელებმა", მოხსნილმა მექრთამე მოსამართლეებმა, შალვა ნათელაშვილმა, ირაკლი წერეთელმა (დიდი ხანია არც ერთ გამოფენაში არ მიუღია მონაწილეობა და ყველას მკვდარი გვეგონა), უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებმა და მათმა გააქტიურებულმა აგენტებმა, იგორ გიორგაძემ, კოკოითმა და ჯერ კიდევ ყველა უწყებაში არსებულმა დივერსანტებმა (მექრთამე მებაჟეები, მკვლელი პოლიციელები...) წრეში ერთმანეთს ხელები მაგრად ჩაჰკიდეს, საქართველო შუაში მოიქციეს და ახლა ნელ-ნელა, მეთოდურად, დაუნდობლად ავიწროვებენ წრეს. დასანანია, რომ ვაკხანალიურ წრეში, კაცმა არ იცის ვისთან ხელჩაკიდებული, ოპოზიციის ის ნაწილიც აღმოჩნდა, რომელსაც ბევრად მეტი მოეთხოვება და არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიუხედავად, ელემენტარულსაც კი ვერ ან არ ხედავს. ვერ ხედავს, რომ წრეში საკუთარი თავისა და ქვეყნის მტრებთან ერთად ჩადგა. ვერ ხედავს, რომ, ნებით თუ უნებლიეთ, ებრძვის იმას, რაც, დარწმუნებული ვარ, თავადაც უნდა. იმ ძალების წისქვილზე ასხამს წყალს, რომლებსაც მთელი არსით უნდა ებრძოდეს. იმ თამაშს თამაშობს, სადაც ელემენტარული მორალისთვის მიუღებელი ბლეფის, შანტაჟის, მოსყიდვის, მუქარისა და მოტყუების წესებია. როგორ წარმოვიდგინო, რომ გონიერ ოპოზიციას სააკაშვილის პრეზიდენტობას, გიგა ბოკერიასთან პოლემიკაში თუნდაც დამარცხებას, გიორგაძის საქართველო ურჩევნია? როგორ წარმოვიდგინო, რომ საბჭოთა КГБ-ს, თუნდაც არაუშეცდომო, მაგრამ ახლად ფეხადგმული ქართული ძალა არ ურჩევნიათ? ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ბრძოლა დღეს არა მარტო შეცდომების გამოსწორებისთვის, არამედ გადარჩენისთვის, ყოფნა-არყოფნისთვის



კოკა იგნატოვის ნახატი

მიმდინარეობს? ამ ბრძოლაში მხოლოდ ორი ფლანგი არსებობს და საკუთარი ამბიციებით, პირადი წყენებით და თუ გნებავთ, ხელისუფლების შეცდომებით დაბრმავებულნი საქართველოს საწინააღმდეგო, მტრის მხარეს დგანან. როგორ დავიჯერო, რომ ოპოზიციონერობა მხოლოდ ხელისუფლების ზიზღს და არა, თუნდაც, განსხვავებული ხედვის პატრიოტიზმს გულისხმობს. პატრიოტიზმს, რომლის საფუძველზე დღეს ნებისმიერი ქართველი, მოვაჭრე თუ ოლიგარქი, ოპოზიციონერი თუ დივერსანტი ჩინოვნიკი ინტუიციურად მაინც უნდა გრძნობდეს, რომ კიდევ ერთ გადატრიალებას, არეულობას საქართველო ვეღარ გადაიტანს და ამას მოყოლილი შედეგი კი ყველასათვის ერთნაირად დამღუპველი იქნება.

რაც უფრო ვიწროვდება წრე, მით უფრო აშკარა ხდება წრეში მყოფთა აქტიურობა. თვალნათლივ გამოჩნდა, ვინ რას ემსახურება, ვის რა უნდა, ვინ არის დამკვეთი და ვინ შემსრულებელი, ვინ უგნურობით მხოლოდ ჩათრეულია და ვინ პროვოკატორია, ვინ მიზანდასახული მოღალატეა და ვინ კი, უბრალოდ, სხვის ხელში ბრმა იარაღი.

საქართველოს სახელმწიფოებრიობას დღეს ყველა მხრიდან ერთდროულად უტევენ - ენერგობლოკადა, ქართული ციტრუსის, ჩაის და ახლა ღვინის გაყიდვის აკრძალვით გამოწვეული ეკონომიკური ბლოკადა, მცირე მეწარმეების, პედაგოგების, სტუდენტების ამხედრების მცდელობა, ქურდულ-კრიმინალური სამყაროს გამოყენება, ეთნოკონფლიქტების პროვოცირება, სავიზო რეჟიმის შეჩერება, საერთაშორისო მოლაპარაკებების ჩაშლა და ა.შ. ყველა ეს ფრონტი ერთდროულად ამოქმედდა, ყველას უკან სერიოზული ზურგი, დაფინანსება აქვს, ყველას ერთი მიზანი ამოძრავებს - არჩეულ გზაზე საქართველოს შეფერხება. ყველა მექანიზმი, ყველა ბერკეტი ამუშავდა. საქართველოს წინააღმდეგ წრეში ხელჩაკიდებულებს ცოტა დრო დარჩათ, ჩქარობენ. დღეს თუ მოასწრეს, მოერიენ, თორემ ხვალ უკვე დაგვიანებული, საქართველო მოურეველი იქნება.

ერთი, რასაც, ჩვენდა საბედნიეროდ, წრეში ჩამდგარნი ვერ ითვალისწინებენ, ის არის, რომ ალყაში მომწყვდეული ქვეყანა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ მაინც იზრდება, ძლიერდება, მყარდება. ეს ის საქართველო აღარ არის, რომელიც ათი-თხუთმეტი წლის წინ გვახსოვს. მისი საზოგადოება ის საზოგადოება აღარ არის, რომელიც თავის არჩევანს ასე იოლად დათმობს. დღევანდელი ხელისუფლება საზოგადოების მოყვანილი, არჩეულია და მათი შეცდომებიცა და წარმატებებიც საზოგადოებას ეკუთვნის. ხელისუფლება მხოლოდ საზოგადოების, საზოგადოება კი საკუთარი თავის წინაშეა ვალდებული, პასუხისმგებელი და ვერანაირი რუსული "ხარავოდები" ამ პასუხისმგებლობას ვერ შეარყევს.

წრე კი შეიკრა, შემაწუხებლად შევიწროვდა, მაგრამ, დამერწმუნეთ, დღითი დღე გაძლიერებული საქართველო, ერთიანი ქართული საზოგადოება მას სრულიად უპრობლემოდ გაარღვევს, მაგრამ რატომ? ნუთუ ჩვენ სახელმწიფოებრივი ფუფუნების იმ საფეხურზე ვიმყოფებით, როდესაც ამისთვის გვაქვს დროისა და ენერგიის ხარჯვის უფლება? ჩვენ ხომ უამრავი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენ ყველას, ხელისუფლებასაც, ოპოზიციის გონიერ ნაწილსაც ხომ ერთი და იგივე სურვილები, მიზნები გვაქვს. მაშ რატომ არ შეიძლება, რომ დაშვებული შეცდომები მივუთითოთ, შენიშვნებს მივაყურადოთ, ამბიციებით გამოწვეული ურთიერთაგრესია დროებით მაინც გვერდზე გადავდოთ, ერთმანეთს გასაკეთებელში დავეხმაროთ, საქართველო ლოგიკურ ფინიშამდე მივიყვანოთ და არჩევნებზე საზოგადოების ვერდიქტი ცივილიზებულად მოვისმინოთ. ან მოვიგოთ, ან წავაგოთ, მაგრამ მხოლოდ არჩევნები და არა "ხარავოდში" ჩამდგარი ბოსხის ნახატიდან გადმომხტარ ჭინკებთან უადგილო, უდროო, უზნეო ბრძოლა.

დარწმუნებული ვარ, რომ სალარო აპარატის პრობლემაც მოგვარდება, გირგვლიანის მკვლელებიც, უკლებლივ, სამაგალითოდ დაისჯებიან, ეთნოკონფლიქტი ვერ გაღვივდება, ენერგო-ეკონომიკურ ბლოკადებს გავუძლებთ, გაუნათლებელ კანონიერ ქურდებსაც დავამარცხებთ, მაგრამ შიდა ღალატს ქართული საზოგადოება აღარავის აპატიებს. ახლა ეძლევათ ბოლო შანსი, რომ პოლიტიკური ოპოზიციის და არა იაფფასიანი მოღალატეების სტატუსი დაიმკვიდრონ, რომელთა დახმარებით ქვეყანა ათწლეულებით კვლავ უკან იქნება გადაგდებული.

სიმბოლურად მე ასე ვხედავ, რომ საქართველო ერთი დიდი ხეა. უამრავი ტოტით, განშტოებით, ფოთლებითა და ნაყოფით. ზოგიერთს მზე ზედმეტად აჭერს, ზოგიერთს კი პირიქით, აკლია, ჩრდილშია მოქცეული, ზოგიერთი ნაყოფი წვნიანი, მწიფე და უნაკლოა, ზოგიერთი კი ჭიანი და სულ მალე მიწაზე ჩამოვარდება. სიმბოლური სახელმწიფო ხე ქარში შრიალებს, ირხევა, წვიმაში სველდება, ირწყვება, შემოდგომაზე ფოთლები ცვივა და გაზაფხულზე კი ახალი ამოდის. მის ღეროს ხან ჭია შეესევა, ხან ნაყოფს მატლი ამოჭამს, მაგრამ ხეს ღრმა, სქელი ფესვები აქვს მიწაში გადგმული, მწვანე, ახალგაზრდა, ძლიერია, მას ვერაფერი მოერევა და მას მთელი ქართული საზოგადოება უვლის, იცავს, იმიტომ, რომ ეს ხე ყველამ ერთად დარგო და მისი დაზიანების ან, მითუმეტეს, მოჭრის უფლება არავის აქვს.

**P.S.** 30 მარტი, ჩემთვის პირადად, რამდენიმე, შეიძლება უმნიშვნელო, მაგრამ მაინც საინტერესო აღმოჩენის დღედ იქცა. პირველი - გაირკვა, რომ რამდენიმე კვირით ადრე დანიშნული ოპოზიციის გაერთიანებული მიტინგი "იუმორინას" დონეზე მდარე გემოვნების იუმორის მეტით არაფრით გამოირჩევა. თუმცა, "იუმორინა" ფილარმონიის დარბაზს ავსებს, მიტინგს კი ერთი პატარა კლუბიც ეყოფოდა.

მეორე - არ ვიცოდი, რომ ლევან ბერძენიშვილს, რომლის მთავარი პლუსი განათლებული კაცის ლექსიკა მეგონა, შინაგანად ძველი ბიჭის კომპლექსები აწუხებს და ექსტრემალურ სიტუაციაში, აღელვებული საკმაოდ კომიკურად "ჟარგონზე" გადადის. თუ ჟარგონია, ჟარგონი იყოს და ვინმემ ამიხსნას, ლევან ბერძენიშვილის მწიგნობრობა "დაგინებულია"?

# ლუდი და მოგონებები

როდესაც სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი, ერთი ხანშიშესული ლექტორი გვყავდა, რომელიც სტუდენტი გოგონებისადმი ზედმეტად დიდ ინტერესს, ყურადღებას ავლენდა. რაც უფრო ხორცშესხმული, სექსუალური ან თუ გნებავთ ვულგარული იყო სტუდენტი, მით უფრო მაღალ ნიშნებს უწერდა და თან ცოტა "უპადხოდებდა". მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე მოხუცი ლექტორის გემოვნებას არ ვაკმაყოფილებდი და შესაბამისად, მის საგანში გამოუსწორებელი სამიანი მყავდა, სტუდენტური ასაკიდან გამომდინარე, მაინც ვერთობოდით, ბევრს ვიცინოდით. ერთი ჩემი კურსელი გამოცდაზე გასასვლელად სპეციალურად მოკლე კაბას, დიდ დეკოლტეს იცვამდა, ტუჩებს წითელი პომადით იხატავდა და ხანდაზმულ პედაგოგთან ასე შედიოდა. საპასუხოდ გამართულ ხუთიანებსაც ღებულობდა. ეს თითქოსდა სახუმარო ამბავი ბოლოს ძალიან ცუდად დამთავრდა. ლექტორმა ერთხელაც თავი ვეღარ შეიკავა, საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა და სრულიად სხვა თანაკურსელს ლიფტში "ეცა". "ეცა" და აკადემიიდან გააგდეს კიდეც. ალბათ ფიქრობთ, ამხელა ამბავს ან რატომ გვიყვება, ან რისთვის გაახსენდაო. მოგახსენებთ. მიუხედავად იმისა, რომ მოხუც, სექსუალურად ზედმეტად აქტიურ ლექტორს სარეკლამო ბიზნესთან არანაირი კავშირი არ ჰქონია და დღეს, ალბათ, ცოცხალიც აღარ არის, ბოლო პერიოდში საქართველოს ტელესივრცეში მოჭარბებული ლუდის სარეკლამო რგოლები, მგონია, რომ ჩემი პათოლოგიური, ან თუ გნებავთ, ცოტა გადახრილი ლექტორის გადაღებულია. რა ვქნა, ზუსტად იგივე ხელწერაა. ჯერ იყო და ლუდი "ლომისის" რეკლამამ შეგვჭამა. ვწერეთ, ვიყვირეთ, აღშფოთება გამოვხატეთ და როგორც იქნა, ეს გაუგებარი პათოლოგია ტელეეკრანიდან გაქრა. ის იყო ოდნავ ამოვისუნთქეთ და ახლა "არგოს" რეკლამა დაგვაცხრა თავზე. მართალია, ეროტიკული ფანტაზიის მრავალფეროვნებით მთლად "ლომისს" ვერ შეედრება, მაგრამ უგემოვნობით კი უსწორდება. არაფრით არ შეიძლება "არგოს" ახალი სარეკლამო რგოლის ძალიან საინტერესო იდეის, მიდგომის, ესთეტიკის და, რაც მთავარია, ლუდის, როგორც სასმელის სწორი გაგება. ან კლიპში გადაღებული მიმტანი გოგონა სად იშოვეს, ან რა პარიკი შეურჩიეს, ან რატომ, ისე რა, მელოტია?! ან მისი ხორციანი, მომრგვალებული საჯდომი ლუდთან რა კავშირშია? ან ლუდის მსმელი მამაკაცების სახის გამომეტყველება რისი მანიშნებელია - ლუდის უხარისხობის, მიმტანის დანახვაზე მომენტალური გამოსულელების (ჩემი ლექტორივით), თუ ხორციან საჯდომზე შეტრიალებული "არგოს" წარწერიანი წინსაფრის უადგილობის?

არ ვიცი, ეს სარეკლამო რგოლი ვინ გადაიღო ან რას ემსახურება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი სექსუალური მოხუცი პედაგოგიც ზუსტად ასეთს გადაიღებდა, ვინმეს მისთვის კამერა რომ მიეცა და ერთი კათხა "არგო" ჩამოესხა.

ისე, საინტერესოა, ლუდი საქართველოში ვიაგრაში ხომ არ ეშლებათ?!

# ბავშვობაში დაბრუნების შთაბეჭდილება













ჩემს ერთ-ერთ ყველაზე ახლო მეგობარ ეკა მამალაძეს ამ კვირაში რამდენი წელი შეუსრულდა, ხმამაღლა არაფრით გეტყვით. ერთი კი ფაქტია, რომ რაც თავი მახსოვს, 27 მარტი ჩემთვის ეკას დაბადების დღეა. ჯერ კიდევ 5-7 წლის ეკა, როდესაც ჩვენ, მის სტუმარ ბავშვებს თამაში გვერჩივნა, თვალებდახუჭული, მთელი გულითა და განცდებით რუსულ რომანსებსა და ქართულ სიმღერებს მღეროდა, ან დაბადების დღის აღსანიშნი დიდი სუფრის რომელიმე კუთხეში იჯდა და თავისი დიდი მომღერალი ოჯახის მოსმენას ამჯობინებდა. დაბადების დღეს ყოველთვის სახლში უხდიდნენ და ნებისმიერი ასაკის, თაობის სტუმრებს პატიჟებდნენ - ეკას ბებიის დებიდან, ნანის უამრავი დეიდაშვილით დაწყებული, ბავშვებით დამთავრებული. ყველა მღეროდა, უკრავდა, ხუმრობდა და ეს დღე წლების განმავლობაში მხოლოდ ამ ოჯახისთვის დამახასიათებელი ადამიანური სითბოთი, სტუმართმოყვარეობით, იუმორითა და განსაკუთრებული კეთილმოსურნეობით გამოირჩეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ წელს ეკა მამალაძე ბებია გახდა; მიუხედავად იმისა, რომ ნანი ბრეგვაძე თბილისში არ იმყოფება და მიუხედავად იმისა, რომ ეკამ დაბადების დღის გადახდა, მგონი პირველად, სახლის გარეთ გადაწყვიტა, სითბოს, სიმღერის, მხიარულებისა და ჯანსაღი სიცილის გარემო უცვლელი იყო. ვაკის პარკის საბავშვო ცენტრ "ბასტი ბუბუში" დაბადების დღის გადახდა ეკას მხრიდან საკმაოდ მოულოდნელ და უცნაურ იდეად მომეჩვენა. საჩუქრადაც უცნაური არჩევანი გავაკეთე, "მაკდონალდსთან" მხიარული საჰაერო ბუშტი ვუყიდე და პირველად ჩემს ცხოვრებაში, "ბასტი ბუბუში" მივედი. მივედი და ეკას ჩანაფიქრს მივხვდი. იუბილარი საგულდაგულოდ მომზადებულა, "მალვინას" ცისფერბაბთებიანი კაბა სპეციალურად შეუკერავს, სტუმრებისთვის სახუმარო კოსტიუმირება მოუთხოვია, პროფესიონალი დიჯეები მოუწვევია და საკუთარი შვილიშვილიდან დაწყებული, სხვადასხვა ასაკის ყველა ნათესავი და მეგობარი დაუპატიჟებია. მხიარული თამაშები, კონკურსები, "კარაოკე", "угодай мелодию" და რაც მთავარია, სანთლებითა და ფეიერვერკით მორთული დიდი ტორტი - მოკლედ, ბევრი ვიცინეთ, გავერთეთ და ერთი საღამო მაინც დავივიწყეთ, რომ სინამდვილეში ბავშვები დიდი ხანია აღარ ვართ.

ნანი ბრეგვაძისა და ეკა მამალაძის ოჯახის მუსიკალური გემოვნებიდან გამომდინარე, ბუკა მანაგაძის გაუგებარი ჰიტი "დამიბრუნეთ ბავშვობა" ნამდვილად არავის უმღერია, მაგრამ 2006 წლის 27 მარტს ეკა მამალაძემ ყველას - ჩვენ, თავის სტუმრებს - თუნდაც ხელოვნურად, მაგრამ ბავშვობა დაგვიბრუნა და უნდა გამოგიტყდეთ, რომ რეალობაში დაბრუნება არცთუ ისეთი იოლი, სასიამოვნო აღმოჩნდა.

ფეხბურთი

# სექსუალური თავისუფლება ბრაზილიას



ბრაზილიელებს მსოფლიო ჩემპიონატზე სექსის თავისუფლება ექნებათ.

*მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელმა კარლუშ ალბერტუ პარეირამ მეტად უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო. პარეირას უნდა, რომ ნაკრების მოთამაშეებს გერმანულ მინდვრებზე სახეზე ღიმილი დასთამაშებდეთ, საამისოდ კი პენტაკამპეონეებს სექსზე აკრძალვა მოუხსნა. ანუ, ბრაზილიის ნაკრების წევრებს მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას თანამეცხედრეებთან სექსის უფლება მისცა! ეს მაშინ, როდესაც დღემდე ბევრს კამათობენ, დიდი ასპარეზობების წინ სპორტსმენთათვის სექსის მიზანშეწონილობაზე.*

იმის გათვალისწინებით, რომ პორტუგალიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარის, და შესაბამისად, პარეირას წინამორბედს საკუთარ შეგირდებთან 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეტად მკაცრი დამოკიდებულება ჰქონდა, ბრაზილიელთა დღევანდელი დამრიგებლის საკუთარ სამწყსოსთან მიდგომა მეტად უჩვეულოდ გამოიყურება. ერთი სიტყვით, სრულ თავისუფლებასთან გვაქვს საქმე.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გერმანიის პირველობაზე პარეირას მსოფლიოს ჩემპიონთა ბანაკში მშვიდი და ჰარმონიული ატმოსფეროს შექმნა განუზრახავს. მშვიდი ატმოსფეროსთვის კი პარეირამ ფეხბურთელებს უფლება მისცა სექსით დაკავდნენ იმდენჯერ, რამდენჯერაც თავად მოისურვებენ.

"არა მგონია, რომ თამაშამდე ერთი დღით ადრე სექსმა უარყოფითი გავლენა იქონიოს მოთამაშეებზე. უბრალოდ სექსი და არანაირი პრობლემა, - ჟურნალ "მაქსიმთან" ინტერვიუში ამაყად აცხადებს პარეირა. – პრობლემები იქმნება იმის გამო, რომ არ ჭამენ, არ სძინავთ და ეწევიან და სვავენ. აი, ესაა პრობლემა. სექსი? არა, სექსი ყოველთვის კარგია. ყოველთვის სასურველია".

გარდა ამისა, ბრაზილიელთა მწვრთნელმა "მასიმს" ისიც გაანდო, მსოფლიოს ჩემპიონატებისას როგორ ინარჩუნებენ მისი მოთამაშეები საბრძოლო სულისკვეთებას.

ასე მაგალითად, რონალდინიო დიდი სიამოვნებით უკრავს სამბას დასარტყამებზე. ამიტომაც, საკუთარ ნითებთან ერთად ბიჭები გერმანიაში ჩაიტანენ მუსიკალურ ინსტრუმენტებსაცო.

"ფსიქოლოგები ამბობენ, რომ გასახდელებში და სასტუმროდან სტადიონისკენ მიმავალ გზაზე აუცილებელია მოთამაშე რამეთი დაკავდეს. თავი შეიქციოს...

უბრალოდ იჯდე, ფრჩხილები იკვნიტო და ინერვიულო, საქმეს არ შველის. მუსიკის დაკვრა კი მოდუნებას უწყობს ხელს. ამიტომაცაა, რომ მათ დასარტყამ ინსტრუმენტებსა და ამდაგვარ რაღაცეებს რომ ვაძლევთ...

ჩვენ ამას ვაკეთებთ 1970 წლიდან. ვყიდულობთ ინსტრუმენტებს, ფეხბურთელები კი მათი მეშვეობით იქცევენ თავს ავტობუსში. იმის ნაცვლად, რომ იჯდე და ილაპარაკო: "ღმერთო, მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიასთან ან ინგლისთან თამაში გვიწევსო", გამოსავალი არაა".

ბრაზილიელთა მწვრთნელმა ისიც დასძინა, რომ მისი ნაკრები გერმანიაში ჩვეულებრივზე კონსერვატულად არავითარ შემთხვევაში არ ითამაშებს.

"ჩვენთვის აუცილებელია კარგი შთაბეჭდილება დავტოვოთ და საკუთარი სტილი შევინარჩუნოთ. ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ ყოველივე შევცვალო მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვთამაშობთ...

დაცვაც აუცილებლად გვჭირდება, სხვაგვარად კი ვერაფერს მივაღწევთ. მაგრამ არც საკუთარ ფესვებზე უარის თქმა შეგვიძლია. ჩვენ ლაღ ფეხბურთს ვთამაშობთ", - საუბარი დაასრულა პარეირამ.

# "სუპერკლასიკოს" ისტორიიდან

დღეს ბარსელონას "ნოუ კამპის" სტადიონზე მორიგი სუპერკლასიკო" გაიმართება. "ბარსელონა" - "რეალის" წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი მატჩი "სანტიაგო ბერნაბეუზე" კატალონიელთა გამარჯვებით - 3:0 დასრულდა. "სუპერკლასიკოს" დიდი ხნის ისტორია აქვს და ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება მცირეოდენი ისტორიული ექსკურსი მოვაწყოთ.



დღეს რაულმა შეიძლება 30-ე "სუპერკლასიკო" ითამაშოს.

## პირველი მატჩი: "ბარსა" - "რეალი"

1929 წლის 17 თებერვალს გაიმართა პირველი მატჩი "სუპერკლასიკოს" ისტორიაში მადრიდის "რეალსა" და "ბარსელონას" შორის. თამაშს "el campo de Las Corts"-ის სტადიონმა უმასპინძლა და დამთავრდა "რეალის" გამარჯვებით - 2:1. ეს იყო ესპანეთის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩი. გამარჯვებულთა შორის დუბლი მორერას ანგარიშზეა. მასპინძელთა რიგებში ერთადერთი გოლი პარერამ გაიტანა. თამაშს შტეინბორნი მსაჯობდა.

**"ბარსელონა":** ვიდალი, საურა, სემიტიერი, მარტი, კასტილიო, ობიოლსი, საგი-ბარდა, რამონი, სესტრე, გარსია, პარერა.

**"რეალი":** ვიდალი, ქუსადა, ურკიზუ, პრატსი, ესპარზა, ჯ. მ. პეფია, ლაზანო ტრიანა, რუბიო, მორერა, ლოპესი.

## ხენტო "კლასიკოს" რეკორდსმენი

ფრანსისკო ხენტო - მადრიდის "რეალის" ფეხბურთელი იყო, რომელმაც 31 ჯერ ითამაშა "სუპერკლასიკო". ეს შედეგი დღემდე ყველასთვის მიუღწეველია. ამ მატჩებში ხენტომ 17 გამარჯვება იზეიმა და 10 გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ დღეს "სუპერკლასიკო" "ბარსელონას" წინააღმდეგ შეიძლება 30-ედ ითამაშოს რაულმა.

## დი სტეფანო და სესარი - "კლასიკოს" საუკეთესო ბომბარდირები

ალფრედო დი სტეფანო ის ფეხბურთელი იყო, რომელმაც კატალონიელებს ყველაზე მეტი გოლი გაუტანა. 20 მატჩში, რომელიც ლეგენდარულმა ფეხბურთელმა "ბარსას" წინააღმდეგ ჩაატარა, 14 გამარჯვება იზეიმა და 14 გოლი გაიტანა. ეს მაქსიმალური შედეგია მადრიდის "რეალის" ისტორიაში. თავის მხრივ "ბარსას" შემადგენლობაში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს სესარს, რომელმაც "რეალის" კარი 12-ჯერ დალაშქრა.

## მუნიოსი და კრუიფი - რეკორდსმენი მწვრთნელები

მწვრთნელები, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდებმა ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარეს ერთმანეთის წინააღმდეგ, მიგელ მუნიოსი და იოჰან კრუიფია. მუნიოსმა "რეალს" "ნოუ კამპზე" 13 შეხვედრაში უხელმძღვანელა. კრუიფმა კი 8 ჯერ მოამზადა გუნდი "რეალის" წინააღმდეგ.

## "რეალის" ყველაზე დიდი გამარჯვება

გუნდების შეხვედრაში ყველაზე დიდი გოლების სერია 1934 წლის 3 თებერვალს დაფიქსირდა. იმ დღეს "რეალის ყოფილ სტადიონზე - Chamartin მასპინძლებმა - 8:2 მოიგეს. "სამეფო კლუბის" შემადგენლობაში 4 გოლი საფიუდომ გაიტანა, 3 - ლაზცანომ, ერთი კი რექუეირომ. სტუმართა შემადგენლობაში თავი ესკოლამ და გუზმანმა გამოიჩინეს.

**"რეალი":** ზამორა, ქუესადა, ქუინკოსესი, პედრო რეკუეირო, ბონეტი, ლეონჩიტო, ლაზცანო, ლუის რეკუეირო, საფიუდო, ჰილარიო, ემილინი.

**"ბარსელონა":** ნოგუესი, ზაბალო, რაფა, გუზმანი, სოლერი, ლეჩუონა, ტაურინა, რაიხი, ესკოლა, პედროლი, პეიჯი.

## 13 "დეზერტირი" მთელი ისტორიის მანძილზე

"სუპერკლასიკოს" მთელი ისტორიის მანძილზე 13 ფეხბურთელი იყო ისეთი, რომელმაც ორივე გუნდის შემადგენლობაში ითამაშა ერთმანეთის წინააღმდეგ. ესენი არიან - სამიტიერი, ხოაკინ ნავარო, მიულერი, ტეჯადა, შუსტერი, მილა, ფიგუ, ნანდო, ლაუდრუპი, ჰაგი, ალფონსო პერესი, ლუის ენრიკე, რონალდო.

## პირველი ტრანსლაცია

ტელევიზიების ისტორიაში 1959 წლის 15 თებერვალს დაახლოებით მილიონმა ადამიანმა თვალი მიადევნა "სუპერკლასიკოს" პირველ ტელეტრანსლაციას. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ არც ისე ბევრ ოჯახს ჰქონდა ტელევიზორი და არც არხების განაწილების თანამედროვე საშუალებები არსებობდა, ათასობით გულშემატკივარმა სახალხო არხით TVE უყურა თამაშს პატარა ეკრანებზე. თამაში თანაბარი გამოდგა და მხოლოდ ერერას მიერ 74-ე წუთზე გატანილმა ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

## "კბილებით გეჭიროთ პირადობის მოწმობა, თორემ უკვე აღარ ვიცი ვინ ხართ"

მადრიდის "რეალისა" და ესპანეთის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა გრეგორიო ბენიტომ ასეთი ანეკდოტი გაიხსენა: "ესპანეთის ნაკრებში შეკრებაზე ჩემთან ერთად ორი "მაჩვი" მარსიალი და რექსაჩი იყვნენ. ოთხშაბათს ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში ვითამაშეთ და კვირას კი ბარსელონაში "სუპერკლასიკოს" ეგიდით უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ნაკრებში თამაშის შემდეგ გასახდელში მათ ვუთხარი: "კვირას მინდორზე პირში გაჩხერილი პირადობის მოწმობით გამოდით, რადგან ამ მომენტიდან უკვე აღარ ვიცი ვინ ხართ. ამას გარდა, ნაკრებში თამაშებით იცით, რომ როცა მინდორზე გამოვდივარ, ჩემს მიღმა შეიძლება მხოლოდ ბურთი ან მეტოქე გამქცეს ინდივიდუალურად. ორივე ერთად კი ამის გამკეთებელი არ ხართ, დაიმახსოვრეთ. მათ იცოდნენ ჩემი თამაშის მანერა, ამიტომ ტყუილად ლაპარაკში ვერ დამადანაშაულეს".

## "აკედოს ჩვენი ფეხბურთელი არ უცემია"

პაკო ბუიო იხსენებს, რომ ერთხელ "კლასიკოს" მიმდინარეობისას "რეალის" ერთმა ფეხბურთელმა "ბარსას" მოთამაშისგან მუჯლუგუნი მიიღო (მათი სახელები არ ახსოვს) და მინდორზე ტკივილის გამო დაეცა. მინდორზე ჩვენი მასაჟისტი ანტონიო აკედო გამოვარდა, რათა ტრავმირებული სიცოცხლისკენ შემოებრუნებინა. მსაჯმა ურიზარ აზპიტარტემ ეს მომენტი გვიან შენიშნა. მიუახლოვდა მათ და განიზრახა მასაჟისტი მინდორზე შემოჭრისთვის დაესაჯა. მე სწრაფად მივიჭერი მსაჯთან და შევძახე: "ნუ გაბრაზდები პატივცემულო აკედოზე. მე დავინახე, მას არ დაურტყამს ჩვენი ფეხბურთელისთვის. პატიოსან სიტყვას გაძლევთ!".

# "რუნი და მესი არ გვყავს"

მიხეილ აბაიშვილი

მამუკა კვარაცხელიამ პრესკონფერენცია ძირითადად მონოლოგის ფორმატში წარმართა და ხაზი გაუსვა მისი აზრით იმ ნაკლოვან მხარეებს და შეცდომებს, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის მიერ იქნა დაშვებული. მამუკა კვარაცხელიას აზრით, ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში თავიდანვე არასწორი პოლიტიკა იქნა არჩეული.

"საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნულ ნაკრებში რაღაც გაუგებარი გაახალგაზრდავების პროცესი წამოიწყო, რაც, მოგეხსენებათ, სრული კრახით დასრულდა. გამანადგურებელი ანგარიშებით წაგება და ორი ანტირეკორდი – 6-6 გაშვებული გოლი დანიასთან და ბულგარეთთან – ასეთი გახლავთ მშრალი სტატისტიკა. ფიფამ და უეფამ იმისთვის მოიგონეს 17, 19 და 21-წლამდელთა ნაკრები გუნდები, რომ ფეხბურთელებმა ეტაპობრივად გაიარონ ეს იერარქია და ძირითად – ეროვნულ ნაკრებში აბსოლუტურად მომზადებულები მივიდნენ როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკურ – ტაქტიკური და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, არიან გამონაკლისები, ისეთები, როგორებიცაა მესი, რუნი, რომლებიც იუნიორულ ასაკშიც მზად არიან უმაღლეს დონეზე სათამაშოდ. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთები არ გვყავს. ამის მიუხედავად, ტოპმიოლერსაც, ფედერაციამ ძველი სია წარუდგინა და იმის საშუალებაც არ მისცა, რომ თავად დაეკომპლექტებინა ნაკრები. ტოპმიოლერის ჩარევის თავიდან ასაცილებლად, გერმანელი სპეციალისტი გამოგონილი მისიით პარაგვაიში გაგზავნეს, რითაც მას ფეხბურთელების ერთპიროვნულად შერჩევის საშუალება მოუსპეს. შედეგად, ფედერაციის შეფების მიერ შედგენილი სიით ნაკრებმა ჯერ უსუსტესი ქვეყნის – მალტის ყველასათვის უცნობ კლუბ "ჰიბერნიასთან" წააგო, შემდეგ მოლდოვას ახალგაზრდულ გუნდთან განადგურდა ანგარიშით 1:5. ძალზე უკმაყოფილო ტოპმიოლერმა საფუძვლიანად გაცხრილა ფედერაციის შეფების მიერ მიწოდებული სია და ალბანეთში უკვე სულ სხვა შემადგენლობა წაიყვანა", - განაცხადა მამუკა კვარაცხელიამ.

პრეზიდენტობის კანდიდატმა გააკრიტიკა ფედერაციის ფინანსური პოლიტიკაც.

"ჩემი ინფორმაციით, იმ ათი თვის განმავლობაში, რაც ფედერაციის სათავეში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, ქართულ ფეხბურთს გრანტების სახით საერთო ჯამში 2 მილიონ დოლარზე მეტი უნდა მიეღო. ეს გრანტები მიზნობრივია და სხვადასხვა კონკრეტულ საკითხებს უნდა მოხმარებოდა. მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: 400 ათასი დოლარი ფედერაციას 2005 წლის სექტემბერში უნდა მიეღო და ამ თანხით ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე ხელოვნურსაფარიანი მოედანი უნდა დაგებულიყო. ეს არ გაკეთებულა. ასევე, ფინანსური დახმარების პროგრამით, ნახევარი მილიონი დოლარი ფედერაციას უნდა მიეღო ქვეყნის ათივე რეგიონში რეგიონალური ოფისების და მინიმოედნების მშენებლობისთვის. ესეც არ გაკეთებულა. სხვა მსგავსი მაგალითები ძალზე შორს წაგვიყვანს", - აღნიშნა კვარაცხელიამ.

ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი ძალზე უკმაყოფილოა ეროვნული ჩემპიონატითაც.

"ახალი პრეზიდენტის გადაწყვეტილება – გაეზარდა ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა 16-მდე, ყოვლად გაუმართლებელი და დამღუპველია, რაც დღეს უკვე ნათელია. საქართველოს არ გააჩნია არც მატერიალური, არც ინფრასტრუქტურული და არც ადამიანური რესურსი იმისთვის, რომ 16-გუნდიანი ჩემპიონატი ჩაატაროს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვეყანაში ერთი სტადიონიც კი არ გვაქვს ისეთი, სრულად რომ დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს .კლუბების ლიცენზირება, რომ უეფას სტანდარტების შესაბამისად ჩატარდეს, საქართველოდან ამ პროცესს 2-3 კლუბი თუ დაძლევს. ასეთ პირობებში, გამსხვილების და ძალების მობილიზაციის ნაცვლად, რესურსის დანაწევრება და 16 გუნდზე გადანაწილება ყოვლად დაუშვებელი შეცდომაა", - მიაჩნია კვარაცხელიას.

ჩოგბურთი

# ბორგის "უიმბლდონები" აღარ იყიდება

ბიგა ბურასაშვილი

*დიდი სლემის ტურნირების 11-გზის გამარჯვებულმა, აქედან "როლან გაროსის" ექვსგზის და "უიმბლდონის" ხუთგზის გამარჯვებულმა ჩოგბურთის ლეგენდამ, 49 წლის შვედმა ბიორნ ბორგმა მისთვის მეტად მტკივნეული გადაწყვეტილება შეცვალა: 1976 და 1980 წლებში პრესტიჟულ ტურნირებზე მოპოვებულ ჯილდოებს აუქციონზე გასაყიდად აღარ გაიტანს.*

"სერიოზული განსჯის შემდეგ გადავწყვიტე, არასდროს გავყიდო ჩემი უიმბლდონური ჯილდოები და ჩოგნები", - ამბობს ბორგი.

ადრინდელი გადაწყვეტილებით, ჩოგბურთელს სპორტულ რელიკვიათა აუქციონზე გასაყიდად უნდა გაეტანა მთავარი ჯილდოები და ხის ორი ჩოგანი.

ერთ-ერთი ჩოგანი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ამ ჩოგნით ბორგმა 1980 წლის უიმბლდონის ფინალში ამერიკელ ჯონ მაკინროის მოუგო.

15 წლის ასაკში გაბრწყინებულმა და დროთა განმავლობაში ტიტულოვან მეტოქეთა დამმარცხებელმა ბიორნ ბორგმა საკუთარ კარიერას ჩოგბურთისთვის არცთუ ხანდაზმულობაში – 26 წლის ასაკში დაუსვა წერტილი. ამ ხნის მანძილზე მან 70 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და თითქოს უზრუნველადაც უნდა ეცხოვრა, მაგრამ ცოლთან ორჯერ განქორწინებამ ბორგი გააკოტრა.

"ადვილი არ არის შეელიო ამ ჯილდოებს, მაგრამ ასე იმიტომ ვიქცევი, რომ ჩემი ახლობლების ცხოვრება უზრუნველვყო, - ასე ამართლებდა საკუთარ გადაწყვეტილებას ცოტა ხნის წინ ბორგი, - დადგა დრო, როდესაც ჯილდოები რომელიმე კოლექციონერის ან შესაბამისი დაწესებულების ხელში უნდა გადავიდეს".

გამარჯვებათა სიმბოლოების გაყიდვის შემთხვევაში, როგორც თავადვე აცხადებდა, ის ყოველთვის გაათვითცნობიერებდა იმას, რომ დიდი ხნის განმავლობაში იყო მსოფლიოს უდიდესი ჩოგბურთელი.

"უიმბლდონზე" გამარჯვებების აღსანიშნავად ბორგისთვის გადაცემულ ხუთ ბროლის ჯილდოსთან ერთად ლეგენდარულ შვედს აუქციონზე გასაყიდად უნდა გაეტანა ხის ორი ჩოგანიც.

აუქციონ Bonhams-ის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ბორგის კოლექციათა უნიკალურობამ მათ თავსატეხი გაუჩინა - ლოტის საწყისი ფასის განსაზღვრა გაგვიჭირდაო. იმავე აუქციონის წარმომადგენლები ვარაუდობდნენ, რომ ბორგის უნიკალური ნივთები, შესაძლოა, 350 ათას დოლარზე მეტად გაიყიდოსო.

ასეთი ქონების პატრონს, ორჯერ განქორწინების მიუხედავად, თითქოს რა უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ფაქტია, სპორტული კარიერის შემდეგ წამოწყებულ ბიზნესში ისე არ უმართლებდა, როგორც სპორტში.

კომპანია Design Group, რომელიც ბორგმა შექმნა, გაკოტრდა. უფრო სწორად, ვალები დაედო, რომელთა გასასტუმრებლად იძულებული გახდა საკუთარ ქონებას შელეოდა.

1990-იანი წლების დასაწყისში ბორგი დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ მცდელობა წარუმატებელი გამოდგა. ამჟამად სახელოვანი ჩოგბურთელი სტოკჰოლმში ახალგაზრდა ჩოგბურთელებს ავარჯიშებს.

და კიდევ, ბიორნ ბორგს აქვს მაღაზიათა ქსელი, სადაც მისი სავაჭრო მარკის ტანისამოსი და ფეხსაცმელი იყიდება.

ბიორნ ბორგის უწინდელი განცხადების შემდეგ, მისთვის ძვირფასი ჯილდოები გასაყიდად გაეტანა, ამერიკელმა ანდრე აგასიმ შვედი ჩოგბურთელის ტიტულების გამოსყიდვა განიზრახა, რათა ისინი რომელიმე უცნობი კოლექციონერის ხელში არ აღმოჩენილიყო. ერთ-ერთი შვედური გამოცემის Svenska Dagbladet-ის თანახმად, ისიც შევიტყვეთ, რომ კიდევ ერთი ვეტერანი ამერიკელი ჩოგბურთელი ჯიმი კონორსი უიმბლდონის ორგანიზატორებს მოუწოდებდა ბორგის ტიტულები შეესყიდათ და მუზეუმში განეთავსებინათ.



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, მეტეხის კლდის (ორთაჭალის ჰესიდან მეტეხის ეკლესიის ჩათვლით), ხეთაგუროვის ქ. N1-ში მდებარე წმ. ნიკოლოზის სახელობის რუსული ეკლესიის, აკურის ქ. N8-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტთან არსებული ქიმიის, ზალდატანიშვილის ქ.N36-ში მდებარე წმ. მიქაელ ტვერელის სახელობის რუსული ეკლესიის ფასადის არქიტექტურული განათების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 4 პოზიციად (ლოტად): 1. მეტეხის კლდის (ორთაჭალის ჰესიდან მეტეხის ეკლესიის ჩათვლით) არქიტექტურული განათება. 2. ხეთაგუროვის ქ. N1-ში მდებარე წმ. ნიკოლოზის სახელობის რუსული ეკლესიის ფასადის არქიტექტურული განათება 3. აკურის ქ. N8-ში მდებარე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტთან არსებული ქიმიის ფასადის არქიტექტურული განათება. 4. ზალდატანიშვილის ქ.N36-ში მდებარე წმ. მიქაელ ტვერელის სახელობის რუსული ეკლესიის ფასადის არქიტექტურული განათება.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: აპარატურის შესყიდვა, მეტალზე ჩასატარებელი სამუშაოები (კორპუსების, კრონშტეინების წარმოება), სამონტაჟო სქემების დამუშავება და ინსტალაცია, აპარატურის და შემადგენელი კომპონენტების დასამონტაჟებლად მომზადება და მონტაჟი.

*2*. მიწოდების სავალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 30 ივნისი.

*3*. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 25 აპრილის 12 საათიდან 2006 წლის 25 აპრილის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 4 აპრილიდან 2006 წლის 21 აპრილის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7*.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელსეკრულების ღირებულების 5% ოდენობით.

*8.* ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

*9.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ კალაძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

თეატრი

# კულტურა უფრო ძვირი გვიჯდება, თუ უკულტურობა

*თეატრის როლი, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, ქართული თეატრის სათავეებთან, ილია ჭავჭავაძემ განსაზღვრა, დღემდე არ შეცვლილა, მეტიც, დროსთან ერთად, უფრო და უფრო მკაფიო ხდება მისი მნიშვნელობა ეროვნული კულტურული ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებისათვის.*
*როგორია დღეს, 21-ე საუკუნის დასაწყისში ქართული თეატრალური ცხოვრება? რამდენად ეხმიანება მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს? რა ძირითადი, გადამწყვეტი პრობლემები დგას მის წინაშე? ამ და სხვა კითხვებს პასუხს გასცემენ სხვადასხვა თაობისა და მსოფლმხედველობის თეტრალური მოღვაწეები.*
*რუბრიკის პირველი სტუმარი კი თეატრმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე - **ლევან ხეთაგური** გახლავთ. თითქმის ორი ათეული წელია ის აქტიურად ადევნებს თვალს, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში განვითარებულ თეატრალურ მოვლენებს.*

ნანა ჭრელაშვილი

**"თეატრი ბევრ შემთხვევაში მარტო ხელოვნების მსახური არ არის, ადგილი, დრო და გარემოება მას ზოგჯერ სხვა სამსახურსაც კისრად სდებს და ამ მხრით თეატრი დაუფასებელი რამ არის და ჩვენ არ ვიცით მისებრ უებარი საშუალება, რომელიც აგრე გამარჯვებულად, სასწრაფოდ და პირდაპირ მოქმედებდეს ადამიანის უკეთეს გრძნობათა გამოფხიზლებასა და მოძრაობაზედ."**

*ილია ჭავჭავაძე*



**- როგორ შეაფასებთ, 21-ე საუკუნის დასაწყისში ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს? რა ძირითადი პრობლემები დგას დღეს მის წინაშე?**

- ქართული თეატრი ჯერ საბჭოთა, შემდეგ ევროპულ სივრცეში ერთ-ერთი მოწინავე გახლდათ, მაგრამ სამწუხაროდ, ყველა ის ექსპერიმენტი, თეატრალური ფორმა, რომელიც მსოფლიოში ვითარდებოდა, აქ არ განვითარებულა. უფრო ნათელი რომ გახდეს, მაგალითებს მოვიყვან... თეატრალური გეოგრაფიის მიხედვით, ჩვენ გვაქვს ისეთი თეატრალური ზონები, სადაც არსებობს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულად იმ ქვეყნისათვის, რეგიონისათვის დამახასიათებელი თეატრალური ფორმა. პრაქტიკულად, მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს ტრადიციული თეატრი. ასეთია ჩინეთი, იაპონია, კორეა, მონღოლეთი...ამ თვალსაზრისით მთელს ქრისტიანულ სამყაროში არსებობს ერთი ტიპის თეატრი და ეს არის სწორედ ევროპული პროფესიული ტიპის თეატრი. და არა ბერძნული ტიპის თეატრი, როგორც ხშირად ჰგონიათ ხოლმე. იმიტომ, რომ ბერძნული თეატრის შემდეგ ამ პროცესს დიდი წყვეტა მოჰყვა და პრაქტიკულად ევროპული თეატრის ისტორიის ათვლა აღორძინების ხანიდან იწყება, რომელიც არის ტექსტზე არსებული. საქართველოში, წლების განმავლობაში, სწორედ, ამ ტიპის თეატრალური ფორმები ვითარდებოდა, ასეთივეა გავრცელებული ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ერთი განსხვავებით, ყველა ამ ქვეყანაში პარალელურად ვითარდებოდა სხვა თეტრალური ფორმები, როგორიც გახლავთ მოძრაობის, ცეკვის, მიმების თეატრი. ამ თვალსაზრისით ჩვენ ღარიბულად გამოვიყურებით.

საქართველოში ძალიან კარგად არის განვითარებული ტექსტზე არსებული თეატრი, რაც ჩვენი მსგავსი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თეატრი ჩვენს სინამდვილეში ერთადერთი სფეროა, რომელიც დაკავშირებულია ეროვნულ თვითშეგნებასთან. ის, ამ ერის ენის მატარებელია. ჩვენ შეიძლება ძალიან კარგად განვავითაროთ მუსიკა, ფერწერა, მაგრამ თეატრის ფუნქციას ვერცერთი სფერო ვერ დაიკავებს, თეატრი ხომ მატარებელია, როგორც სალიტერატურო ენის, ასევე მოქმედი ცოცხალი ენის და ეს პირდაპირ კავშირშია ერის კულტურასთან, მის განვითარებასთან, მთლიანობის შენარჩუნებასთან. მაგრამ, როცა თეატრალური ფორმების განვითარებაზე ვსაუბრობთ, ეს სულაც არ ნიშნავს არსებულის უარყოფას ან ჩანაცვლებას, არამედ სხვა ახალი ფორმების განვითარებაზეა საუბარი.

ერთადერთი სფერო, რომელიც გლობალიზაციის პროცესში ინდენტურობას ინარჩუნებს და ქვეყნებს ერთმანეთისგან განარჩევს არის კულტურა. აი, ამ თვალსაზრისითაც ტექსტზე არსებული თეატრის გატანა საზღვარგარეთ იმისათვის, რომ კულტურული დიალოგი შედგეს, პრაქტიკულად შეუძლებელია, თუკი ეს არ არის ისეთი მოვლენა, როგორიც გახლავთ რობერტ სტურუას სპექტაკლები. მიუხედავად იმისა, რომ გვყავს ცნობილი მეცნიერები, კულტურის სხვა სფეროში წარმატებული ადამიანები, ჩვენს ქვეყანას ერთ-ერთი გამორჩეული წარმატება მოუტანა თეატრალურმა ხელოვნებამ. ამიტომაც მოითხოვს ეს სფერო გამორჩეულ ყურადღებას.

პარადოქსია, რომ ისეთი მაღალი რანგის ტრადიციული ცეკვის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა განვითარებული არ არის ცეკვის თეატრი. მცდელობა ამისა იყო, მაგრამ არ მოყოლია განვითარება.

სხვა ქვეყნებს თეატრალური დასების ზრდის თვალსაზრისითაც ჩამოვრჩებით. ჩვენთან დასი და თეატრალური შენობა ცალ-ცალკე არ მოიაზრება, რაც აფერხებს თეატრალური პროცესის განვითარებას, ანუ დასი უნდა იყოს მეტი, ვიდრე შენობა. ნიდერლანდები დაახლოებით ჩვენნაირი გეოგრაფიული მასშტაბის ქვეყანაა და იქ იურიდიულად გაფორმებული 3500 თეატრალური დასია. აქედან უმრავლესობა მუშაობს ფიზიკურ თეატრში ან თანამედროვე ცეკვაში. იგივე მონაცემები შეგვხვდება ესპანეთში, ნელ-ნელა ვნახავთ იტალიაში. ვერ გეტყვით, ზუსტად როგორი თანაფარდობაა ბრიტანეთში. იქ, როგორც ტექსტზე არსებული თეატრები, ასევე კლასიკური საბალეტო ხელოვნება ძალიან პოპულარულია, მაგრამ სხვადასხვა ქალაქებში შექმნილია თანამედროვე საცეკვაო დასების ქსელი. სწორედ, ეს დამოკიდებულება და ფორმებია დასანერგი ქართულ თეატრალურ სივრცეში. თუმცა, ეს არ მოხდება გარკვეული ადმინისტრაციული ქმედებებით, ამისათვის აუცილებელია შემოქმედებითი პოტენციალი ჩაისახოს.

ჩვენთან თითქმის არ არის მულტიმედიური თეატრალური სანახაობა ანუ პრაქტიკულად არ გვყავს რეჟისორები, რომლებიც თანაბრად ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, კლასიკურ თეატრალურ ფორმებს და შეძლებენ მათ შერწყმას. აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ იმ ხერხებს, როცა ვიდეოპროექცია ხდება სპექტაკლის ან კონცერტის დროს. დღეს, რატომღაც ჟურნალისტებსაც და თეატრმცოდნეებსაც ავიწყდებათ, რომ ქართულ თეატრში ამგვარი პროექცია 1926-27 წლებში კოტე მარჯანიშვილმა განახორციელა. უნდა ვიზრუნოთ ტექნოლოგიების უფრო სერიოზულ, საინტერესო მიგნებებსა და გამოყენებაზე. ამას უბრალო ილუსტრაციის ფორმა არ უნდა ჰქონდეს, როგორც ჩვენთან კონცერტების დროს ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური პანტომიმის თეატრი საქართველოში დიდი ხანია არსებობს, ჯერ კიდევ არ გვყავს წარმომადგენელი, ვინც დეკრუს სკოლას დაამკვიდრებს. ფიზიკური თეატრის შექმნა აუცილებელი პირობაა საერთო თეატრალური ცხოვრების განვითარებისათვის.

ამის გარდა, რამდენიმე სერიოზული საკითხია გადასაჭრელი, რაც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ რეფორმასთან და თაობათა ცვლის პროცესთან, რაც ნაწილობრივ დაიწყო კიდეც. ძალიან მნიშვნელოვანია როგორი იქნება კულტურის პოლიტიკის ის ნაწილი, რომელიც შეეხება სათეატრო ხელოვნებას და რამდენად პროფესიული იქნება მერიის გადაწყვეტილებები. ჩემი სუბიექტური მოსაზრება მინდა მოგახსენოთ, იმის თაობაზე, რომ კულტურის სამსახურს არ აქვს ნათელი წარმოდგენა, როგორ ხდება თეატრების ადმინისტრირება და რა მოვალეობები ეკისრება მუნიციპალურ ხელისუფლებას, მის ქალაქში არსებული თეატრალური ობიექტების მიმართ. ისინი არ მიმართავენ ექსპერტებს და ექსპერტიზას. ხშირად მომისმენია მათი საუბარი მართვის ევროპულ მოდელებზე, მაგრამ არასოდეს აკონკრეტებენ რომელ ქვეყნებზეა საუბარი. ამ კუთხით, ევროპაში მუშაობის ბოლო ჩვიდმეტწლიანი გამოცდილება მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ პროცესი, რომელიც მათ დაიწყეს, არის ქაოტური, მოუმზადებელი და არაპროფესიული.

სამწუხაროდ, დღეს პროფესიული თეატრის საქმეში, არაპროფესიონალები ერევიან. მსოფლიოში არც ერთ ქვეყანაში, სადაც პროფესიული თეატრალური განვითარება 400-500 წელს მოიცავს (უწყვეტ პროცესზე მაქვს საუბარი), სადაც უფრო მეტი ვარსკვლავი ყავთ, ვიდრე ჩვენ, არ გაუხსნიათ არავის ვარსკვლავი. უდიდეს პატივისცემას იმსახურებს ბატონი რამაზ ჩხიკვაძე, მაგრამ ამ ვარსკვლავის შექმნის იდეა თავისთავად პროვინციულია და იმ ადამიანმა, ვინც ეს გახსნა, შოუბიზნესის გარდა არაფერი იცის და ამ საზომით უდგება თეატრალურ ხელოვნებასაც.

დღეს სახელმწიფო სერიოზულ აქცენტებს აკეთებს ტურიზმის განვითარებაზე, რაც მისასალმებელია, მაგრამ უცხოელ ტურისტს შთაბეჭდილება, სამზარეულოს გარდა, უნდა შეუქმნა იმით, რაც ყველაზე ფასეული გაგვაჩნია და ეს არის კულტურა. ამიტომ, არ შეიძლება დაფინანსების შემცირება კულტურის სფეროებზე. ეს პროცესი გარკვეულწილად დაიწყო და თუ გაგრძელდა, მიგვიყვანს იქამდე, რომ ხვალ და ზეგ გვექნება 2-3 თეატრი, რომელიც თანდათან გაქრება. ხელოვნება ვითარდება მაშინ, როცა ძალიან ბევრ ადამიანს აქვს თვითგამოხატვის საშუალება, რის შედეგადაც რჩება საუკეთესო. როგორც კი შეუმცირდებათ ადამიანებს ასპარეზი ხარისხიც და მრავალფეროვნებაც დაეცემა.

გადავხედოთ, როგორ გაქრა ქართული თეატრის კერები პროვინციებში, საიდანაც წლების განმავლობაში ივსებოდა დედაქალაქის თეატრები. თუ ეს პროცესი დავარღვიეთ, თეატრს ძალიან გაუჭირდება.

ქართული თეატრი კავკასიაში ყოველთვის ლიდერი გახლდათ. ნელ-ნელა ვკარგავთ პოზიციებს. ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ბრწყინვალედ განვითარდა სიტუაცია სომხეთში, სადაც იქმნება ახალი თეატრები, ტარდება ფესტივალები, თითქმის ყველა სათეატრო შენობამ განიცადა რესტავრაცია. აღარ ვლაპარაკობ რუსეთზე, სადაც საბჭოთა ეპოქაში 630 თეატრი არსებობდა, დღეს კი რამდენიმე ათასია, არ დარჩა ქალაქი, რომელიც თავის ფესტივალს არ ატარებდეს.

თურქეთის თეატრალური სკოლა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებმა შექმნეს. დღეს იქ იმ რაოდენობის თეტარები და ფესტივალები იხსნება, რაც ჩვენ საუკეთესო სიზმრებშიც არ დაგვესიზმრება ანუ ჩვენ, ძალიან მალე თეატრალური პროფესიების გადინების წინაშე დავდგებით. შედეგები იქნება ძალიან მძიმე, რადგან ძალიან დიდი დრო დასჭირდა ამ ტიპის ხელოვნების ფორმის შექმნას. ვეჭვობ, რომ კიდევ შეიკრიბებიან ერთდროულად ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია, ვინც თავის დროზე ააღორძინა პროფესიული თეატრი.

დღეს, აუცილებელია არა მარტო შევინარჩუნოთ აღიარებული თეტრალური ფორმა, არამედ გავაღრმავოთ, ხელი შევუწყოთ ახლის დანერგვას.

**- როგორც ვხედავთ, თანამედროვე ქართული თეატრი სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. თქვენ ალბათ გექნებათ თქვენეული მოსაზრება, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეჩერდეს ეს არასასურველი პროცესები?**

- პირველ რიგში საჭიროა სახელმწიფო დაუბრუნდეს კულტურის პოლიტიკის თემას და დარგების, სფეროების მიხედვით; მკვეთრად ჩამოაყალიბოს თეატრის განვითარების პროგრამა. გაითვალისწინონ პროფესიონალების მოსაზრებები.

წელს იტალიამ, ზამთრის ოლიმპიადის გახსნის დღეს, წარმოგვიდგინა სანახაობა, სადაც მოგვითხრო ევროპისა და იტალიის ისტორია. ასევე მოხდა რამდენიმე წლის წინ ბარსელონაში. ანუ მსოფლიოში აქცენტი კულტურულ პრეზენტაციაზე კეთდება. თუკი ჩვენი ქვეყნის სურვილებში დევს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის საქართველოში ჩატარება, ჩვენ შეიძლება ამ დროისათვის ის კადრი, რომელმაც უნდა გახსნას ოლიმპიადა, აღარ გვყავდეს. სპორტში შესაძლებელია უცხოელი მწრთვნელის მოწვევა, მაგრამ უცხოელი ეროვნულ კულტურას, ხელოვნებას ვერასოდეს შექმნის. თუ ხელოვნებამ სერიოზული დაფინანსება არ მიიღო, ქვეყანა დარჩება ხელოვნების გარეშე.

რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი საჯარო გამოსვლის დროს ვთქვი და ახლაც გავიმეორებ – თუ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ვიკითხავთ, რა ჯდება კულტურა და არ დავითვლით, რა გვიჯდება უკულტურობა, ძალიან სავალალო შედეგებს მივიღებთ. ქვეყანამ არჩევანი უნდა გააკეთოს, სად სჯობს ფულის დაბანდება - ციხეების გაზრდაში, თუ თეატრის, კინომატოგრაფიის, მუსიკის სფეროში.

**- თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს მისაბაძი ტრადიცია გააჩნია - აქ იბადებოდა ჯგუფები, რომლებმაც სერიოზული განაცხადი გააკეთეს ქართული თეატრის ისტორიაში. შემოქმედებითი პოტენციალის თვალსაზრისით რამდენად საიმედოა დღევანდელი ბაზა და რა თვისობრივი ცვლილებებია მოსალოდნელი უახლოეს მომავალში?**

- ეს თემა ალბათ ცალკე მსჯელობასა და განხილვას მოითხოვს. პროცესი, რაც განათლების სფეროში დაიწყო, ჩვენთანაც მიდის. ამის შედეგად შეიქმნება გაცილებით უკეთესი პირობები როგორც სტუდენტებისათვის, ასევე პედაგოგებისათვის, მაგრამ ხარისხის მიღწევა შრომის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, ორივე მხარეს გაცილებით მეტი შრომა მოუწევს, ვიდრე აქამდე. რექტორს - ბატონ გიორგი მარგველაშვილს და მე ერთი პოზიცია გაგვაჩნია იმის თაობაზე, რომ უნდა დაიკლოს წინა წლებში არალოგიკურად გაზრდილმა სტუდენტების რიცხვმა. ამან ძალიან ბევრი პრობლემა გამოიწვია. უახლოეს 2-3 წელიწადში ეს საკითხი სტაბილური გახდება, რაც სერიოზული გარანტი იქნება ხარისხის ზრდისა.

აუცილებლად აღდგება უცხოური კავშირები. შეძლებისდაგვარად მოხდება პედაგოგების გაცვლა. აპრილში ჩვენი უნივერსიტეტი პირველად უმასპინძლებს მასშტაბურ კონფერენციას სახელოვნებო განათლების შესახებ, რომელიც ტარდება განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, სადაც 18 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. ქართულ საზოგადოებას, სტუდენტებს ექნებათ საშუალება გაეცნონ მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პროცესებს.

წელსვე იგეგმება, როგორც ძველი, ასევე ახალი სახელმძღვანელოების გამოცემა. ჩვენი გეგმების მიხედვით ეს იქნება ერთ-ერთი საინტერესო სასწავლო პროცესი. იქნება უამრავი ცვლილებები, შეიძლება მოულოდნელიც. ალბათ იქნება შეცდომებიც, მაგრამ ნებისმიერი ნორმალური პროცესი ამის გარეშე წარმოუდგენელია.

საბედნიეროდ, აქ დღემდე ასწავლიან ლილი იოსელიანი, გიზო ჟორდანია, თემურ ჩხეიძე... საქართველოში მოღვაწე მოქმედი ხელოვნების მოღვაწეები. ამიტომ, ყველაფერი ეს იმედს გვაძლევს, საუნივერსიტეტო სისტემა, რომელიც დღეს მოიცავს - თეატრს, კინოსა და ტელევიზიას - გარკვეული დროის შემდეგ საგრძნობლად აამაღლებს ხარისხს.

**- სასიამოვნოა, რომ საუნივერსიტეტო ცხოვრების, მისი ახლანდელის და მომავლის ერთ-ერთი განმსაზღვრელი, ხელმძღვანელი თეატრმცოდნეა, რადგან ამ მეცნიერების გარეშე თეატრის არსებობა წარმოუდგენელია...**

- საუკეთესო წლები უნივერსიტეტს სწორედ მაშინ ედგა, როცა რექტორი, თეატრმცოდნე ეთერ გუგუშვილი გახლდათ. იმ პერიოდში, უამრავი სასიკეთო საქმე გაკეთდა, მათ შორის ჩამოყალიბდა სასწავლო თეატრი. სამწუხაროდ, ქალბატონი ეთერის შემდეგ უნივერსიტეტმა ყველა მაშინდელი მონაპოვარი ვერ შეინარჩუნა და ნელ-ნელა ყველაფერი დაკარგა.

რაც შეეხება თეატრმცოდნეობას, ამ თვალსაზრისითაც სერიოზული რეფორმებია მოსალოდნელი. სამეცნიერო ბაზა უახლოეს ხანში ჩამოყალიბდება როგორც სამეცნიერო ინსტიტუტი და ეს გაფორმდება იურიდიულად. გაძლიერდება კვლევა თეატრის მიმართულებით, იმ საჭიროების საფუძველზე, პირველ რიგში, რასაც სასწავლო პროცესი მოითხოვს და მეორე მხრივ, თეატრის პოპულარიზაციისათვის.

2007 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებას დაიწყებს დოქტურანტურა და ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ახალგაზრდებს, ვინც დაინტერესდება კვლევითი მუშაობით, სერიოზული ადგილი დაიკავონ ამ სფეროში.

შევეცდებით, რომ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდოლოგია ჩვენთანაც დავნერგოთ. შემთხვევითი არ არის, რომ სახელოვნებო თეორიული სპეციალობები ფილოსოფიურ მეცნიერებათა ხარისხში ერთიანდება. თეატრმცოდნეობა გახლავთ თეატრის ფილოსოფია. ამ თვალსაზრისით მართებულია, რომ ეს არის არ ხელოვნებათმცოდნეობითი წოდება, არამედ ფილოსოფიური. ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით სწორ გზაზე ვართ.

**- ისევ თეატრებს დავუბრუნდეთ... წლების განმავლობაში საქართველოში ორი წამყვანი თეატრი – რუსთაველი და მარჯანიშვილი – რემონტის გამო არ მუშაობდა. ამ პერიოდში ახალი თაობა, როგორც მაყურებელი, მცირე ფორმის თეატრების რეპერტუარზე ჩამოყალიბდა. როგორ ფიქრობთ, დიდი თეტრები შეძლებენ მათ მოზიდვას?**

- ამის საშიშროება არ არსებობს. წლების განმავლობაში საქართველოში კინოთეატრები არ ფუნქციონირებდა და მოსახლეობა კინოხელოვნებას ტელევიზიის საშუალებით ეცნობოდა. კინოთეატრების აღდგენისთანავე, ახალი თაობა გაოცებული დარჩა და როგორც ხედავთ, დღეს, ახალ ფილმებზე ბილეთების შეძენა ადვილი არ არის. მე იმედი მაქვს, რომ თეატრებშიც იგივე პროცესი წავა.

**- რამდენიმე თვის წინ თეატრალურ წრეებში სერიოზული კამათი გამოიწვია კულტურის სამინისტროს მიერ თეატრის მართვის ახალმა პროგრამამ. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?**

- ამ პროცესში არ ვყოფილვარ ჩართული, მაგრამ ინტენდანტის ინსტიტუტის შემოღებას ვერ დავუჭერ მხარს. რადგან მართვის გერმანული სისტემა სერიოზულ ჩიხშია და ისინი ცდილობენ მიბაძონ ჰოლანდიურ, ბრიტანულ მოდელს. ამიტომ, რაც სხვაგან არ გამართლდა, ჩვენ არ გამოგვადგება.

**- თეატრის განვითარების ერთ-ერთი გარანტი ეროვნული დრამატურგიაა. ამ სფეროში რა პროცესები მიმდინარეობს?**

- ახალგაზრდა თაობას, რომელიც დრამატურგიაში მოღვაწეობს, ერთი საშიშროება ემუქრება – ერთფეროვნება თემატიკაში, ლექსიკაში. საჭიროა, რომ ჩვენმა დრამატურგებმა უფრო მეტი იცოდნენ ფორმის, თემის, პრობლემატიკის თვალსაზრისით.

**-თქვენ რომელ თეატრს სტუმრობთ უფრო ხშირად ანუ რომელი თეატრალური ესთეტიკაა თქვენთვის ახლობელი?**

- სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მჯერა იმ თეატრმცოდნეების, რომლებიც ერთი რომელიმე ესთეტიკის მიმართ გამოხატავენ ინტერესს. მე მიყვარს ყველა ის თეატრალური სანახაობა, რომელიც სიამოვნებას მანიჭებს, როგორც თეატრმცოდნეს და როგორც მაყურებელს. ასეთ სპექტაკლს კი პერიოდულად ვხვდები თითქმის ყველა თეატრში. თანამედროვე სამყაროში პრაქტიკულად შეუძლებელია, ამ საკითხისადმი კონსერვატიული დამოკიდებულება გქონდეს. იქ, სადაც ნამდვილი ხელოვნებაა, ყოველთვის არის ზეიმი და დღესასწაული. მას მუდმივი მისამართი არ აქვს.

## საინფორმაციო ცნობა

### ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს აუქციონს ქ. თბილისის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გაცემაზე

| № | მიწის ნაკვეთის მისამართი | გაცემის ფორმა | სარგებლობის ფორმა | მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივობა) | მიწის ნაკვეთის ფართობი კვ.მ | მოშენების ფართობი კვ.მ. | სართულიანობა | საკუთრებაში გადასაცემი მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი (ლარი) | კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი კვ.მ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვაკე-საბურთალოს რაიონში ჰიპერმარკეტ "გუდვილის" მიმდებარედ | აუქციონი | საკუთრება | სავაჭრო ცენტრის მოწყობა | 17 700 კვ.მ | | | | 20 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 5 დოლარის ეკვივალენტი ლარებში) |
| 2 | მთაწმინდა-კრწანისის რაიონში ორპირის ჩიხის №29ის მიმდებარედ | აუქციონი | საკუთრება | საცხოვრებელი სახლის ეზოს გაფართოება | 42 კვ.მ | | | | 100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 10 დოლარის ეკვივალენტი ლარებში) |
| 3 | ვაკე-საბურთალოს რაიონში ჭავჭავაძის გამზირი, გალაკტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ | აუქციონი | საკუთრება | ავტოსადგომის მოსაწყობად | 380 კვ.მ | | | | 180 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში ( ბიჯი- 20 დოლარის ეკვივალენტი ლარებში) |

შენიშვნა: აუქციონში მონაწილეობისათვის აუცილებელია შეტანილ იქნას ბე (სადეპოზიტო თანხა), რომელიც განისაზღვრება მიწის ნაკვეთის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

აუქციოში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, აუქციონის ჩატარების თარიღი მონაწილეებს წერილობით ეცნობებათ დამატებით, განცხადების მიღების შეწყვეტის შემდგომ.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ. თბილისის მერიას, მისამართი: თავისუფლების მოედანი N2, ტელ: 99-53-26, საკონტაქტო პირი - ილია შარაშენიძე, ტელ: 899 33 22 11, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურს, მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, ტელ: 96 91 21, საკონტაქტო პირი - მარიკა ბეჟაშვილი, ტელ: 877 74 49 75

## ცვლილებები ღია ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

**საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ 2006 წლის 21 მარტს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში - კომპიუტერისა და სხვა ტექნიკის სახარჯი მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას ცვლილებები:**

**1. 1 პუნქტში მოცემული ტექნიკის დასახელებათა ჩამონათვალი შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:**

| ლოტი N | ტექნიკის დასახელება, რომელთათვისაც განკუთვნილია კარტრიჯები/ტონერები | ზომის ერთეული (კარტრიჯის/ტონერის) | რაოდენობა (კარტრიჯის/ტონერის) |
|---|---|---|---|
| ლოტი I | Panasonic KX-FP141/143/145/148 ფაქსის კარტრიჯი | ცალი | 15 |
| | Panasonic KX-FHD 331/ 332/ 333/ 343/ 351/ 352/ 352/ FP363 ფაქსის კარტრიჯი | ცალი | 15 |
| | Panasonic KX-FL511/512/513/541 ფაქსის კარტრიჯი | ცალი | 5 |
| ლოტი II | Canon PC-D 320 ქსეროქსის კარტრიჯი | ცალი | 20 |
| | Canon PC-D 340 ქსეროქსის კარტრიჯი | ცალი | 30 |
| | Canon FC-224 ქსეროქსის კარტრიჯი | ცალი | 2 |
| | Canon PC 860 ქსეროქსის კარტრიჯი | ცალი | 10 |
| | XEROX Workcentre PE120i ქსეროქსის კარტრიჯი | ცალი | 4 |
| | XEROX Workcentre M20 SCX-6320D8/XRH ქსეროქსის კარტრიჯი | ცალი | 4 |
| ლოტი III | hp COLOR LaserJet 4600 ფერადი ლაზერული პრინტერის კარტრიჯი (შავი ფერის) | ცალი | 1 |
| | hp COLOR LaserJet 4600 ფერადი ლაზერული პრინტერის კარტრიჯი (ლურჯი ფერის) | ცალი | 1 |
| | hp COLOR LaserJet 4600 ფერადი ლაზერული პრინტერის კარტრიჯი (ყვითელი ფერის) | ცალი | 1 |
| | hp COLOR LaserJet 4600 ფერადი ლაზერული პრინტერის კარტრიჯი (წითელი ფერის) | ცალი | 1 |
| | HP LJ4250/4350 პრინტერის კარტრიჯი | ცალი | 2 |
| | HP LJ 1100 პრინტერის კარტრიჯი | ცალი | 40 |
| | HP LJ 1000/1200 პრინტერის კარტრიჯი | ცალი | 50 |
| | HP LJ 1300n პრინტერის კარტრიჯი | ცალი | 5 |
| | HP LJ 1010/1011 პრინტერის კარტრიჯი | ცალი | 275 |
| | HP LJ 2100 პრინტერის კარტრიჯი | ცალი | 5 |
| | HP LJ 2420n პრინტერის კარტრიჯი | ცალი | 9 |
| | HP LJ 5L/6L პრინტერის კარტრიჯი | ცალი | 10 |
| | HP DJ 3650 პრინტერის კარტრიჯი | ცალი | 6 |
| ლოტი IV | Canon 6012 ასლგადამღების ტონერი | ცალი | 20 |
| | Canon FC1PC860 ასლგადამღების ტონერი | ცალი | 20 |
| | FC-128/200/208/220/228/336 PC 860/880/890 ასლგადამღებისათვის | ცალი | 45 |
| | Canon 6317 ასლგადამღების ტონერი | ცალი | 30 |
| | Canon 7161 ასლგადამღების ტონერი | ცალი | 45 |
| | Canon PC D320 ციფრული ასლგადამღების ტონერი | ცალი | 35 |
| | Canon PC D340 ციფრული ასლგადამღების ტონერი | ცალი | 50 |

**2. მე-5 პუნქტის გ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმის წარმოება, წარმოდგენილი შესაბამისად სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან.

# „კავკასიური ბიბლიოთეკა" საექსპორტოდ

პირველი გვერდიდან

*შეიძლება მას საქართველოში კარგად არ იცნობენ, მაგრამ თვითონ შეყვარებულია ჩვენს სამშობლოზე. ბევრად კარგად გვიცნობს ჩვენ და ქართულ მწერლობას, ვიდრე ბევრი ქართველი.*
*ჩვენში ნაკლებად, მაგრამ გერმანიაში ძალზე ცნობილი და პოპულარული მწერალი, ოცი წიგნის ავტორი, ჰერმან ჰესეს ექსპერტი ული როთფოუსი თბილისშია, ამასთან, საკმაოდ საპატიო მისიით.*

კალვის ხელოვნების უნივერსიტეტის პოეტიკისა და კულტურის ესთეტიკის და კარლსრუეს უნივერსიტეტის პროფესორის ცნობილი რომანია - "ლეილა იცინის". თუმცა, ჩვენთვის ბევრად უფრო საინტერესო ისაა, რომ იცნობს ქართულ მწერლობას. მათ შორის, რუსთაველის, ჭავჭავაძის, ოთარ ჭილაძის "აველუმს", გივი მარგველაშვილის შემოქმედებას და გრიგოლ რობაქიძეს. ერთი სიტყვით, ქართველ მწერალთა საკმაოდ ფართო სპექტრს.



*ული როთფოუსი.*

ქართველ მწერალთა შემოქმედება ერთადერთი არაა, რითაც ული როთფოუსი მოხიბლულა. მოსწონს თბილისი და საერთოდ, კავკასიაში ისე გრძნობს თავს, როგორც მისთვის ჩვეულ გარემოში - საკუთარ სახლში.

გუშინ "შარდენ ბარში" მასპინძლის - პოეტ დავით მაღრაძისა და სტუმარის - ული როთფოუსის ერთგვარი საქმიანი შეხვედრა შედგა. შესაძლოა, სიტყვა "საქმიანი" ცოტა უხეშად ჟღერს, მაგრამ შეხვედრის მთავარი მიზეზი იმ პროექტის" განხილვა გახლდათ, რომლის მიხედვითაც ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი და გერმანელი მწერლების მონაწილეობით თბილისში "კავკასიური ბიბლიოთეკის" შექმნაა. ყოველივე იმად კეთდება, რომ კავკასიელ ხალხთა თანამედროვე ლიტერატურა გერმანულ ენაზე გამოიცეს.

ერთი სიტყვით, ული როთფოუსს თანამემამულეთათვის კავკასიელ მწერალთა შემოქმედების გაცნობა განუზრახავს.

# ტისენის მუზეუმის ხელმძღვანელობამ ფიროსმანის რუს მხატვრად დასახელებისათვის ბოდიში მოიხადა



საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ მადრიდში, ტისენის მუზეუმში, რუსული მხარის მიერ ორგანიზებული გამოფენის შესახებ განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, დღეისათვის ფიროსმანის შესახებ ყველა ის უზუსტობა, რომელიც გამოფენის ვებსაიტზე აისახებოდა, სამინისტროსა და დავით ლორთქიფანიძის უშუალო ჩარევის შედეგად შესწორებულია.

"გამოფენის ორგანიზატორებისა და მუზეუმის ადმინისტრაციის მხრიდან მივიღეთ ოფიციალური ბოდიში. მათი თქმით, ეს იყო სამწუხარო გაუგებრობა, რომელიც მომავალში აღარ განმეორდება", – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

მისი თქმით, 2009-10 წლისათვის, შესაძლოა, აღნიშნულ მუზეუმში გაიმართოს ფიროსმანის პერსონალური გამოფენა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ გამოფენაზე ფიროსმანი წარმოდგენილი იყო როგორც რუსი მხატვარი. კერძოდ, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პეტერბურგისა და მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში დაცული ორი სურათი, თავადის ქეიფი და მამაკაცი ყანწით, რომლის ანოტაციაშიც მითითებული იყო, რომ ფიროსმანაშვილი რუსი მოდერნისტი მხატვარია.

დავით ლორთქიფანიძე დღეს დაბრუნდა მადრიდიდან, სადაც თავად შეხვდა როგორც გამოფენის ორგანიზატორებს, ისე ტისენ ბორმენის მუზეუმის ხელმძღვანელობას.

# გადადებული შოუები და უემბლი

უემბლის სტადიონი კონცერტებს აღარ იღებს. წლის ბოლომდე ყველა დიდი შოუ, რომელიც უემბლიზე იყო დაგეგმლი, სხვადასხვა სტადიონებზე გადანაწილდება. ეს ცვლილება, პირველ რიგში, "როლინგ სტოუნზს", რობი ვილიამსს, ბონ ჯოვის და Take That-ს შეეხოთ. "სტოუნზები" 20 და 22 აგვისტოს ტუიკენჰემის რაგბის სტადიონზე შეკრებენ ფანებს, ბონ ჯოვის 10 და 11 ივნისის, და Take That-ის 24 და 25 ივნისის შოუები კი მილტონ კეინსის სტადიონზე გაიმართება.



უემბლიზე უნდა გამოსულიყო რობი ვილიამსიც. მისი კონცერტები იქ სექტემბრისთვის იგეგმებოდა, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, სად გადაიტანს ის შოუებს.

უემბლის ოფიციალურ განცხადებაში კი ოფიციალური ტონით არის განმარტებული: "მნიშვნელოვანი ღონისძიებები სტადიონზე წლის ბოლომდე აღარ ჩატარდება". სამშენებლო კომპანია "მულტიპლექსი", რომელიც უემბლის რეკონსტრუქციაზე აგებს პასუხს, აცხადებს, რომ სამუშაოს ბოლომდე სექტემბრის ბოლომდე გამორიცხულია. დამატებით ორი თვეა საჭირო სტადიონის გამოცდისთვის – ექსპერიმენტული ღონისძიებების ჩატარებისთვის. გამოდის, რომ დათქმულ ვადებში უემბლის რეკონუსტრქციის გეგმა ვერ ხორციელდება. სტადიონის საზეიმო გახსნის ცერემონიალი ხომ 13 მაისს, ფეხბურთის ფინალზე უნდა შემდგარიყო. ფეხბურთის ასოციაციას ამის გამო უკმაყოფილო ტონი დაჰკრავს: "ნათელია, რომ უემბლის სტადიონის რეკონსტრუქციის სამუშაოები დათქმულ ვადებს საშინლად სცდება".

გაცილებით უფრო პირდაპირ და მწვავედ გამოხატა უკმაყოფილება "როლინგ სტოუნზის" ევროპული ტურნეს პრომოუტერმა ჯონ გიდინგსმა. მან აღნიშნა, რომ ეროვნული სტადიონის დროულად დაუსრულებლობა ინგლისის "ნაციონალური სირცხვილი" გახლდათ. "არ ვამბობ, რომ ფულს დავკარგავთ ამ უსიამოვნო დეტალის გამო, მაგრამ მგონი არ უნდა იყოს ლამაზი, როცა ბილეთებს ერთი ადგილისთვის ჰყიდი და მეორეგან გიხდება გამოსვლა, არა?"

ჯგუფი "ბონ ჯოვი" ბოლო იყო, ვინც 2000 წელს ძველ უემბლის სტადიონზე კონცერტი გამართა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ იქნებოდნენ პირველებიც, მაგრამ ეს არ მოხდა. ფრონტმენმა ბონ ჯოვიმ კი გული არც თვითონ გაიტეხა და მსმენელიც გაამხნევა: "ეს არაფერი. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ცოცხალი კონცერტი მაინც შედგება. მადლობა ფანებს ერთგულებისა და მოთმინებისთვის. როკ-ენ-როლის ორ დაუვიწყარ ღამეს მილტონ კეინსის სტადიონზე გაჩუქებთ".

რაც შეეხება Take That-ის კონცერტს, 7 აპრილიდან დამატებითი ბილეთებიც გაიყიდება. გერი ბერლოუ აცხადებს: "უკვე ვნახე სცენა, არაჩვეულებრივია. მგონი, იქ დაგეგმილი კონცერტი ყველა ჩვენს მიერ ჩატარებულ შოუს აჯობებს".

ვრცელდება რობი ვილიამსის აგენტის კომენტარიც. მისი თქმით, "ჯერჯერობით, არ ვიცით, სად გაიმართება გადადებული კონცერტები. ალტერნატივებზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. დეტალები დადასტურებისთანავე გახდება ცნობილი".

ასე რომ, უემბლი – ინგლისის ეროვნული სტადიონი ფანებს წლის ბოლომდე ვერ მიიღებს.

## TV5MONDE

### 30 მარტი

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** პრეზიდენტების მფარველობის ქვეშ. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ეკატერინე. სერიალი. **12.35** გადაცემა: გურმანი. **13.15** ვარსკვლავების მთვლელი. დოკ. ფილმი. **15.05** TV5-ის სამყარო. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **17.25** მილუ მაისში. მხ ფილმი. რეჟისორი ლუი მალე. 1990. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** ბაქანი N1 ტელესერიალი. **24.00** სიყვარულის უფლება. მხ ფილმი. რეჟისორი რაშიდა კრიმი. 2005. **02.20** გადაცემა: თვეში ერთხელ.


გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა
- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge






# იტალიური მასკარადი თბილისში

იტალიის კულტურის დღეების ფარგლებში რამდენიმე საინტერესო ღონისძიება ჩატარდა, მაგრამ მათ დღეს საღამოს ჯუზეპე ვერდის "ბალ-მასკარადი" დააგვირგვინებს. თბილისის საოპერო დასს და ორკესტრს იტალიელი დირიჟორი მანლიო ბენცი უდირიჟორებს. დირიჟორის გასტროლის ორგანიზება იტალიის ელჩმა საქართველოში, ფაბრიციო რომანომ მოხდინა, სწორედ მან წარადგინა სტუმარი გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მანლიო ბენციმ 1989 წელს დაამთავრა პარმას მუსიკის აკადემია "ბოიტო" კომპოზიციის სპეციალობით, 1991 წელს კი პარმას ხელოვნების აკადემიის მუსიკადმცოდნეობის ფაკულტეტი. სადირიჟორო ხელოვნებას დაეუფლა რომის წმინდა ჩეჩილიას სახელობის აკადემიაში, 1995 წელს გახდა დირიჟორთა საერთაშორისო კონკურსის ("L. V. Matacic") ფინალისტი. 1995 წელს კი ესტონეთის ნაციონალურ თეატრში (ტალინი) დირიჟორის დებიუტი შედგა, სადაც მან "მადამ ბატერფლაი" იდირიჟორა. მანლიო ბენციმ 1990 წელს დააარსა კამერული ორკესტრი "Erlebnis", რომელიც ასრულებს თანამედროვე მუსიკას. 1996-1997 წლებში მუშაობდა სერბეთის ნაციონალურ თეატრში, სადაც იდირიჟორა ოპერები - "სოფლის ღირსება", "ჯამბაზები", "ტოსკა", "მადამ ბატერფლაი", "ნაბუქო". 1997-1999 წლებში მუშაობდა მილანის ვერდის სახელობის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორად. 1998 წელს წელს კომოს მუნიციპალურ თეატრში დადგა დონიცეტის ოპერა "დონ პასკუალე". 1999 წლიდან პეზაროს მუსიკის აკადემიის ("როსინი") სადირიჟორო ფაკულტეტის პროფესორია. 1999 წელს ვერდის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გასტროლებზე იმყოფებოდა საფრანგეთსა და შვეიცარიაში. 1999 და 2000 წლებში არტურო ტოსკანინის ფონდისთვის იდირიჟორა ვერდის "ტრავიატა" ბუსეტოში. ამავე წლებში მონაწილეობა მიიღო ვალეში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში, სადაც იდირიჟორა ი. ს. ბახის "მათეს პასიონი". 2000 წლიდან რიმინის ფესტივალ "Notti Malatestiane"-ს ხელმძღვანელობს, რომელზეც მეტწილად XX საუკუნის მუსიკა სრულდება.

დირიჟორი 1995 წლიდან დღემდე მოღვაწეობს სხვადასხვა სიმფონიურ ორკესტრებთან და საოპერო თეატრებთან ვენეციაში, მილანში, ტურინში, ბოლონიაში, რომში, ბოლცანოში, პარმაში, ვენაში და სხვა. მანლიო ბენზი დირიჟორობს კლასიკოსი და თანამედროვე კომპოზიტორების საოპერო და სიმფონიურ ნაწარმოებებს. დირიჟორი ეწევა საკომპოზიტორო და პუბლიცისტურ მოღვაწეობას. მას დაწერილი აქვს კამერული ნაწარმოებები, მუსიკა თეატრისთვის; მილანის გამომცემლობისთვის "Ricordi" და პარმას "Instituto di Studi Verdiani"-სთვის წერს მუსიკალურ ესსეებს და სტატიებს.

განახლებული "ბალ-მასკარადის" წარმოდგენები თბილისელმა მაყურებელმა ერთი თვის წინ იხილა. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი გახლავთ, დამდგმელი დირიჟორი – ჯანსუღ კახიძე. განახლებული სპექტაკლის მუსიკალური ნაწილის ავტორად კი გოგი ჭიჭინაძე მოგვევლინა. რაც შეეხება სპექტაკლის მხატვრობას იგი არ განახლებულა და მისი ძველი სახე გოგი ალექსი-მესხიშვილს ეკუთვნის.

ამ საღამოს დაგეგმილი "ბალ-მასკარადის" წამყვან პარტიებს, როგორც ყოველთვის, საოპერო დასის სოლისტები: გიორგი ონიანი, მანანა იორდანიშვილი, ნიკოლოზ ლაგვილავა, ნატალია ვოლჩენკო და ნინო ჩაჩუა შეასრულებენ.




სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**


# ფიროსმანის 35 ტილო 14 მაისამდე კიევში გამოიფინება

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა და ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების გრანდიოზულ გამოფენაზე ისაუბრეს, რომელიც უკრაინაში საქართველოს წლის საზეიმო დახურვასთან დაკავშირებით გაიმართება.

5 აპრილს კიევის ეროვნულ სამხატვრო მუზეუმში ნიკო ფიროსმანაშვილის 35 ნამუშევარი გამოიფინება. როგორც დავით ლორთქიფანიძემ აღნიშნა, უკრაინულმა მხარემ თავად სთხოვა საქართველოს ხელისუფლებას სპეციალურად საქართველოს დღეების დახურვისათვის უკრაინაში მოწყობილიყო ფიროსმანის გამოფენა.

ლორთქიფანიძის განცხადებით, გამოფენაზე გასაგზავნი ნამუშევრები ხელოვნების მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების სარესტავრაციო და საგამოფენო განყოფილების მიერ შეირჩა.

"გამოფენის მოწყობისთვის გაფორმდა ხელშეკრულება უკრაინის ეროვნულ სამხატვრო მუზეუმსა და საპროდიუსერო კომპანია "ალიანს შატროს" შორის. ნამუშევრების დაზღვევა, რომელმაც 41 მილიონი დოლარი შეადგინა სადაზღვევო კომპანია "კრედო კლასიკმა" უზრუნველყო", - განაცხადა ლორთქიფანიძემ.

საქართველოს კულტურის მინისტრის გიორგი გაბაშვილის თქმით, ნიკო ფიროსმანის ნამუშევრები უკვე კიევშია. მათი გადაზიდვა უზრუნველყო უმსხვილესმა გადამზიდმა კომპანიამ "კუნსტარნსკიევი". მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, უკრაინის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრომ წარმოადგინა სახელმწიფო გარანტია ექსპონატების დაცვისა და შესაბამის ვადებში დაბრუნების შესახებ.

კიევის ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო სივრცეში მხატვრის ნამუშევრები 14 მაისამდე იქნება გამოფენილი. გამოფენას თან ახლავს სამენოვანი ქართული, უკრაინული და ინგლისურად შედგენილი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დამზადებული კატალოგი.

გამოფენის პარალელურად დამთვალიერებელს შესაძლებლობა ექნება საინფორმაციო დარბაზში იხილოს რეჟისორ ირაკლი მახარაძის ფილმი "ძველ თბილისსა და ფიროსმანის შესახებ. შეგახსენებთ, რომ უკრაინაში საქართველოს კულტურის დღეები გასული წლის სექტემბერში დაიწყო და ამ გამოფენით დასრულდება. გამოფენის გახსნას, როგორც გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, დაესწრებიან საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტები. დახურვის ცერემონიალში მონაწილეობას მიიღებს სუხიშვილების ანსამბლი, რომელიც 3 აპრილს გრანდიოზულ კონცერტს გამართავს კიევში.

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
## მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE
## საკონსულტაციო მომსახურება
## ინტერესის გამოხატვა
## ტექნიკური აუდიტის განხორციელება

საქართველომ მიიღო კრედიტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (IDA), და აპირებს ამ საკრედიტო თანხის ნაწილი მოახმაროს საკონსულტაციო მომსახურეობას, რომელიც ითვალისწინებს ტექნიკური აუდიტის ჩატარებას მუნიციპალური განვითარების ფონდის ფარგლებში მიმდინარე საინვესტიციო პროექტებზე.

მომსახურება ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტების განხორციელების პროცესში ტექნიკური აუდიტორული მომსახურების, რეკომენდაციების და მონიტორინგის განხორციელებას სამი ძირითადი მიმართულებით: ა) თემის მობილიზაციის კომპონენტის მონიტორინგი; ბ) საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხის შემოწმება; და გ) მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ხარისხისა და კონტრაქტორის მოვალეობების შესრულების აუდიტი.

მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 9 თვე.

კონსულტანტის კვალიფიკაცია ამ დავალებისათვის მოიცავს გამოცდილებას სოციალური საინვესტიციო პროექტების განხორციელებას შემდეგი კომპონენტების თვალსაზრისით: თემის მობილიზაციის კომპონენტი; საინვესტიციო პროექტების შერჩევა; პროექტირება; საინჟინრო და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და მონიტორინგი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს, რათა მათ გამოხატონ მომსახურების მიწოდების ინტერესი. დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და ინფორმაცია, იმის დასტურად რომ ისინი კვალიფიცირებულნი არიან ზემოხსენებული მომსახურების დარგში (ბროშურები, მსგავსი საქმიანობის აღწერა, ანალოგიურ პროექტებში მუშაობის გამოცდილება, სათანადო უნარ-ჩვევების მქონე კადრების არსებობა, და ა.შ.). კონსულტანტი შეირჩევა მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებული პროცედურების შესაბამისად: კონსულტანტების შერჩევა და აყვანა მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ, 1997 წლის იანვარი (შესწორებული 1997 წლის სექტემბერში, 1999 წლის იანვარში და 2002 წლის მაისში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ 10.00-დან 18.00 საათამდე მოიპოვონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

ინტერესის გამოხატვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოყვანილ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 7 აპრილისა (18.00 საათამდე).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
საქართველო, თბილისი 0105, იეთიმ გურჯის 7ბ
ტელ: 943240, 942947, 923470, 923469
ფაქსი: 940439
ელ-ფოსტა: PROCUREMENT@MDF.ORG.GE

**ქალაქ თბილისის მერიის**
**კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 20 მარტს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, დროშების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

**ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 20 მარტს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, დროშების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:**

**1 ლოტში შევიდეს ცვლილება და დაემატოს ევროკავშირის დროშები - 1X1.5 - 100 ც, ევროკავშირის დროშები - 2X3- 30 ც,**

**ასევე შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათებაში შევიდეს ცვლილება: I პოზიციაზე მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად ან ეტაპოპრივად 2006 წლის 1 ოქტომბრამდე.**

## განცხადება კონკურსის შესახებ

**შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"** აცხადებს კონკურს დაბალხარისხიანი რკინიგზის სალიანდაგე განძელების (შპალების) გაყიდვის შესახებ.

დაინტერესებული პირები გამოგვეხმაურონ.
საკონტაქტო ტელეფონებია: 7 61 62: 899 20 27 95
**შ.პ.ს. "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"**

## სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების შეყიდვის ტენდერის შედეგები

| N | გამარჟვებული ორგანიზაციის დასახელება | I ლოტი | II ლოტი | ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1. | შ.პ.ს. ,,ინდუსტრია-2" | სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციული ხუთ სართულიანი შენობის მეოთხე-მეხუთე სართულების რეკონუსტრუქცია და სახურავის მოწყობა | | 302723,90 |
| 2. | შ.პ.ს ,,ოქტანი" | | სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის ფილიალის შენობის პირველი-მეორე სართულების რეკონუსტრუქცია და სახურავის მოწყობა | 64085,00 |

## სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ტესტებისა და შრატების შეყიდვის ტენდერის შედეგები

| გამარჯვებული ორგ. | ლოტი | საქონლის დასახელება, ძირითადი მახასიათებლები | განზომ. | რაოდ. | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| შ.პ.ს. ,,ექსპრესდიაგნოსტიკა" | I (ტესტები) | ოპიატების ტესტი | ც | 6000 | 20400,00 |
| | | მარიხუანას ტესტი | ც | 6000 | 20400,00 |
| | | ბენზოდიაზეპინის ტესტი | ც | 4000 | 13600,00 |
| | | ბარბიტურატების ტესტი | ც | 2400 | 8160,00 |
| | | მეტადონის ტესტი | ც | 2400 | 8160,00 |
| | | ბუპრენოფინის ტესტი | ც | 6000 | 20400,00 |
| | | კოკაინის ტესტი | ც | 600 | 2040,00 |
| | | ორ კომპონენტიანი ტესტი OPI-THC | ც | 2400 | 16320,00 |
| | | ამფეტამინის ტესტი | ც | 1200 | 4080,00 |
| | | მეტამფეტამინის ტესტი | ც | 1200 | 4080,00 |
| | | მორფინის ტესტი | ც | 600 | 2040,00 |
| | | ხუთკომპ. ტესტი MTD-BZO-BAR-MOP-THC | ც | 300 | 4650,00 |
| | | ხუთკომპ. ტესტი OPI-THC-MTM-AMP-COC | ც | 300 | 4650,00 |
| | | ჭიქა ხუთარხიანი ნარკო ტესტით | ც | 3600 | 68400,00 |
| | **სულ:** | | | | **197380,00** |
| შ.პ.ს. ,,ექსპრესდიაგნოსტიკა" | II (შრატები) | ანტი A | ც | 200 | 3800,00 |
| | | ანტი AB | ც | 200 | 3800,00 |
| | | ანტი B | ც | 200 | 3800,00 |
| | | ანტი O(H) | ც | 400 | 7600,00 |
| | | ანტი D (სუპერი) | ც | 120 | 2280,00 |
| | **სულ:** | | | | **21280,00** |
| | | | | | **218660,00** |

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს ქ. თბილისში, ირ. აბაშიძის ქუჩის (მრგვალი ბაღის ჩათვლით) კაპიტალური შეკეთების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: მოსაწყობია გზის საფუძვლის ქვედა და ზედა ფენები, ასფალტო - ბეტონის საფარი - 42630 მ2, ბორდიური - 5220 მ2, ძველი ბორდიურების დემონტაჟი და მონტაჟი, ახალი ბაზალტის და ბეტონის ბორდიურების მოწყობა, ახალი სანიაღვრე კოლექტორების მოწყობა, გვერდმიმღებების და წვიმმიმღები ჭების მოწყობა, მცირე ხელოვნური ნაგებობების მოწყობა.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 1 აგვისტო.

**3.**განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე(ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე) და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 24 აპრილის 12 საათიდან 2006 წლის 24 აპრილის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 4 აპრილიდან 2006 წლის 21 აპრილის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

9.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს "აკად. ვახტანგ.ბოჭორიშვილის სახ.სეფსისის საწინაალმდეგო ცენტრი" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს კლინიკის საჭიროებისათვის მედიკამენტების, შესახვევი მასალისა და სამედიცი დანიშნულების საგნების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ***შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:***

***ლოტი 1.*** სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული საშუალებები
***ლოტი 2.*** ნარკოტიკები
***. ლოტი 3*** სისხლი და სისხლის პრეპარატები
***ლოტი 4.*** ჟანგბადი
***ლოტი 5.*** სხვადასხვა ჯგუფის მედიკამენტები
***ლოტი 6.*** შესახვევი მასალები და ერთჯერადი მოხმარების საგნები

3. ***საქონლის მიწოდების პირობები*** - საქონლის მიწოდება განხორციელდება ყოველთვიურად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2006 წლის აპრილიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. ***მიწოდების ადგილი:*** შ.პ.ს "აკად.ვახტანგ.ბოჭორიშვილის სახ.სეფსისის საწინაალმდეგო ცენტრი" ალ. ყაზბეგის N16

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 25 აპრილის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: შ.პ.ს "აკად.ვახტანგ.ბოჭორიშვილის სახ.სეფსისის საწინაალმდეგო ცენტრი" ალ. ყაზბეგის N16 სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიძნულ მისამართზე 2006 წლის 25 აპრილს 17 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სტენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამდასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი ანგარიშსწორების შესახებ;

გ) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე;

დ) ლიცენზია მედიკამენტებისა და სამკურნალწამლო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე (დაურთეთ საჭიროებისშემთხვევაში);

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10 დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები გ.ქ.ბ საბურთალოს N7 ფილიალი, კოდი N220101670, ანგარიშის N17023602, საიდენტიფიკაციო კოდი N212153747 (სატენდერო მოსაკრებელი) 2006 წლის 3 აპრილიდან 25 აპრილამდე, შემდეგ მისამართზე: შ.პ.ს "აკად.ვახტანგ.ბოჭორიშვილის სახ.სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი" ალ. ყაზბეგის N16

12. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.

13. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების ყზრუნველყიფის გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთ სატენდერო წინადადება.

15. **ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.**

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რუსიკო ჩუთლაშვილი ტელ 371442, მისამართზე: შ.პ.ს "აკად.ვახტანგ.ბოჭორიშვილის სახ.სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი" ალ. ყაზბეგის N16.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ, 4 ლოტად დაყოფილ საავტომობილო გზების ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

ლოტი-1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.: 84, .87-88, .112(0.5), .116-119(0.5), .137-142(0.5), 211-212, 214, 222, 254, 302, 305, 308-322, 332(0.5)-335 მონაკვეთების ჰორიზონტალური მონიშვნა. სიგრძით 38 000 გრძ.მ. მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი-2: სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ.: 1-43(0.3), 65-75, 108-121(0.6) მონაკვეთების ჰორიზონტალური მონიშვნა. სიგრძით 66 900 გრძ.მ.;

ლოტი-3: მარნეული-სადახლო საავტომობილო გზის კმ.5-14 მონაკვეთების ჰორიზონტალური მონიშვნა. სიგრძით 10 000 გრძ.მ.

თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ.12-17 მონაკვეთების ჰორიზონტალური მონიშვნა. სიგრძით 6 000 გრძ.მ.;

ლოტი-4: ხაშური-ვალეს (თურქეთის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ.: 1-10, 13, 15-16, 23-30 მონაკვეთების ჰორიზონტალური მონიშვნა. სიგრძით 21 000 გრძ.მ.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - თითოეულ ლოტზე მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. (2006 წელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ივნისის ბოლომდე).

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), 2006 წლის 7 აპრილიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე ოთხივე ლოტზე. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ლოტების მიხედვით.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა ოთხივე ლოტზე საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 21 აპრილის 9⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე და 2006 წლის 24 აპრილის 9⁰⁰ საათიდან 12⁰⁰ საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმის(ების) შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) საავტომობილო გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სპეციალური მანქანა-მექანიზმი(ები).

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| N | მანქანა-მექანიზმის დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმი(ები) იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმი(ები) იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ მანქანა-მექანიზმი(ები) აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ მანქანა-მექანიზმის(ების) შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი(ები) საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმის(ები) ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგელზე მობილიზაციისათვის.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

**ვ.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად.

-- ცნობას 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**5.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები.

-- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალიტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ინფორმაცია უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ინფორმაცია, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები)

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- განაცხადი კონკრეტული ლოტების მითითებით, რომელზედაც იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს სურს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

**11.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ ლოტზე უნდა წარმოადგინოს ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**13.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# სს "ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი"-ს აქციათა 51%-ის (5 992 350 ცალი აქცია) მართვის უფლებით გადაცემის საკონკურსო კომისიის განცხადება

სს "ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი"-ს აქციათა 51%-ის (5 992 350 ცალი აქცია) მართვის უფლებით გადასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ

***შესავალი***

სს "ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი" დაფუძნებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 22 ივლისის N15.05.932 დადგენილებით და მის საწესდებო კაპიტალში გადაცემულია ძირითადი საშუალებები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 9 ოქტომბრის N20.17.1174 დადგენილების საფუძველზე 1998 წლის 12 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით სს "ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი"-სათვის 59 წლის ვადით იჯარით გადაცემულია 74 700 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. სს "ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი"-ს აქციების 61.436% (7 218 550 აქცია) მფლობელია ქალაქ თბილისის მერია.

სს "ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი"-ს რეაბილიტაციის მიზნით ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 21 მარტის N06.13.150 დადგენილებით გადაწყდა ქალაქ თბილისის მერიის მფლობელობაში არსებული აქციათა ნაწილის: 51%-ს (5 992 350 ცალი ჩვეულებრივი სახელობითი აქცია) მართვის უფლებით გაცემა საკონკურსო საწყისებზე.

***ინფორმაცია მართვის უფლებით გასაცემი აქციებისა და მართვის უფლების ვადის შესახებ***

აქციათა რაოდენობა: 5 992 350 ცალი აქცია

აქციათა წილობრივი (პროცენტული) თანაფარდობა საწესდებო კაპიტალში: 51%

აქციათა ტიპი: ჩვეულებრივი სახელობითი

მართვის უფლების ვადა: 30 წელი

***საკონკურსო პირობები***

a) 10 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება, ამასთან არანაკლებ 3.8 მლნ. (სამი მილიონ რვაასი ათასი) აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 5 თვის ვადაში, ხოლო ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი - არაუმეტეს 2 წლის ვადაში;

b) ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სარეკოსტრუქციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარება არაუმეტეს 5 თვის ვადაში ფიფა-ს სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

გ) ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის აღჭურვა ფიფა-ს სტანდარტებითა და მოთხოვნებით გათვალისწინებული სკამებით და სხვა აღჭურვილობით;

დ) სს "ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი"-ს საქმიანობის პროფილის შენარჩუნება;

ე) აქციათა მართვის პერიოდში მხოლოდ ქალაქ თბილისის მთავრობის წინასწარი წერილობითი თანხმობით შესაძლებელია შემდეგი ქმედებების განხორციელება ან გადაწყვეტილებების მიღება:

- გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების გაკოტრების საქმის გახსნის, ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის, გაყოფის ან გარდაქმნის შესახებ;
- საზოგადოების წესდებისა და საწესდებო კაპიტალის შეცვლა;
- საზოგადოების ქონების იჯარით ან ქირავნობით გაცემა, აგრეთვე ქონების გასხვისება-გაცვლა;
- საზოგადოების ფილიალების დაფუძნება; სხვა საწარმოს დაფუძნება ან შეძენა; სხვა პირებთან ერთად საწარმოს დაფუძნება; ამხანაგობებში და კავშირებში გაწევრიანება; ფონდის დაფუძნება;
- სხვა საწარმოს წილის, აქციების შეძენა;
- საზოგადოების სახელით სესხებისა და კრედიტების აღება; გარანტიების (თავდებობის) გაცემა; საზოგადოების ქონების გირავნობით ან იპოთეკით დატვირთვა;
- საზოგადოების სახელით გარიგებების დადება, რომელთა ოდენობა (ღირებულება) აღემატება საზოგადოების საწესდებო (სააქციო) კაპიტალის 50%-ს;
- საზოგადოების ქონების ჩამოწერა;
- აქციათა მართვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისათვის გადაცემა;
- პროკურის გაცემა, სავაჭრო წარმომადგენლის, სავაჭრო მაკლერის ან კომისიონერის დანიშვნა;
- აქციონერის მიერ საზოგადოების აქციათა შესყიდვის უპირატესი უფლების მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმება საზოგადოების სააქციო კაპიტალის ნებისმიერი ფორმით გაზრდისას;

ვ) სს "ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი"-ს აქციებიდან 51% (5 992 350 ცალი აქცია) მართვის უფლებით გადაცემისას, მართვის უფლების განმავლობაში კონკურსში გამარჯვებული იღებს ქალაქ თბილისის მთავრობის კუთვნილ დივიდენდს. კონკურსში გამარჯვებულის მიერ განხორციელებული ინვესტიცია არ ექვემდებარება ქ.თბილისის მთავრობის მიერ დაბრუნებას, აგრეთვე სს "ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი"-ს საწესდებო კაპიტალში ასახვას ცვლილებისა და აქციათა გადანაწილების გზით;

ზ) ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმებისა და რეგისტრაციის ხარჯებს გაიღებს კონკურსში გამარჯვებული;

**- კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.**

***კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია***

**ფიზიკური პირებისათვის:**

- პირადობის მოწმობის ასლი (კონკურსანტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც მოწმდება და რჩება რეგისტრატორთან);
- ცნობა სასამართლოდან, რომ კონკურსანტის ქონებაზე არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
- ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან ფიზიკური პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

**იურიდიული პირებისათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება და ოქმი) სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;
- ცნობა საგადასახადო და სასამართლო ორგანოებიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ იურიდიული პირის ქონება არ არის ყადაღადადებული

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
- კონკურსანტის პროგრამა (შემოთავაზება) დალუქული კონვერტის სახით;
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსანტი წარმოდგენილია სხვა პირის მიერ.

***დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა***

კონკურსანტთა დოკუმენტაცია მიიღება განცხადების პრესში გამოქვეყნებიდან 14 დღის ვადაში 10:00 საათიდან 17:30 საათამდე. იმ შემთხვევაში თუ ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, განაცხადებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა გადაიწევს მომდევნო პირველი სამუშაო დღის 17:30 საათამდე.

***დოკუმენტაციის წარმოდგენის ადგილი***

ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური. მის.: თბილისი. გალაქტიონ ტაბიძის ქ. N4, მე-3 სართული

***წარმოდგენილი განაცხადების განხილვის პროცედურები და ვადები***

საკონკურსო კომისია კონკურსანტთა განაცხადებსა და დოკუმენტაციას განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს საჯარო სხდომაზე, განაცხადებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის დასრულებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებულთან აქციათა მართვის ხელშეკრულება გაფორმდება გამარჯვებულის გამოვლენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

**განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი. გალაკტიონ ტაბიძის ქ. N4, მე-3 სართული. ტელ.: 93 61 09 (საკონტაქტო პირი: ზურაბ ლომინაძე)**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ, 3 ლოტად დაყოფილ საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

ლოტი-1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.326-კმ330(0.16) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი-2: ვარციხე-როხის საავტომობილო გზის კმ.1 კმ.2(0.28), კმ.6(0.62), კმ.7, კმ.8(0.07) მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლოტი-3: ხონი-მათხოჯი-მარტვილის საავტომობილო გზის კმ.1 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - თითოეულ ლოტზე მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), პირველ ლოტზე 2006 წლის 7 აპრილიდან, მეორე და მესამე ლოტებზე 2006 წლის 3 აპრილიდან, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე სამივე ლოტზე. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ლოტების მიხედვით.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა სამივე ლოტზე საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 21 აპრილის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2006 წლის 24 აპრილის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**გ**) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგილზე მობილიზაციისათვის.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

**დ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეული სპეციალისტის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

**ე.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

**ვ.** ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად.

-- ცნობას 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორ-კრედიტორები და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

**5.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები.

-- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალიტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა:

**ა.** ინფორმაცია უნდა წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით), დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის წლები.

**გ.** ბიოგრაფიულ მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით დეტალურად.

-- ინფორმაცია, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულებების ასლები)

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| N | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

-- განაცხადი კონკრეტული ლოტების მითითებით, რომელზედაც იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს სურს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა.

**6.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**7.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**8.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**9.** იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**10.** დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს. სამუშაოების შესრულების მეთოდში დეტალურად უნდა იქნას აღწერილი სამუშაოების წარმოების ყველა ტექნოლოგიური პროცესი, ასევე მანქანა-მექანიზმების და დანადგარების მობილიზაციისათვის საჭირო ვადები.

**11.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ ლოტზე უნდა წარმოადგინოს ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება თითოეულ ლოტზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**13.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 31.30.34 გია დიასამიძე.

**სატენდერო კომისია**

# იუნესკოს სტიპენდიები პრიორიტეტულ სფეროებში 2006-2007 სასწავლო წლებისათვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

**UNESCO Fellowships Programme in support of Priority Programme Areas (2006-2007)**

იუნესკო წარმოგიდგენთ სასწავლო სტიპენდიებს ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის, რომლებსაც სურთ მიიღონ განათლება საზღვარგარეთ, ჩაატარონ კვლევები, გაიარონ სპეციალიზირებული ან გადამზადების კურსები.

უპირატესობა მიენიჭებათ ქალთა კანდიდატურებს და განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლებს.

სტიპენდიის მიღების მსურველებს უნდა ჰქონდეთ ბაკალავრის ხასრისხი და მათი ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 45 წელს.

**აპლიკანტებს მოეთხოვებათ ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა.**

**დამატებითი კვალიფიკაცია:**

აპლიკანტს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული მიღწევები და უნდა დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია სამშობლოში დაბრუნებისას შეიტანოს წვლილი ქვეყნის განვითარებაში.

**აპლიკაციების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 14 აპრილი.**

სწავლის ხანგრძლივობა - 1-დან 6 თვემდე.

სწავლის პერიოდი - ნებისმიერი დრო 2006 წლის 1 სექტემბრიდან 2007 წლის 31 დეკემბრამდე.

სტიპენდიის რაოდენობა - ერთი სტიპენდია თითო წევრი ქვეყნიდან. მეორე კანდიდატურა შეირჩევა რეზერვისთვის, პირველი კანდიდატურის გაუქმების შემთხვევაში.

კანდიდატებმა ზუსტად უნდა მიუთითონ სასწავლო/მაძიებლის პროგრამა, რომელ სფეროშიც მათ სურთ მუშაობა.

საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით მგზავრობის, სწავლის გადასახადის (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და საზღვარგარეთ ცხოვრების სავარაუდო ხარჯები დაიფარება იუნესკოს მიერ. სავარაუდო ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს 15.000 ა.შ.შ დოლარს.

დამატებითი ინფორმაციისა და სააპლიკაციო ფორმებისათვის ეწვიეთ ვებგვერდს:

www.unesco.org

ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს შემდეგ მისამართზე:

დიმიტრი უზნაძის ქ. № 52; ოთახი 129 ტელ: 95 70 10

N2-110

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

27 მარტი 2006 წ. ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხათუნა ბოლქვაძემ ერთპიროვნულად განვიხილე შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" დირექტორის განცხადება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:**

1. გაიხსნას გაკოტრების საქმეთა წარმოება შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" მიმართ;
2. აეკრძალოს შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობას" განკარგოს თავისი ქონება;
3. შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" გაკოტრების მმართველად დაინიშნოს ირაკლი პაპუნაიშვილი, დაბადებული 1982 წლის 31 მაისს, ქ. თბილისში, მცხოვრები ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ. N 160, ბ. 59, პროფესიით იურისტი.
4. გაკოტრების მმართველის გასამრჯელო განისაზღვროს გაკოტრების მასის ღირებულების 4 %-ის ოდენობით;
5. გაკოტრების მმართველს ირაკლი პაპუნაიშვილს გადაეცეს დანიშვნის დოკუმენტი და თავისი უფლებამოსილების დასრულების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტი დაუბრუნოს სასამართლოს;
6. განემარტოს გაკოტრების მმართველს თავისი უფლებები და მოვალეობანი.
7. დაევალოს შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" კრედიტორებს განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში სასამართლოს წარუდგინონ თავიანთი მოთხოვნები ვალის საფუძვლის მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად;
8. დაევალოს ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ყველა პირს, ვისაც ვალაული მოვალის ქონებაზე აქვს საკუთრების ან გირავნობის უფლება, განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ;
9. აეკრძალოს ყველა პირს, ვინც ფლობს შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" საკუთრებაში არსებულ რაიმე ქონებას ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, ქონების დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება დაევალოს გაკოტრების მმართველის მიმართ;
10. მოწვეულ იქნეს შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" კრედიტორთა პირველი კრება 2006 წლის 20 აპრილს 1500 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს სხდომათა დარბაზში. მის: ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქ. N 5;
11. განჩინება გამოქვეყნდეს დადგენილი წესით;
12. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა გამოქვეყნებიდან 12 დღის განმავლობაში;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე: /ხათუნა ბოლქვაძე/

# განცხადება

მიმდინარეობს შპს "ლასკარი"-ს ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ: ქ. ფოთი, რეკვავა 61/1.

# განცხადება

საავტომობილო საწვავის შესყიდვა-მიწოდების შესახებ სს ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობის" მიერ 2006 წლის 25 მარტს გამოქვეყნებულ განცხადებაში დამატებების შეტანის შესახებ

ტენდერის დროს გამოყენებულ იქნება სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფის მექანიზმი. გარანტიის ფორმა - საბანკო, პრეტენდენტის სატენდერო წინადადების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით.

ტენდერის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებულის მიმართ ასევე გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის მექანიზმი. გარანტიის ფორმა - საბანკო, ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით.

# განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსების ვაკანტურ თანამდებობაზე შემდეგ რეგიონებში:

**1.კახეთი:**
1.1 ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
1.2 გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
1.3 დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი-1 საშტატო ერთეული;
1.4 თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
1.5 ლაგოდეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
1.6 საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
1.7 სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
1.8 ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

**2. ქვემო ქართლი:**
2.1 რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
2.2 ბოლნისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
2.3 გარდაბნის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
2.4 დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
2.5 თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
2.6 მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
2.7 წალკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

**3. მცხეთა - მთიანეთი**:
3.1 ახალგორის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
3.2 დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
3.3 მცხეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
3.4 ყაზბეგის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
3.5 თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

**4. იმერეთი:**
4.1 ქუთაისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.2 ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.3 წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.4 ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.5 ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.6 ვანის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.7 ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.8 თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.9 სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.10 საჩხერეს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.11 ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.12 ხონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

**5. რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**:
5.1 ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
5.2 ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
5.3 ლენტეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
5.4. ცაგერის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

**6. გურია:**
6.1 ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
6.2 ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
6.3 ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

**7. სამცხე - ჯავახეთი:**
7.1 ადიგენის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
7.2 ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
7.3 ახალქალაქის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
7.4 ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
7.5 ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
7.6 ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

**8. შიდა ქართლი:**
8.1 გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
8.2 კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
8.3 ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
8.4 ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
8.5 ერედვის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
8.6 ქურთის თემის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
8.7 თიღვის თემის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

**9.სამეგრელო, ზემო სვანეთი:**
9.1 აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
9.2 ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
9.3 სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
9.4 მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
9.5 მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
9.6 ჩხოროწყუს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
9.7 წალენჯიხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
9.8 ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
9.9 ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

**10. თბილისი:**
10.1. გლდანი-ნაძალადევის საგანმანათლებლო რესურსცენტრი-1 საშტატო ერთეული;
10.2 დიდუბე-ჩუღურეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი -1 საშტატო ერთეული;
10.3. ვაკე-საბურთალოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი -1 საშტატო ერთეული;
10.4. ისანი-სამგორის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
10.5.მთაწმინდა-კრწანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი- 1 საშტატო ერთეული.

**თანამდებობრივი სარგო - 350 ლარი.**

**საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიზნები და ამოცანები**

საგანმანათლებლო რესურსცენტრი წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს, რომლის მიზანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა მინდობილ ტერიტორიაზე.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რესურს- ცენტრი:

ა) ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების კვლევას ზედამხედველობას.;

ბ) კონტროლს უწევს სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებას;

გ) თვალყურს ადევნებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მიერ განათლების სფეროში მოქმედი კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული სხვა აქტების შესრულებას;

დ) ხელს უწყობს სამინისტროს მიერ სახელმწიფო ენის განვითარებისა და გავრცელების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების, სპეციალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას;

ე) შესაბამისი ღონისძიებების გატარებით ხელს უწყობს სამინისტროს მიერ შემუშავებული ნოვაციების და პროგრამების დანერგვას სამოქმედო ტერიტორიაზე;

ვ) ხელს უწყობს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ - საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებებსა და სამინისტროს შორის ინფორმაციის გაცვლას და თანამშრომლობას;

ზ) შესაბამისი ღონისძიებების (ტრენინგების, სემინარების და სხვა.) ორგანიზებით ზრუნავს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-საგანმანათლებლო, სააღმზრდელო დასაგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ადამიანური რესურსების განვითარებაზე. ხელს უწყობს მათთვის პროფესიულად მნიშვნელოვანი რესურსების დროულად და თანაბრად განაწილებას;

თ) ასრულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციებს კანონმდებლობით დადგენილი წესით; უზრუნველყოფს შვილად აყვანის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის პროცესის კოორდინაციას, შესაბამისი საინფორმაციო ბანკის წარმოებას და შესრულებული სამუშაოს შესახებ (პერიოდულად ან საჭიროების შემთხვევაში) ანგარიშის წარდგენას სამინისტროში; კურირებს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლების და სპეციალურ საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობას.

i) ხელს უწყობს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას;

კ) ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

**კონკურსის პირობები:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა იმ პირისათვის, რომელიც აკმაყოფილებს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ეEმუხლის, აგრეთვე "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოხელეთა და მოსამსახურეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის N212 და "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობისათვის წაყენებული დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" 2006 წლის N216 ბრძანებებით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა;
- შემდეგი ნორმატიული აქტების ცოდნა:
- საქართველოს კონსტიტუცია;
- "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
- ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი;
- საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი;
- "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- "განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის N31 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულება;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- ორგანიზატორულ უნარ-ჩვევები;
- სასურველია რომელიმე უცხო ენის/ენების ცოდნა;
- ანალიტიკური აზროვნება;
- ბოლო ორი წლის განმავლობაში განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- 21 წელს მიღწეული, არასაპენსიო ასაკის.

კონკურსს ატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც გაიცემა საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სამდივნოში, აგრეთვე განთავსებულია სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე - www.mes.gov.ge;
2. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი) ასლი;
3. ერთი ფოტოსურათი (3X4);
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში შაბათ-კვირის ჩათვლით.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უ. ჩხეიძის ქ. N8 (პოლიტექნიკური კოლეჯის შენობა). ტელ: 899 59 22 40; 899 59 22 41; 899 59 26 36.

**საჯარო სამსახურის ბიურო**

## მოწვევა ტენდერზე
## საქართველო
## ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტი
## საიზოლაციო ზეთის შეძენა

კრედიტის No: 3502-GE და 3502-1GE
მოწვევის No: T-0505-W-0071

1. წინამდებარე მოწვევა ტენდერზე ქვეყნდება ამ პროექტისათვის 2004 წლის 9 დეკემბერს Development Business-ში (No 645) გამოქვეყნებულ შესყიდვებზე ზოგადი განაცხადის შესაბამისად.

2. საქართველოს მთავრობამ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისგან (IDA) საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის (EMSP) დასაფინანსებლად. ამ კრედიტის ნაწილი გამოყენებული იქნება სატრანსფორმატორო ზეთის შესაძენად.

3. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა კონკურსში იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს, რათა მათ წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები (შემოთავაზებები) 200 ტონა სატრანსფორმატორო ზეთის მოწოდებაზე, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ინფრასტრუქტურაში გამოსაყენებლად.

4. შერჩევა ჩატარდება საერთაშორისო სატენდერო შერჩევის პროცედურების შესაბამისად, მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოს ***"შესყიდვა IBRD სესხებით და IDA კრედიტებით"*** მიხედვით და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მონაწილეს, ამ სახელმძღვანელოთი განმარტებული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

5. დაინტერესებულ უფლებამოსილ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას ქვემოთ მოყვანილ მისამართზე **$09^{00}$ დან $15^{00}$ საათამდე** სამუშაო დღეებში.

6. სატენდერო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის (ინგლისურ ენაზე) შეძენა შესაძლებელია მას შემდეგ, როდესაც მონაწილეები წარმოადგენენ წერილობით განაცხადს ქვემოთ მოყვანილ მისამართზე და გადაიხდიან 250 ლარს ან მის ეკვივალენტს 140 აშშ. დოლარს. გადახდის მეთოდი არის პირდაპირი დეპოზიტი ბანკის შემდეგ ანგარიშზე:

**TBC-ბანკი თბილისში, კოდი 220101830**
**ანგარიში No 35700033 ქართული ლარი,**
**ანგარიში No 70070842 ამერიკული დოლარი**
**SWIFT კოდი : TBCB GE 22,**
**მიმღები: პროექტის მომსახურე ორგანიზაცია (PSO).**

მონაწილეებს დუკუმენტაცია გაეგზავნებათ კურიერული ფოსტის საშუალებით. დაინტერესებულ მონაწილეებს ელექტრონული ვერსიის მიღება შეუძლიათ E-mail-ით.

7. სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს **2006 წლის 15 მაისის $15^{00}$ სთ-მდე** ადგილობრივი დროით. ყველა საკონკურსო წინადადებას უნდა ახლდეს **10,000 (ათი ათასი) აშშ. დოლარის ან თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში მისი ეკვივალენტის საგირავნო უზრუნველყოფა (bid security)**. დაგვიანებით შემოსული წინადადებები უგულებელყოფილი იქნება. საკონკურსო წინადადებების კონვერტების გახსნა მოხდება ქვემოთ მოყვანილ მისამართზე **2006 წლის 15 მაისის $15^{00}$ სთ-ზე ადგილობრივი დროით** ტენდერში მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით, თუ ისინი გამოხატავენ სურვილს დაესწრონ ამ ღონისძიებას.

**მისამართი:**
ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტის მომსახურე ორგანიზაცია (PSO)
თეიმურაზ ჯუღელი, დირექტორი
ბარათაშვილის ქუჩა N2
0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 923 483;
ფაქსი: (995 32) 923 482;
E-mail: tjugeli@pso.ge, (jakhalaia@pso.ge)

## INVITATION FOR BIDS
## GEORGIA
## ELECTRICITY MARKET SUPPORT PROJECT
## PROCUREMENT OF INSULATING OIL

**Credit No:** 3502-GE and 3502-1GE
**IFB No:** T-0306-W-0071

1. This invitation for bids follows the general procurement notice for this project that appeared in Development Business, issue no. 645 of December 9, 2004.

2. Government of Georgia received credit from the International Development Association toward the cost of Electricity Market Support Project, and it intends to apply part of the proceeds of this credit to payments under the contract for procurement of Insulating (transformer) Oil.

3. The **Georgian State Electrosystem (GSE)** now invites sealed bids from eligible bidders for the supply of 200 Tons Insulating (transformer) Oil for utilizing in the infrastructure of the Georgian State Electrosystem.

4. Bidding will be conducted through the international competitive bidding procedures specified in the World Bank's *Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits*, and is open to all bidders from eligible source countries as defined in the Guidelines.

5. Interested eligible bidders may obtain further information from Electricity Market Support Project Service Organization and inspect the bidding documents at the address given below from 09 a.m. to 15 p.m.

6. A complete set of bidding documents in English may be purchased by interested bidders on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee GEL 250 (two hundred fifty) or in USD 140 (one hundred forty). The method of payment will be under direct deposit on the following bank account:

TBC Bank in Tbilisi, code 220101830
Account No 35700033 Georgian GEL
Account No 70070842 USD
Swift (swift code): TBCB GE 22
Recipient: PSO (Project Service Organization)

The copy of the document will be sent by courier service and interested participants may obtain Electronic version by E-mail.

7. Bids must be delivered to the address below at or before May 15, 2006, 15.00 local time. All bids must be accompanied by a bid security of USD 10, 000 (ten thousand) or an equivalent amount in a freely convertible currency. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend at the address below on May 15, 2006, 15.00 local time.

Electricity Market Support Project Service Organization (PSO)
Attn. Mr. Teimuraz Jugeli, Director
2 Baratashvili Street , 0105, Tbilisi, Georgia Tel: (995-32) 923-483 Fax: (995-32) 923-482 E-mail: t (jakhalaia@pso.ge)

## საკონკურსო პირობები
## თბილისში, რუსთაველის გამზირი N52-ში მდებარე შენობის ნაწილის იჯარით გაცემაზე

იჯარით გასაცემი ქონების მონაცემები:

თბილისში, რუსთაველის გამზირზე №52-ში მდებარე შენობის I-II სართულებზე 1067 კვმ და სარდაფის სართულის 50 კვმ.

იჯარით გამცემი ორგანიზაციის დასახელება:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (უზუფრუქტუარი), საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 21.03.2006 წ. №15/174/9-6 თანხმობა.

იჯარის ურთიერთობის ვადა: 25 წელი, იჯარის გაგრძელების უფლებით.

საწყისი საიჯარო ქირა - 15 აშშ დოლარი თვეში 1 კვმ-ზე დღგ-ს გარეშე.

(ქირა განისაზღვრება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ 21.03.2006 წ. №15/174/9-6 წერილი).

ბეს თანხა: 10 053 აშშ დოლარი (საიჯარო ქირის წლიური გადასახადის 5%).

კონკურსის დამატებითი პირობები:
- მოიჯარე ვალდებულია ჩაატაროს იჯარით აღებული ფართობის კაპიტალური რემონტი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;
- მოიჯარე ვალდებულია გაარემონტოს შენობა-ნაგებობების კომპლექსში შემავალი პანდუსი (კოშკურა), თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ისე, რომ იგი გამოყენებული იქნას სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი ღონისძიებების (გამოფენები, პრეზენტაციები და ა.შ.) მოსაწყობად;
- მოიჯარე უფლებამოსილია ისარგებლოს შენობაში არსებული პანდუსით, რაზეც მას დამატებითი ქირის გადახდა არ დასჭირდება;
- იჯარის ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ურთიერთობების გაგრძელების უპირატესი უფლება ენიჭება მოიჯარეს.

განცხადების მიღების ვადა: 1.05.2006 წელი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას აკადემიაში (რუსთაველის გამზ. №52 ოთახი 201 ტელ: 99-84-23) უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- საკონკურსო განაცხადი;
- მეიჯარის წინადადებები;
- ბეს გადასახადის დამადასტურებელი ქვითარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკი რესპუბლიკა, საიდენტიფიკაციო კოდი 203852205, ა/ა 3408014588, ბანკის კოდი 220101757;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
- ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიალურად დამოწმებულ ქსეროასლებს;
- კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

კონკურსის ჩატარების და შედეგების გამოცხადების თარიღი: 2.05.2006 წელი.

გამარჯვებულის გამოცხადების კრიტერიუმები:
- საიჯარო ქირის მაქსიმალური შემოთავაზება;
- კონკურსის დამატებითი პირობების დაკმაყოფილება.